

ეთიკის კომისიის წევრთა სამაგიდლო წიგნი



მედვა ინასარიძე
თამარ ხუბულური



**ეთიკის კომისიის
წევრთა
სამაგიდლო წიგნი**

მედია ინასარიძე
თამარ ხუბულური

თბილისი, 2021

შინაარსი

შესავალი.....	7
1. საადვოკატო საქმიანობა - თვითრეგულირებადი პროფესია	9
2. ეთიკის კომისიის როლი და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	14
3. ეთიკის კომისიის სტრუქტურა	22
3.1 კოლეგიათა შემადგენლობა და მუშაობის წესი	22
3.2 ვინ ირჩევს კომისიის წევრებს?	23
3.3 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატი?	24
3.4 ვინ არის კომისიის სათადარიგო წევრი?	27
3.5 ეთიკის კომისიის თავმჯდომარე	28
3.6 ეთიკის კომისიის აპარატი	31
4. დისციპლინური სისტემის დაფინანსება	35
5. დისციპლინური წარმოების ეტაპები - წარმოება საპროცესო და განხილვის წესით.....	37
საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის წარმოება	42
5.1. როგორ იწყება დისციპლინური წარმოება?	42
5.2 ვინ შეიძლება იყოს მხარე ეთიკის კომისიაში?	45
5.3 ვინ შეიძლება იყოს წარმომადგენელი ეთიკის კომისიაში?.....	50
5.1 რას აკეთებს საპროცესო კოლეგია საქმის გამოკვლევისათვის?	51
5.2 მხარეებთან კომუნიკაცია და შეტყობინებათა ჩაბარება	54
5.3 რა უფლებებით სარგებლობენ მხარეები საპროცესო კოლეგიაში წარმოებისას?.....	57
5.4 რა პრინციპებს ეფუძნება საქმის გამოკვლევა საპროცესო ეტაპზე?	59
5.5 მოკვლევის ფარგლები	60

5.6 როგორია მტკიცებულებათა მოპოვებისა და შეფასების სტანდარტი წარმოების საპროცესო ეტაპზე?.....	61
5.7 მტკიცების სტანდარტი დისციპლინური წარმოების პროცესში	67
5.8 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი	69
1) მტკიცების ტვირთის გადანაწილება	84
2) ეთიკის კომისიის პრაქტიკა მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე	87
5.9 ვინ და რა წესით წარმართავს საპროცესო კოლეგიის სხდომას?	104
5.10 დისციპლინურ საქმეთა გაერთიანება	106
5.11 რას გულისხმობს დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერება-განახლება?.....	107
5.12 საპროცესო წარმოების დასრულების შედეგები	109
5.12.1 დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.....	109
5.12.2 გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ	112
5.12.3 დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილება	114
5.13 განხილვის კოლეგიის მიერ საქმის წარმოება	116
5.13.1 განხილვის პროცესი	116
5.13.2 განხილვის სხდომის წარმართვა და შეჯამება	119
5.13.3 განხილვის შედეგები.....	122
5.13.3.1 რას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და რა არის მისი მიზანი?.....	123
5.13.3.2 რას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი და რა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება შეუძლია განხილვის კოლეგიას?.....	125

5.13.3.3 რა შემთხვევაში გადაეცემა საქმე განსახილველად ეთიკის კომისიის მთლიან შემადგენლობას?	130
5.14 ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის მიერ წარმოება	131
5.14.1 რა უფლებამოსილება აქვს სრული შემადგენლობით ეთიკის კომისიას?	131
5.15 დისციპლინური სახდელის გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი.....	135
5.15.1 ვინ არიან მხარეები უზენაეს სასამართლოში საქმის გასაჩივრებისას?	136
5.15.2 როგორია მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის სტანდარტი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას?.....	137
5.15.3 რა ვადაში და რა ფარგლებში განიხილავს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საჩივარს?	139
5.15.4 სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებათა სახეები.....	142
6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება	143
6.1 როგორია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა?.....	143
6.2 როდის გაქარწყლდება ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი?	144
7. რას გულისხმობს დისციპლინური წარმოების კონფიდენციალურობა?	146
8. როგორ ხდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი?	147
9. რეკომენდაცია ადვოკატისათვის	150
9.1 ვის შეუძლია მიმართოს ეთიკის კომისიას რეკომენდაციის მოთხოვნით?.....	151

9.2 ვინ ამზადებს წერილობით რეკომენდაციას?	151
9.3 რას შეიცავს წერილობითი ფორმით გაცემული რეკომენდაცია?	153
9.4 რას გულისხმობს ზეპირი რეკომენდაცია და როგორია მისი გაცემის წესი?	154
9.5 როგორი წესით იცავს ეთიკის კომისია რეკომენდაციათა კონფიდენციალურობას?	155
9.6 რეკომენდაციების საჯაროობა.....	155
10. ეთიკის კომისიის წევრთა მიერ საქმის განხილვის პრინციპები	157
11. როგორია კომისიის წევრის კომუნიკაციის წესი მხარეებთან საქმის განხილვის დასრულების შემდეგ?	163

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ მადლობას უხდის ეთიკის კომისიის ადვოკატ და არაადვოკატ წევრებს, 2017-2021 წლების განმავლობაში ეთიკის კომისიაში განუხლები შრომისთვის:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

წევრები: მარია არევაძე, ცისმარ ონიანი, კონსტანტინე გელაშვილი, ანა ლორია, ანა ხურციძე, ქეთევან უტიაშვილი, თეიმურაზ თოდრია, ხათუნა ჩხაიძე, ინგა სენიაშვილი, ირაკლი კორძახია, გია ტაბლიაშვილი, ია გაბედავა, არჩილ ჩოფიკაშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ხათუნა ფურელიანი

ეთიკის კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, გამოცემაზე იმუშავებს კომისიის აპარატის იურისტებმა:

მედეა ინასარიძე
თამარ ხუბულური

გამოცემის რედაქტორი:

ეკატერინე გასიტაშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე (2012-2013 წ.წ)



პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განუხლები. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

შესავალი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლო, წლების განმავლობაში ზრუნავს ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაზე, რისთვისაც ყოველდღიურად ეთიკის კომისიის აპარატის თანადგომით აქტიურად მუშაობს. დისციპლინური წარმოებითა და ადვოკატთათვის რეკომენდაციათა გაცემაზე მუშაობით, კომისიას გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა. ეთიკის კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, კომისიის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს, კორპორატიული მეხსიერების შენარჩუნებაა, რაც ეთიკის კომისიას ეხმარება არსებული დისციპლინური სამართალწარმოების განვითარებაში.

ეთიკის კომისიის წევრთა სამაგიდო წიგნი არის მოქმედი კომისიის წევრების პირველი მცდელობა 2006 წლიდან მოყოლებული, კომისიის საქმიანობის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას ერთად მოუყარონ თავი და გაუზიარონ კოლეგებს, კომისიის მომავალ წევრებსა თუ დისციპლინური წარმოებით დაინტერესებულ სხვა პირებს, ადვოკატთა ასოციაციის წევრებს.

ეთიკის კომისია საქმიანობისას პროცედურულ ნაწილში ეყრდნობა ძირითადად „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას, თუმცა მუშაობის პროცესში არაერთხელ წამოჭრილა სხვადასხვა პროცესუალური საკითხი, რაც დამატებით განხილვასა და კონკრეტულ მიდგომებზე შეჯერებას საჭიროებდა. შესაბამისად, წინამდებარე გამოცემა, დისციპლინური წარმოების არსებული რეგულაციების მიმოხილვის გარდა, მოიცავს იმ საკითხებსაც, რაზედაც კომისიას უმსჯელია შეხვედრებზე ან გადაწყვეტილებებში, ასევე ცალკეულ საკითხზე წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები.

დღეის მდგომარეობით ეთიკის კომისია, როგორც დისციპლინური ორგანო, საჯარო და არასაჯარო სექტორში არსებულ დისციპლინურ ინსტიტუციებს შორის ინარჩუნებს მნიშვნელოვან ადგილს იმის გამო, რომ მან შეძლო თავისი პრეცედენტული განვითარებით და გამოცდილებით შეექმნა პროფესიული სტანდარტების სწორი ხედვა და ასრულებს აქტიურ საგანმანათლებლო როლს.

ეთიკის კომისიის ისტორია 2006 წლიდან იწყება და მადლობა ეკუთვნის ეთიკის კომისიის თითოეულ წევრს, ვინც ჩართული იყო კომისიის საქმიანობაში, თითოეულ იურისტსა და ადვოკატს პროფესიული ეთიკის კლინიკის სტუდენტს, რომელთა აქტიური მუშაობითაც ვითარდება ადვოკატის პროფესიული ეთიკა.

ასევე მადლიერებას გამოვხატავთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის პროექტის - კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) ფარგლებში შექმნილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტის მიმართ, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდა კომისიის წევრთა სამაგიდო წიგნის მომზადება.

1. საადვოკატო საქმიანობა - თვითრეგულირებადი პროფესია

საზოგადოებაში ადვოკატის როლი იურიდიულ პროფესიათა შორის უმაღლეს საფეხურზე დგას. სამართლის უზენაესობის პატივისცემაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ადვოკატი ასრულებს განსაკუთრებულ როლს. თუ კანონმდებლობა სათანადოდაა შემუშავებული, მასში კარგად არის გამოკვეთილი ადვოკატის ფუნქცია საზოგადოებასა და მართლმსაჯულების სისტემაში. ყველა საზოგადოებაში ადვოკატები გადამწყვეტ როლს ასრულებენ და კანონის დახმარებით წყვეტენ კლიენტთა პრობლემებს. ისინი ხელს უწყობენ კანონმდებლობის რეფორმირებას მისი გაუმჯობესების მიზნით. ასევე, ხელს უწყობენ სამეწარმეო დაგეგმარებას და წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში. ადვოკატები იცავენ ადამიანის უფლებებს და მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში.¹ ადვოკატი ემსახურება, როგორც მართლმსაჯულების ინტერესებს, ასევე იმ პირის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებმაც მას მიანდეს მათი უფლებები დასაცავად. ადვოკატი წარმოადგენს კლიენტის მრჩეველს. ადვოკატის პროფესიული ფუნქციის პატივისცემა არსებითი პირობაა საზოგადოებაში კანონის უზენაესობისათვის და დემოკრატიისთვის.²

თვითრეგულირება პროფესიული დამოუკიდებლობის ფორმაა. იგი მოითხოვს, რომ ადვოკატის პროფესია სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას არ ემორჩილებოდეს.³ თვითრეგულირება ადვოკატებს აძლევთ შესაძლებლობას, თვითონვე მართონ ადვოკატის პროფესია, რაც გამოიხატება საერთო კრებაში მო-

¹ იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, სასწავლო მასალები, ნინო ხურციძე, მედეა მათიაშვილი, ჯეიმს მოლიტერნო, თამარ ზამბახიძე, მარიამ ცისკაძე, გიორგი ჯოხაძე, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, 2009 წ, გვ. 11

² ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მუხლი 1.1.

³ იქვე, გვ.19

ნაწილობის სახით ადვოკატთა მიერ პროფესიის მართვაში.⁴ ადვოკატთა საერთო კრებაზე ადვოკატები იღებენ პროფესიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტებს, ირჩევენ მმართველობით ორგანოებს. ადვოკატები თავად უზრუნველყოფენ ადვოკატის როლის გაძლიერებას და პროფესიული საქმიანობის დაცვის გარანტიების რეალიზებას, საქმიანობის ორგანიზებას, პროფესიულ განვითარებას და ეთიკური სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობას, პროფესიის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად იხდიან საწევრო გადასახადს, რაც გამოიყენება კვლავაც პროფესიული მიზნებისთვის.⁵

თვითრეგულირების ფარგლებში ადვოკატები პროფესიის მართვაში ჩართულნი არიან ადვოკატთა ასოციაციის ფორმირებით, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში ადვოკატთა ერთადერთ ოფიციალურ გაერთიანებას და არის მართლმსაჯულების სისტემის სრულფასოვანი წევრი.⁶ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის ადვოკატთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით.⁷

ადვოკატთა ასოციაციაში მის ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია ორგანოები, რომლებიც აირჩევა ადვოკატთა მიერ საერთო კრებაზე და ისინი პროფესიის მართვისა და თვითორგანიზების საშუალებებია:⁸


⁴ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁵ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁶ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20.1, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20.1 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 23.1, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.⁹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით: ამტკიცებს ასოციაციის წესდებებს და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები; ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით; ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის კოდექსსა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებას; ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს განუხლები საქმიანობის შესახებ; აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.¹⁰

თვითრეგულირების ფარგლებში მნიშვნელოვანია პროფესიულ

⁹ საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24.1

¹⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24.3, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

განვითარებაზე ზრუნვა, რა მიზნითაც შექმნილია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას, უფრო კონკრეტულად: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველობის სფეროში მოქმედი ინსტიტუტი.¹¹ სასწავლო ცენტრის მიზანია ასწავლოს და გაუზიაროს პროფესიული გამოცდილება ადვოკატებს და დაინტერესებულ პირებს უწყვეტად და ხარისხიანად. ცენტრი ანგარიშვალდებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და საგანმანათლებლო საბჭოს წინაშე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიულ იურიდიული სწავლების შესაძლებლობას მოქმედი და მომავალი ადვოკატებისთვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის.¹²

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფარგლებში 2012 წლიდან მოქმედებს განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ადვოკატები გადიან სავალდებულო პროფესიულ მომზადებას, მათ შორის პროფესიული ეთიკა წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს, რომელსაც ყოველწლიურად შეცვლილი თემატიკით გადიან ადვოკატები. ყველა ადვოკატი ვალდებულია პროფესიული გადამზადების კურსებში მიიღოს მონაწილეობა, რაც წარმოადგენს პროფესიული განვითარების წინაპირობას, და გარანტიას იმისა, რომ მოქმედი ადვოკატების პროფესიული მომზადების დონე აკმაყოფილებს მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნებს.¹³

პროფესიული თვითრეგულირების მნიშვნელოვანი ნაწილია

¹¹ ცენტრი შექმნილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტისა და ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

¹² იქვე

¹³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 26.7 „ე“ ქვეპუნქტი, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

ეთიკის კომისიის საქმიანობა და დისციპლინური წარმოება, რომელიც შემდეგ თავებში დეტალურად იქნება განხილული. ადვოკატის პროფესიის ქცევის სტანდარტების განვითარება და დაცვაზე ზედამხედველობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, როგორც თვითმმართველი პროფესიული ასოციაციის, მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს. კარგად განსაზღვრული პროფესიული ეთიკის ნორმები და დისციპლინური წარმოება არის საუკეთესო მეთოდი მართლმსაჯულების აღსრულების სამართლიანი სისტემის უზრუნველსაყოფად, რომელიც იძლევა ადვოკატების დამოუკიდებლობის გარანტიას, პროფესიული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას ნებისმიერი არასათანადო შეზღუდვის თუ ჩარევის მიზეზით.

„ადვოკატებს სამართალი არაიურისტებამდე მიაქვთ, უწევენ რა კონსულტაციებს კლიენტებს და უდგენენ დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ კლიენტის გარიგებები მის ინტერესებს ემსახურებოდეს კანონმდებლობის ჩარჩოებში. ადვოკატები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას. მათი როლი უფრო მეტად აქტიურია სასამართლო სამართალწარმოების პროცესში საერთო სამართლის ქვეყნებში, თუმცა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის ქვეყნებში, ადვოკატი გადამწყვეტ როლს თამაშობს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაში, უძღვება რა საქმეებს ამ სისტემაში. ადვოკატები კანონშემოქმედებით პროცესშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ბევრი ადვოკატი საკანონმდებლო ორგანოსა და პარლამენტში მუშაობს. ამასთან, ადვოკატებს, ხშირად იწვევენ პარლამენტში ახალი კანონმდებლობის შესახებ კონსულტაციების გასაწევად“.¹⁴

¹⁴ჯეიმსმოლიტერნო, ჯეიმსჩ, ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ქართული გამოცემის თანარედაქტორები: ეკატერინე გასიტაშვილი, ირაკლი კორძახია, თბილისი, 2014, გვ.1-2

2. ეთიკის კომისიის როლი და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

„საქართველოში საადვოკატო საქმიანობის ხანგრძლივი სა-
უკეთესო ტრადიციებისა და თავისუფალი პროფესიის წარმო-
მადგენელთა მორალურ-ზნეობრივი ღირებულებების გათვა-
ლისწინებით, ეთიკის კოდექსმა ასახა ადვოკატთა ასოციაციის
თითოეული წევრის პროფესიული ღირებულება, კანონიერების
პრინციპზე დაყრდნობით ემსახუროს კლიენტის საუკეთესო
ინტერესებს, ღირსეულად განახორციელოს საქმიანობა, რო-
გორც მართლმსაჯულების მონაწილე პირმა და წარმოაჩინოს
პროფესიული სახე იმგვარად, რომ საზოგადოების მხრიდან
მოიპოვოს ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი“.¹⁵

ეთიკის კოდექსის მიზანმა უნდა განსაზღვროს მიღებული და
მისაღები ქცევები და უნდა შეუწყოს ხელი პრაქტიკის მაღალ
სტანდარტებს, უნდა შექმნას პროფესიული ქცევისა და პასუ-
ხისმგებლობების ჩარჩო და უზრუნველყოს ადვოკატებისთვის
კრიტერიუმის (შესაღარებელი სტანდარტის) არსებობა.¹⁶

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადვოკატები არ მოქმედებენ
თავიანთი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ისინი
შეიძლება დაექვემდებარონ დისციპლინირებას, სამოქალაქო
ან/და სისხლის სამართალწარმოებას, შესაბამისი პასუხისმ-
გებლობის დაკისრებას, როდესაც ადგილი აქვს უფლებამო-
სილების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული წარმოადგენს

¹⁵ ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი,
დავით კვაჭანტირაძე, „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები,
რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ.“, ევროკავშირის პროექტი „სისხლის
სამართლის მხარდაჭერა საქართველოში“, თბილისი 2013, გვ. 8-9

¹⁶ საქართველო, ანგარიში ადვოკატთა ასოციაციის დისციპლინური
სისტემის შესახებ, იოს უიტდეჰააგ (ჰოლანდია), სექტემბერი,
2015, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი
„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის შესახებ“
სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის,
უკრაინისა და ბელარუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო,
გვ.11

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, როგორც თვითმმართველი პროფესიული ასოციაციის, მნიშვნელოვან როლს, თუმცა, ეთიკის კომისიის როლი არ არის ადვოკატის დასჯა ან მხარეთა მორიგება.

ეთიკის კომისიის უმთავრესი დანიშნულებაა ადვოკატის პროფესიის დაცვა და პროფესიული სტანდარტების ამოქმედება; ასევე, დისციპლინურ გადაცდომათა პრევენცია და მხარეებისათვის თანასწორი და სამართლიანი დისციპლინური წარმოების პროცესის უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებაში გაიზარდოს ნდობა ადვოკატის პროფესიის მიმართ. საგულისხმოა, რომ ეთიკის კომისიის განსაკუთრებული როლი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა თვითრეგულირებისა და პროფესიული ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობაში საუკეთესოდ გამოვლინდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს განხორციელებული ცვლილებით; სრულიად ახლებული რედაქციით ჩამოყალიბდა კანონის 28-ე მუხლი, რომელიც ეთიკის კომისიის საქმიანობის მომწესრიგებელ დებულებებს ადგენს და მისი მე-14 ნაწილის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით.¹⁷

„ადვოკატთა პროფესიული ქცევების კოდექსი დადგენილ უნდა იქნეს იურიდიული პროფესიის მიერ, მისი სათანადო ორგანოების მეშვეობით ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, ეროვნული კანონმდებლობის, ჩვეულებებისა და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად“.¹⁸ პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა კი იმ პროფესიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება, რომელ-

¹⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 28.14, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

¹⁸ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო-7 სექტემბერი, 1990, პუნქტი 26, <https://gba.ge/pdf/5c3a5201a38b1.pdf/5c3a5201a38b1.pdf>

მაც დაადგინა ეთიკური ღირებულებები და თვითობოქვის პრინციპები, რადგან „პროფესიული ქცევის წესები ეფუძნება მათ ნებაყოფლობით მიღებას იმ პირების მიერ, რომლებზეც ისინი ვრცელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადვოკატმა პირნათლად შეასრულოს ყველა სამოქალაქო საზოგადოების მიერ უმნიშვნელოვანესად აღიარებული ფუნქცია. ადვოკატის მიერ აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვებოდეს დისციპლინური სანქცია“.¹⁹

კარგად განსაზღვრული ეთიკის ნორმები და როცა საჭიროა დისციპლინური სამართალწარმოება არის საუკეთესო მეთოდი მართლმსაჯულების აღსრულების სამართლიანი სისტემის უზრუნველსაყოფად, რომელიც იძლევა ადვოკატების დამოუკიდებლობის გარანტიას თავიანთი პროფესიული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას ნებისმიერი არასათანადო შეზღუდვის, გავლენის, წაქეზების, ზეწოლის, პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევის მუქარის გარეშე, ნებისმიერ დროს ან ნებისმიერი მიზეზისთვის.²⁰

ადვოკატის პროფესიის დაცვისა და გაძლიერებისთვის ადვოკატთა ასოციაციის მიზანია პროფესიული ეთიკის ნორმების

¹⁹ ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 1988 წლის 28 ოქტომბერი, 12.1 ქვეპუნქტი, <https://legaethicschair.newvision.ge/themes/lec/assets/10.%20%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98.pdf>

²⁰ აღმოსავლეთის პარტნიორობა მხარს უჭერს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში სასამართლო რეფორმას; სამუშაო ჯგუფი „პროფესიული სასამართლო სისტემები“, პროექტის ანგარიში ადვოკატის პროფესიის შესახებ (ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატი, სტრასბურგი, 2013 წლის მარტი).

დაცვის უზრუნველყოფა²¹, რასაც ასოციაცია ახორციელებს დამოუკიდებელი ორგანოს - ეთიკის კომისიის მეშვეობით.

„დემოკრატიულ საზოგადოებებში ადვოკატები უდავოდ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ვერც ერთი სხვა პროფესიონალი ვერ შეასულებს: ადვოკატი არის სამართლის უზენაესობის დამცველი, იდეალისა, რომელშიც ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. განვითარებად დემოკრატიებში ეს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადვოკატებისათვის, რომელთაც აქვთ პოტენციალი იქცნენ დიდ შუამავლებად დიდი ძალაუფლების მქონეთა და ნაკლებად ძლიერთა შორის“.²²

ეთიკის კომისია ამონმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს²³, ასევე პროფესიული ეთიკის საკითხებზე გასცემს რეკომენდაციებს ადვოკატებისთვის.²⁴

ეთიკის კომისია საქმიანობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. დისციპლინური წარმოებისთვის ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2006 წლის 15 აპრილის საერთო კრებაზე დაამტკიცა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ეთიკის კომისიის ისტორიაც 2006 წლიდან დაიწყო.

²¹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 5.7, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²² ჯეიმს მოლიტერნო, ჯეიმს ჩ, ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ქართული გამოცემის თანარედაქტორები: ეკატერინე გასიტაშვილი, ირაკლი კორძაბია, თბილისი, 2014, გვ.2

²³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 28.10, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

²⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ადვოკატის პროფესიის დაცვის სამსახურში კომისიის არჩევიდან დღემდე კომისიის წევრები იყვნენ როგორც ადვოკატები, ასევე არაადვოკატები - იურიდიული მეცნიერების გამოჩენილი სპეციალისტები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები.

ეთიკის კომისიის, როგორც კვაზი სასამართლოს საქმიანობა, ეთიკის კომისიის იურისტების აქტიური ჩართულობით, გარდა დისციპლინური ნარმოების განხორციელებისა და ადვოკატებისთვის რეკომენდაციათა გაცემისა, პროფესიული ქცევის სტანდარტების განვითარებისთვის მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- ეთიკის კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გამოცემათა მომზადება;²⁵
- გადანყვეტილებათა და რეკომენდაციათა განთავსება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე;²⁶
- კომისიის შეხვედრები პროფესიული ქცევის სტანდარტებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნისთვის, რაც საშუალებას აძლევს წევრებს ერთგვაროვან მიდგომებზე შეთანხმდნენ, როგორც პროცედურულ, ასევე მატერიალურ საკითხებზე;
- კომისიის შეხვედრები პროფესიული ეთიკის საერთაშორისო ექსპერტებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატასთან, რაც პრაქტიკის შემდგომ განვითარებას უწყობს ხელს;
- კომისიის გასვლითი შეხვედრები ადვოკატებთან, რაც საშუალებას აძლევს ადვოკატებს დისკუსია გამართონ და მიიღონ მეტი ინფორმაცია პროფესიული ქცევის რეგულაციებზე;
- ადვოკატთა პროფესიული ქცევის მომწესრიგებელ აქტებ-

²⁵ ეთიკის კომისიის გამოცემები ხელმისაწვდომია ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე, www.gba.ge

²⁶ შენიშვნა: ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე (www.gba.ge) განთავსებულია კანონიერ ძალაში შესული ყველა გადანყვეტილება და გაცემული რეკომენდაცია

ზე მუშაობა, რათა ისინი პასუხობდეს იმ საჭიროებებს, რომელიც წარმოიშვა საადვოკატო საქმიანობის განვითარების პროცესში;

- თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან და ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში, კომისიის საქმიანობის მიმართ ცნობადობის ზრდისთვის;
- ეთიკის საკითხებზე ყოველწლიური კონფერენციის მოწყობა;
- განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ეთიკის ტრენინგებისთვის პრობლემური საკითხების გამოვლენა და ტრენინგებისთვის მასალათა მომზადება;
- პროფესიული ეთიკის კლინიკის მართვა, რაც სტუდენტებს შორის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესწავლას და პოპულარიზაციას უწყობს ხელს;²⁷
- სტუდენტებს შორის პროფესიული ქცევის სტანდარტებზე ცნობიერების ამაღლებისთვის საჯარო ლექციების, ვებინარების ჩატარება;
- ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის განვითარება;
- კომისია ასევე ჩართულია დისციპლინური წარმოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის შესაბამის პროფესიულ ტრენინგებში, ასეთებია, მაგალითად - პროცესის მართვა, მოსამართლის უნარ-ჩვევები, ეფექტიანი კომუნიკაცია და

²⁷ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკა 2016 წლიდან ფუნქციონირებს. კლინიკის მიზანია ბაკალავრიატის ბოლო კურსისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც შეესაბამება მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რათა საადვოკატო საქმიანობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი მზად იყოს ეთიკური საადვოკატო პრაქტიკისათვის. კლინიკური სწავლება დაწესდა 14 უნივერსიტეტში, მათ შორის 5 რეგიონულ უნივერსიტეტში. კლინიკის მხარდამჭერია USAID-PROLoG-ის პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება;“

კონფლიქტური სიტუაციების მართვა, გადაწყვეტილებათა წერის ეფექტიანობა, ანგარიშების წერის ტექნიკა და მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხილვა და სხვა;²⁸

- ეთიკის კომისიის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევებისთვის მიმართულებების განსაზღვრა და მასალის მომზადება;²⁹
- ეთიკის კომისია თანამშრომლობს დონორი ორგანიზაციების პროექტებთან, მათ შორის გამოარჩევს USAID-PROLoG-ის პროექტს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება,“ რომელთანაც მრავალწლიანი აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს, ასევე, უმნიშვნელოვანესი მხარდამჭერია ევ-

²⁸ ეთიკის კომისიის წევრებისთვის და კომისიის აპარატისთვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ფინანსურად მხარდაჭერილია დონორი ორგანიზაციების, USAID-PROLoG-ის პროექტისა და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის პროექტის მიერ.

²⁹ დისციპლინური წარმოების ხარისხის ზრდისთვის პირველი კვლევა ჩატარდა 2012 წელს, რომელიც მოიცავდა ეთიკის კომისიის საქმიანობის მომხმარებელთა (საჩივრის ავტორები) და იმ ადვოკატთა გამოკითხვას, რომელთა წინააღმდეგ 2010-2011 წლებში იხილებოდა დისციპლინური საქმეები (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP), იგივე დონორის ორგანიზაციის მიერ 2016, 2020 წლებში კვლავ ჩატარდა მომხმარებელთა კვლევა.

ადვოკატებისთვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციათა სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩატარდა მომხმარებელთა ორი კვლევა: პირველი კვლევა მოიცავდა იმ ადვოკატთა სატელეფონო გამოკითხვას, ვინც 2018-2020 წლებში მიმართა და მიიღო რეკომენდაცია ეთიკის კომისიისგან (მომზადდა CRRC-საქართველოს მიერ USAID-PROLoG-ის მხარდაჭერით); მეორე კვლევა მოიცავდა ადვოკატთა ფართო წრის (მათ შორის მათაც, ვისაც ჯერ კიდევ არ უსარგებლია რეკომენდაციის სერვისით) ჩართვას კვლევაში ონლაინ კითხვარის გაგზავნით, ასევე - სატელეფონო და ინდივიდუალურ გასაუბრებებს (მომზადდა „ეისითი იმპაქტის“ მიერ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით).

როპის საბჭოს საქართველოს ოფისის პროექტი „ადვოკატის მხარდაჭერა საქართველოში.“

ეთიკის კომისიის წევრები, მიუხედავად დატვირთული პროფესიული საქმიანობისა, ცდილობენ შეინარჩუნონ და განავითარონ კარგად ფუნქციონირებადი დისციპლინური სისტემა.

3. ეთიკის კომისიის სტრუქტურა

3.1 კოლეგიათა შემადგენლობა და მუშაობის წესი

ეთიკის კომისია არის მუდმივმოქმედი, დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც საქმიანობს ქ. თბილისში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

ეთიკის კომისია შედგება 15 კომისიის წევრისგან. კომისიის ჯეროვან საქმიანობას უზრუნველყოფს კომისიის აპარატი. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, ეთიკის კომისიის 15 წევრიდან სამი უნდა იყოს არაადვოკატი წევრი, რაც წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის წინაპირობას.³⁰

ეთიკის კომისია კოლეგიური ორგანოა და იყოფა 5 დისციპლინურ კოლეგიად. თითოეული დისციპლინური კოლეგია შედგება ეთიკის კომისიის სამი წევრისგან. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიების შემადგენლობას და კოლეგიების თავმჯდომარეებს ერთი წლის ვადით. კომისიის თავმჯდომარე წევრებს კოლეგიებში ანაწილებს მათი სპეციალიზაციისა და პროფესიული გამოცდილების მიხედვით, ვინაიდან სამართლის სხვადასხვა მიმართულების საქმეების განხილვის გამო, დაცული უნდა იყოს წევრთა კომპეტენტურობისა და კვალიფიკაციის პრინციპები. დისციპლინური კოლეგიების შემადგენლობა ეყრდნობა სხვადასხვა სპეციალიზაციის ადვოკატთა წარმომადგენლობას. თითოეულ კოლეგიას ჰყავს კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც საქმის განხილვის გარდა, მენეჯერულ ფუნქციებს ითავსებს. ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ასევე არის ერთი-ერთი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე. კოლეგიათა დამოუკიდებლობა საქმის განხილვისა და

³⁰ „პროფესია ადვოკატი“, ირაკლი ყანდაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, თბილისი 2018, GIZ, გვ. 18

გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარანტირებულია.³¹

ეთიკის კომისიის წევრები განიხილავენ მათი კოლეგიის წარმოებაში არსებულ დისციპლინურ საქმეებს, ასევე გასცემენ რეკომენდაციებს ადვოკატებისთვის. კომისიის წევრთა წარმოებაში აღმოჩნდება, როგორც მათი არჩევის შემდეგ ასოციაციაში მიმართული საჩივრის საფუძველზე რეგისტრირებული საქმეები, ასევე - მათ გადაეცემათ ის საქმეები, ე.წ. „ნაშთი“ ნაწილი, რომელიც წინა მანდატის უფლებამოსილების კომისიის წარმოებაში იყო, მათი შესწავლა და განხილვა არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარე საქმეთა სტატუსი აქვს. კომისიის (თითოეული კოლეგიის) წევრები მუშაობენ შეთანხმებული წესით, ეცნობიან საქმეებს, იღებენ გადაწყვეტილებას, წყვეტენ რომელ საქმეზე ჩატარდეს ზეპირი მოსმენა, საჩივრის შესწავლის საწყის, ე.წ. საპროცესო ეტაპზე, ხომ არ არის საჭიროება კოლეგიურად მოისმინონ საქმე, ან თუ გაინაწილონ მათ წარმოებაში არსებული საქმეები შესწავლის მიზნით მოკვლევისთვის და ინდივიდუალურად წარმართონ მხარეებთან შეხვედრები. კომისიის წევრები გეგმავენ თითოეულ საქმეზე განსახორციელებელ მოქმედებებს და საქმის განხილვის დროისათვის მომუშავე კოლეგია, იმ პერიოდში მორიგე იურისტთან შეთანხმებით, მუშაობს დასრულებულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა წერილობითი ფორმით დასაბუთებისთვის.

3.2 ვინ ირჩევს კომისიის წევრებს?

ეთიკის კომისიის ადვოკატი და საზოგადოების წარმომადგენელი წევრები (ე.წ. არაადვოკატი) აირჩევიან საერთო წესით - ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ.³²

³¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.1, 4.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

³² საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. დღესდღეობით ეთიკის კომისიის წევრებს უფლებამოსილების ვადის გასვლით ერთსა და იმავე დროს უწყდებათ წევრობა. ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ ახალი წევრის არჩევისთანავე.³³

კომისიის წევრებს, რომელთაც შეუწყდებათ უფლებამოსილება, ეკისრებათ ვალდებულება, დაასრულონ იმ გადაწყვეტილებათა წერილობითი, დასაბუთებული ფორმით მომზადება, რომელიც დასრულდა მათი წევრობის პერიოდში. ეთიკის კომისიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ საქმეთა დაუსრულებელი ნაწილი გადაეცემა ახლადარჩეულ კომისიას და მიმდინარე საქმეებზე სწორედ ახლადარჩეული წევრები აგრძელებენ წარმოებას. ის წევრები, არჩევით საფუძველზე საქმიანობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო, ვისაც შეუწყდათ უფლებამოსილება, დაასრულებენ გადაწყვეტილებების მოტივირებული, წერილობითი ფორმით მომზადებას და ეთიკის კომისიის აპარატს გადასცემენ პროცესის ტექნიკურად დასრულებისთვის, მხარეებთან დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლების გასაგზავნად.

3.3 რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატი?

ეთიკის კომისიის წევრობის მსურველი ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს ასოციაციის საერთო კრების მიერ დადგენილ წინაპირობებს:

- მინიმუმ 30 წლის ასაკი;
- მინიმუმ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება;³⁴

³³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.1, 4.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

³⁴ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21.4, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

- სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული შესაძლო საკუთრებითი უფლებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება;³⁵
- პირი არ უნდა იყოს ნასამართლავი სისხლის სამართლებრივი ქმედებებისთვის;³⁶
- პირს დაკისრებული არ უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული სახდელი ან შეწყვეტილი არ უნდა ჰქონდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არჩევამდე 3 წლით ადრე.³⁷

ეთიკის კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნას ადვოკატთა ასოციაციის წევრი, რომელიც ახორციელებს სხვა საქმიანობას, გარდა საადვოკატო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა. ეთიკის კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები.³⁸

ეთიკის კომისიის წევრებს არ ენიშნებათ ხელფასი ან სხვა კომპენსაცია.³⁹

ეთიკის კომისიის წევრობის მსურველმა კანდიდატმა, საერთო კრების თარიღის გამოქვეყნებიდან, შვიდი დღის ვადაში უნდა წარუდგინოს განცხადება ასოციაციის აპარატს. განცხადება უნდა შეიცავდეს კანდიდატის სახელს და გვარს, ასოციაციის წევრის სიით ნომერს, ინფორმაციას საადვოკატო ბიუროში საქმიანობის, პროფესიული გამოცდილების, ადვოკატად მუშაობის სტაჟის შე-

³⁵ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 30.1 „ა“, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

³⁶ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 30.1 „ბ“, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

³⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 30.1 „გ“, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

³⁸ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.14, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

³⁹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.16, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

სახებ და ფაქტობრივ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს.⁴⁰ ადვოკატთა ასოციაცია კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სავალდებულო მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უზრუნველყოფს მსურველის რეგისტრაციას კანდიდატად და მისი მონაცემები შეაქვს საარჩევნო ბიულეტენში. პირს უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა კენჭისყრის დაწყებამდე.⁴¹

არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო თვითრეგულირების ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი⁴².

ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრი შეიძლება იყოს 30 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით, რომელიც არაა ნასამართლეთა, სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაციით და არის თავისი სფეროს გამოჩენილი სპეციალისტი.⁴³

ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე ეთიკის კომისიის სამი არა ადვოკატი წევრი კანდიდატის ნომინირება და

⁴⁰ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 13.1.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴¹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 13.1.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴² საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴³ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.6, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

არჩევა ხდება ეთიკის კომისიის სხვა ადვოკატი წევრებისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებული საარჩევნო სიის საფუძველზე. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ კენჭისყრის შედეგად არ შეივსო თვითრეგულირების ორგანოს წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა, კენჭი განმეორებით ეყრება უკეთესი შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს, რამდენი წევრიცაა ასარჩევი.⁴⁴

3.4 ვინ არის კომისიის სათადარიგო წევრი?

კომისიის წევრთა საქმიანობის უწყვეტობის მიზნით, 2018 წლის დეკემბრიდან, ასოციაციის საერთო კრება ირჩევს ეთიკის კომისიის არაუმეტეს ექვს სათადარიგო წევრს. სათადარიგო წევრებად აირჩევიან ეთიკის კომისიის წევრობის საუკეთესო შედეგის მქონე ის კანდიდატები, რომლებმაც სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღეს, მაგრამ ვერ მოხვდნენ ეთიკის კომისიის შემადგენლობაში.⁴⁵

ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო სათადარიგო წევრი. თუ ეთიკის კომისიის წევრის სათადარიგო წევრით ჩანაცვლება შეუძლებელია, ასოციაციის საერთო კრება ამ მუხლით დადგენილი წესით ირჩევს ეთიკის კომისიის ახალ წევრს.⁴⁶

⁴⁴ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.7, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴⁵ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.7², 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴⁶ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.7³, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ეთიკის კომისიის წევრის ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.⁴⁷

ეთიკის კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეული იქნას ადვოკატთა ასოციაციის წევრი, რომელიც ახორციელებს სხვა საქმიანობას, გარდა საადვოკატო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა.⁴⁸ ეთიკის კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიის წევრები.⁴⁹

ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისიის წევრის სათანადო წევრით ჩანაცვლება შეუძლებელია, ახალი წევრის არჩევა ხდება რიგგარეშე ან მორიგი საერთო კრების მიერ იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი კომისიიდან გასულ წევრს.⁵⁰ ამასთან, ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საერთო კრების მიერ არჩევიდან და წყდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, ახალი წევრის არჩევისთანავე.⁵¹

3.5 ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ეთიკის კომისიის წარმომადგენლობას და მისი საქმიანობის მართვას ახორციელებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. კომისია თავის შემადგენლობიდან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით ირჩევს

⁴⁷ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 30.2, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁴⁸ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.14, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁴⁹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.21, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵⁰ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.18, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵¹ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.20, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. პირი ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.⁵² ეთიკის კომისიის წევრის, კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შემთხვევაში აუცილებელია ამ პირის წერილობითი თანხმობა.⁵³

კომისიის თავმჯდომარე, როგორც მენეჯერი:

- ინვეს და ხელმძღვანელობს კომისიის, როგორც სამუშაო ფორმატის, ასევე სრული შემადგენლობის სხდომებს, უზრუნველყოფს წევრებისთვის განსახილველი მასალის წინასწარ მიწოდებას;
- ანაწილებს საჩივრებს საპროცესო წესით მორიგე და განხილვის წესით რიგითობით ფუნქციონირებად კოლეგიებს შორის.⁵⁴

რეგისტრირებული საჩივარი გადაეცემა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ან მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ უფლებამოსილ ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც 5 დღის ვადაში გადასცემს საჩივარს საპროცესო კოლეგიის ფუნქციის განმახორციელებელ დისციპლინურ კოლეგიას.

საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში, დისციპლინური საქმე განსახილველად გადაეცემა განხილვის კოლეგიას.⁵⁵ განხილვის კოლეგიებს დისციპლინური საქმეები განსახილველად გადაეცემათ მიმდევრობით, გარდა იმ შემთხვე-

⁵² საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.10, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 42.9, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

⁵⁴ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 22.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 5.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ვისა, როდესაც კონკრეტულ საქმეზე განხილვის კოლეგია ასრულებდა საპროცესო კოლეგიის ფუნქციას. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დისციპლინურ საქმეს გადასცემს განხილვის იმ კოლეგიას, რომელიც დადგენილ რიგითობაში მომდევნოა ნუმერაციაში.⁵⁶

- ადგენს კოლეგიების შემადგენლობას - აკომპლექტებს კოლეგიების წევრებსა და კოლეგიების თავმჯდომარეებს საკუთარი გადაწყვეტილებით ერთი წლის ვადით. დისციპლინური კოლეგიების განსაზღვრისას ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ითვალისწინებს სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე ადვოკატების წარმომადგენლობას ერთი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში, ისევე, როგორც არა ადვოკატი წევრების ჩართულობას (იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკის კომისიის 15 წევრთაგან სამი არაადვოკატია, სულ სამ კოლეგიაში გადანაწილდებიან არა ადვოკატი წევრები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის ხუთი კოლეგიური შემადგენლობიდან, სამ კოლეგიაში, შესაბამისად, თითო არა ადვოკატი წევრია ორ ადვოკატ წევრთან ერთად, თუმცა, არა ადვოკატი წევრი ისეთივე სრულუფლებიანი წევრია საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც ეს ადვოკატი წევრის შემთხვევაშია).⁵⁷
- ნიშნავს კოლეგიის ალტერნატიულ წევრს დისციპლინური კოლეგიის წევრის მიერ მისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას, რომელიც გამოწვეულია ავადმყოფობის, აცილების ან თვით აცილების ან სხვა საპატიო მიზეზების გამო.⁵⁸

⁵⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 5.6, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ან, მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წევრი.⁵⁹

კომისიის თავმჯდომარე, ვინაიდან პარალელურად წარმოადგენს ერთ-ერთი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარეს, საქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე ასრულებს თავმჯდომარის ორგანიზაციულ ფუნქციებს თავისი კოლეგიის საქმეებზე, რაც გამოიხატება კოლეგიის წევრებს შორის საქმეთა განაწილებაში, სხდომის ხელმძღვანელობაში, მასალებზე, გადანიშნულებათა დასაბუთებაზე მუშაობაში.

3.6 ეთიკის კომისიის აპარატი

ეთიკის კომისიის წარდგინებით ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს ეთიკის კომისიის აპარატს, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების საკითხს.⁶⁰ ეთიკის კომისიას ყავს მუდმივმოქმედი აპარატი, რომელიც ასოციაციაში დადგენილი შინაგანანესით განსაზღვრული პირობების დაცვით საქმიანობს სამუშაო დღეებში და არის მთავარი რგოლი საზოგადოებასა და ეთიკის კომისიას შორის. აპარატის იურისტები მხარეებთან - საჩივრის ავტორებთან, ადვოკატებთან და დისციპლინური წარმოებით დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობენ და მონაწილეობენ კომისიის საქმიანობაში ყველა მიმართულებით. ამჟამად ეთიკის კომისიის აპარატი შედგება უფროსი იურისტისა და იურისტებისაგან.

წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.4, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁵⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 39.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁶⁰ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 21.17, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

იურისტის, მათ შორის უფროსი იურისტის, ძირითადი ფუნქციებია:

- ✓ მოქალაქეთა, მათ შორის ადვოკატთა კონსულტაცია დადგენილი რიგითობით;
- ✓ მორიგეობის პერიოდში შემოსული საჩივრის რეგისტრაციაში გატარება და შემდგომი დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა;
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული თემატიკის მიხედვით, შემოსულ საქმეებზე პასუხის მომზადება და ადრესატთან ურთიერთობის კოორდინაცია;
- ✓ საპროცესო ეტაპზე მორიგე კოლეგიასთან მუშაობა: კოლეგიის მორიგეობის პერიოდში, შემოსულ საჩივრებზე სხდომების ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის და სხვა საჭირო მასალების უზრუნველყოფა, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება და, საქმეთა განაწილების შესაბამისად, აპარატის სხვა იურისტებისათვის მათ წარმოებაში არსებული საქმეების შედეგებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ✓ განხილვის ეტაპზე მორიგე კოლეგიასთან მუშაობა: პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე განხილვის სხდომების ორგანიზება, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება, წარმოებასთან დაკავშირებული წევრთა დავალებების შესრულება;
- ✓ კომისიის წევრთა ინფორმირებისა და პრაქტიკის ერთგვაროვნებისთვის ინფორმაციის მოძიება კომისიის პრეცედენტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ;
- ✓ კოლეგიასთან შეთანხმებული წესით გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- ✓ კომისიის, კოლეგიის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი წევრის მითითებით სხვა ნებისმიერი დავალებების

შესრულება, რომელიც დაკავშირებულია დისციპლინურ წარმოებასთან;

- ✓ კოლეგიების შიდა სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და წერილობით სახით შეჯამება (მათ შორის ოქმის მომზადება);
- ✓ პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ საქმეებზე არქივის მონესრიგება;
- ✓ ყოველთვიურად მიმდინარე საქმეების ცხრილსა და სტატისტიკურ მონაცემებზე მუშაობა;
- ✓ ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაზე მუშაობა;
- ✓ ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდის მართვა, მათ შორის გადამწყვეტილებათა, რეკომენდაციათა დამუშავება და განთავსება;
- ✓ ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალისთვის, ვებ გვერდისთვის ეთიკის კომისიის საქმიანობაზე ინფორმაციის მომზადება;
- ✓ სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობა განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში პროფესიული ეთიკის ტრენინგის მოდულისთვის პრობლემური საკითხების გამოვლენა ეთიკის კომისიის პრაქტიკის საფუძველზე;
- ✓ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკის მართვა: უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, თეორიული, პრაქტიკული შეხვედრების ყოველკვირეულად ჩატარება და კლინიკის სამომავლო განვითარებაზე ზრუნვა ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიის შესაბამისად;
- ✓ სტუდენტებისთვის ვებინარების, საჯარო ლექციების ორგანიზება;
- ✓ ადვოკატის პროფესიული რეგულაციების თაობაზე საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და კომისიის წევრთა მხარდაჭერა საკანონმდებლო ცვლილებებზე სამუშაო ჯგუფებში;

- ✓ ადვოკატისთვის რეკომენდაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად ზეპირი და წერილობითი შეკითხვების მიღება, ადვოკატებთან კომუნიკაცია და პასუხების მომზადებისთვის კომისიის წევრთა დავალებების შესრულება;
- ✓ კომისიის წევრთათვის სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებისთვის მასალების მომზადება და შეხვედრების ორგანიზება, მათ შორისაა რეგიონული შეხვედრები ადვოკატებთან;

უფროსი იურისტი, გარდა ზემოთ აღნიშნული ფუნქციებისა, არის ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმომადგენელი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში; იგი ურთიერთობს კომისიის დონორებთან; აჯამებს ეთიკის კომისიის წლიურ საქმიანობას და ამზადებს ანგარიშს; პასუხისმგებელია ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე ეთიკის კომისიის ნაწილში; ასევე - კოორდინაციას უწევს ეთიკის კომისიის იურისტთა მუშაობას.

4. დისციპლინური სისტემის დაფინანსება

მხარეებისთვის ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება უფასოა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატებისათვის ერთადერთ ასოციაციას წარმოადგენს, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე და მისი ბიუჯეტი იქმნება ადვოკატთა მიერ გადახდილი სანევრო გასახადებით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება ასოციაციის ბიუჯეტის დამტკიცება. ასოციაციის ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება კი სარევიზიო კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება.⁶¹

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მთელი ორგანიზაციისათვის ერთიანი ბიუჯეტი აქვს. ასოციაციის სანევრო ფარავს ყველა ხარჯს: ხელფასებს, საკანცელარიო ხარჯებსა და სხვა. დისციპლინური სისტემის ხარჯებისათვის ბიუჯეტის გამოყოფა განცალკევებულად არ ხდება. არც დისციპლინური სისტემის დაფინანსებისთვისაა გამოყოფილი სპეციალური (განცალკევებული) თანხები და ეთიკის კომისიის აპარატის სახელფასო ხარჯი თუ საქმისწარმოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა გაიწევა ასოციაციის საერთო ბიუჯეტიდან. დისციპლინური წარმოების ხელმისაწვდომობის მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები (საჩივრის ავტორი და მისი მოპასუხე ადვოკატი) ეთიკის კომისიაში რაიმე სახის მოსაკრებელს არ იხდიან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების ხარჯების (დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული) დაფარვას, გარდა მხარეთა ინიციატივით ადვოკატის, თარჯიმნის, სპეციალის-

⁶¹ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 29.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ტისა და მოწმის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯებისა, რომელთა დაფარვას უზრუნველყოფს ინიციატორი მხარე.⁶² დისციპლინური წარმოების განვითარების ნაწილში კომისიის საქმიანობას მხარს უჭერენ დონორი ორგანიზაციები, რომელთა დახმარებით შეიძინა კომისიამ პროფესიულ ეთიკაზე უცხოენოვანი ლიტერატურა, გააუმჯობესა ტექნიკური აღჭურვა, მათ შორის სხდომის დარბაზის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური რესურსები.

⁶² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 39.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

5. დისციპლინური წარმოების ეტაპები - წარმოება საპროცესო და განხილვის წესით

დისციპლინური წარმოება ექცევა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში. ადვოკატის წინააღმდეგ წარმოება წარმოადგენს მიუკერძოებელი სადისციპლინო კომიტეტის კომპეტენციას, რომელიც შექმნილია ადვოკატებისგან, სანამ საქმე გადაეცემა დამოუკიდებელ სასამართლოს გადასახედად. ადვოკატი უფლებამოსილია ჰქონდეს სამართლიანი საჯარო მოსმენა და წარმოდგენილი იყოს ადვოკატით.⁶³

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატები ვერ შეძლებენ თავიანთი როლისა და ვალდებულებების შესრულებას პროფესიული სტანდარტების დაცვით, ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი პროფესიული გადაცდომისთვის. პროფესიული გადაცდომები ექვემდებარება პროფესიულ პასუხისმგებლობას დისციპლინური წარმოების სისტემის საშუალებით. დისციპლინირების პროცესი განისაზღვრება პროფესიული საქმიანობის კოდექსის, სხვადასხვა აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.⁶⁴

დისციპლინური წარმოება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ (საერთაშორისო) სტანდარტებს, მათ შორის კანონიერების პრინციპს. დისციპლინური წარმოება უნდა განისაზღვროს კანონის შესაბამისად.⁶⁵

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია დისციპლინური წარმოებისას ხელმძღვანელობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით; „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“;

⁶³ საქართველო, ანგარიში ადვოკატთა ასოციაციის დისციპლინური სისტემის შესახებ, იოს უიტდეჰაგ (ჰოლანდია), სექტემბერი, 2015, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის შესახებ „სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის, უკრაინისა და ბელარუსის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო, გვ. 11

⁶⁴ იქვე, გვ. 11

⁶⁵ იქვე, გვ. 13

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით. საქმის გამოკვლევისა და გადანყვეტილების დასაბუთებისას კომისია ეყრდნობა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკას პროფესიული ეთიკის საკითხებზე. კომისიისთვის ასევე სახელმძღვანელო ხასიათი აქვს ეთიკის კომისიის მიერ შიდა შეხვედრებზე მიღებულ გადანყვეტილებებს, რაც მიიღება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით და წერილობითი ფორმით აისახება შეხვედრათა ოქმებში.

იმ მიზნით, რომ, ადვოკატებისთვის განჭვრეტადი იყოს დისციპლინური წარმოების საკითხები, პროფესიული ქცევის თითოეული სტანდარტის შინაარსი, კომისია ეთიკის კოდექსის ნორმებს განმარტავს გადანყვეტილებებში, უთითებს სხვა გადანყვეტილებებიდან იმ განმარტებებს, რასაც იზიარებს, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომისთვის 2011 წლიდან ამუშავებს და განაზოგადებს კომისიის პრაქტიკას, რაც საჯაროდ ქვეყნდება, განთავსებულია ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე.⁶⁶

⁶⁶ <https://gba.ge/ka/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94>

დისციპლინური წარმოება საპროცესო კოლეგიის მიერ

წარმოების დაწყების საფუძველი
- წერილობითი საჩივარი ან მიმართვა

წარმოების დასრულების შედეგად
საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული
გადაწყვეტილებები

დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი

დისციპლინური დევნის აღძვრა

საქმე გადაეცემა განხილვის კოლეგიას, რასაც მოჰყვება წარმოების გაგრძელება განხილვის კოლეგიის მიერ

დისციპლინური დევნის აღძვრის შემდეგ საქმის გამოკვლევა განხილვის კოლეგიის მიერ

განხილვის კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმა

დისციპლინური სახდელის დაკისრება

გაფრთხილება

საქმის გადაცემა ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისთვის, რასაც მოჰყვება წარმოების გაგრძელება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება

კერძო სარეკომენდაციო ბარათი

ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის მიერ საქმის
გამოკვლევის შემდეგად მიღებული გადაწყვეტილებებით
წარმოების დასრულება

დისციპლინური პასუხისმგებლობის
დაკისრებაზე უარი

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების
გამოყენება ან სახდელის გამოყენება
გაფრთხილების დაკისრების სახით, ასევე
საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება 6
თვიდან 3 წლამდე ვადით, ან საქმიანობის უფლების
შენწყვეტა

საკროცესო კოლეგიის მიერ საქმის წარმოება

5.1. როგორ იწყება დისციპლინური წარმოება?

დისციპლინური წარმოება იწყება ეთიკის კომისიისადმი წერილობითი მიმართვით.

დისციპლინური წარმოების მიზანია ადვოკატთა პროფესიული ეთიკური გადაცდომების გამოკვლევა, სათანადო რეაგირება და საზოგადოებაში ადვოკატთა პროფესიის მიმართ ნდობის ამაღლება.

ეთიკის კოდექსის პრეამბულით განსაზღვრულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანი:

საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.⁶⁷

ეთიკის კომისიაში საჩივრით მიმმართველ ავტორთა წრე საკმაოდ ფართოა. კომისიას საჩივრით შეუძლია მიმართოს პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ: ა) ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, კომისია არ განიხილავს ანონიმურ საჩივარს; ბ) ასევე ადვოკატმა, სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელმა ორგანომ; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ე) აღმასრულებელმა საბჭომ, სარევიზიო კომისიამ, ეთიკის კომისიამ.⁶⁸

საჩივრის ადრესატს წარმოადგენს სსიპ ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი, მოქმედი სტატუსით.⁶⁹

⁶⁷ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პრეამბულა

⁶⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 6, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁶⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 7.2 (გ), 2018 წლის 23 დეკემბრის

დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტით, პირის განცხადება ადვოკატის მიერ დისციპლინური დარღვევის სავარაუდო ჩადენის თაობაზე უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ადვოკატის მიერ შესაძლო დარღვევაზე არსებული პრეტენზიის შესახებ ასოციაციის ეთიკის კომისიაში სატელეფონო ზარის საშუალებით შეტყობინებისა და სატელეფონო საუბრის აქტის შედგენით წარმოების დაწყების მოთხოვნა არ განიხილება როგორც პირის განცხადება. საჩივრის ავტორს შეუძლია გამოიყენოს ეთიკის კომისიის მიერ დამტკიცებული საჩივრის ფორმა ან იგივე კომპონენტების გათვალისწინებით დაწეროს საჩივარი. საჩივრის ავტორს შეუძლია გამოიყენოს ელექტრონული ფორმაც, რომელიც განთავსებულია ასოციაციის ვებ გვერდზე.

ეთიკის კომისიამ 2018 წლის 9 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გამოითქვა მზაობა, რომ კომისიისათვის ადვოკატის მიერ შესაძლო დარღვევის ჩადენის თაობაზე მიმართვის ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, საჭირო იყო დანერგილიყო ელექტრონული საჩივრის ფორმა და ელექტრონულად ხელმოწერის შესაძლებლობა.⁷⁰ იმისათვის, რომ ეთიკის კომისიაში წარმოება იყოს უფრო მეტად ხელმისაწვდომი, ეთიკის კომისიამ 2018 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით,⁷¹ მხარი დაუჭირა საჩივრის დაშვებობას ელექტრონულ ხელმოწერასთან გათანაბრებული ფორმის მეშვეობით. საგულისხმოა, რომ ამ ცვლილებით საჩივრის ავტორები აქტიურად სარგებლობენ.

წერილობითი საჩივრით მიმართვის ფორმის მოქნილობასთან ერთად, აუცილებელია, საჩივარი შეიცავდეს კონკრეტულ რეკვიზიტებს:

- საჩივრის ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია
- მოპასუხე ადვოკატის ვინაობა

რედაქცია

⁷⁰ ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 ივლისის სხდომის ოქმი

⁷¹ ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 ივლისის სხდომის ოქმი

- საჩივრის ავტორის მოთხოვნა და გარემოებები, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება
- საჩივრის ავტორის ხელმოწერა და თარიღი

საჩივრის ავტორს განცხადების შეტანა შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის მიერ საჩივრის შეტანისას, საჩივარს უნდა დაერთოს რწმუნებულება, სადაც მითითებული იქნება, რომ მის რწმუნებულს უფლება აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინოს საჩივრის ავტორი,⁷² თუმცა წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან უშუალოდ საჩივრის ავტორის პოზიცია, ინფორმაცია შეიძლება იყოს არსებითი, გამოკითხვისას საჩივრის ავტორს ვერ ჩაანაცვლებს წარმომადგენელი. წარმომადგენლის პოზიციას არ აქვს ის მტკიცებულებითი ძალა, რაც საჩივრის ავტორის პოზიციას გააჩნია.

საჩივარს წარმოებაში იღებს ეთიკის კომისიის აპარატი. იურისტი ამოწმებს მოპასუხე ადვოკატის წევრობის სტატუსს და საჩივრის ფორმალურ გამართულობას. ეთიკის კომისიის აპარატი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე თუ საჩივარი აკმაყოფილებს დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნებს და მიუთითოს მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.⁷³ საჩივარი გადაეცემა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ან მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ უფლებამოსილ ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც 5 დღის ვადაში გადასცემს საჩივარს საპროცესო კოლეგიის ფუნქციის განმახორციელებელ დისციპლინურ კოლეგიას.⁷⁴

⁷² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 7.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁷³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 8.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁷⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 8.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

რამდენიმე ადვოკატის მიმართ ერთი საჩივრის წარდგენისას, საქმეები ადვოკატების მიხედვით იყოფა ინდივიდუალურ საქმეებად და თავისი რეგისტრაციის ნომერი ენიჭება, რომ წარმოება ინდივიდუალურად წარიმართოს საპროცესო ეტაპზე.

კომისიის ნევრთა გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ხარვეზი დადგინდეს საჩივარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მითითებული არ არის ისეთი მინიმალური რეკვიზიტები (მაგ. მხარესთან საკონტაქტო ინფორმაცია), რაც შეუძლებელს ხდის განცხადების საფუძველზე დისციპლინური წარმოების დაწყებას.⁷⁵

საჩივრის წარდგენამდე დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ეთიკის კომისიის იურისტისგან ინფორმაცია პროცედურებთან დაკავშირებით ან გაეცნოს მას ადვოკატთა ასოციაციის გვერდზე ხშირად დასმული კითხვების სახით.⁷⁶

5.2 ვინ შეიძლება იყოს მხარე ეთიკის კომისიაში?

ეთიკის კომისიაში მხარეები არიან საჩივრის/მიმართვის ავტორი და ადვოკატი.

საჩივრის ავტორში იგულისხმება პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.⁷⁷ ეთიკის კომისიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საჩივრის ავტორთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ კლიენტები, შემდეგ - ადვოკატის კლიენტის მონინაალმდევე მხარეები, ად-

რის რედაქცია

⁷⁵ ეთიკის კომისიის 2010 წლის 5 თებერვლის სხდომის ოქმი

⁷⁶ https://gba.ge/ka/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

⁷⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 6 „ა“, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ვოკატი, მოსამართლე, პროცესის მონაწილეები და სხვა პირები.⁷⁸

კომისიის წევრთა ნაწილის პოზიციით, ეთიკის კომისიაში მხარე შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ კლიენტი, ასევე მისი ოჯახის წევრი ან პირი, რომელმაც კლიენტის სასარგებლოდ და მისი ინტერესების დასაცავად გააფორმა ხელშეკრულება ადვოკატთან - ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეა.⁷⁹

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის ან ოჯახის წევრს მიერ საჩივრის შემოტანის შემთხვევაში, საჩივარი რეგისტრირდება და კომისია ადვოკატის კლიენტის პოზიციას არკვევს აქვს თუ არა უშუალოდ მას პრეტენზია ადვოკატის მიმართ. კლიენტის პოზიციის მიხედვით, კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის ან საქმის განხილვის თაობაზე.⁸⁰

⁷⁸ ეთიკის კომისიის სტატისტიკა, https://qba.ge/ka/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

⁷⁹ რედაქტორის კომენტარი - ეთიკის კომისიის წევრთა მოსაზრება ეფუძნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის პირველი ნაწილის დებულებას, რომლის მიხედვით, „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთ-შეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა“.

⁸⁰ რედაქტორის კომენტარი - ასეთი მიდგომა დასაბუთებულია იმით,

ეთიკის კომისია საჩივრის აღძვრის თვალსაზრისით უფლებამოსილ განმცხადებელს ამოწმებს ინდივიდუალურად, კონკრეტულ პრეტენზიათა ფარგლებში. მაგ: კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ვერ იქნება უფლებამოსილი განმცხადებელი მონინალმდეგე მხარის მონმეების ადვოკატის მხრიდან მათი კლიენტების მიმართ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ნაწილში.⁸¹

მნიშვნელოვანია, რომ საჩივარი შეიძლება აღიძრას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის წინააღმდეგ იმ ქმედებებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აქტიური წევრობის დროს. მას შემდეგ, რაც დაიწყება ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება და ადვოკატს შეუწყდება ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება შეჩერდება, მაგრამ არა უმეტეს კანონით განსაზღვრული 5 წლისა. დისციპლინური წარმოება განახლდება ადვოკატის მიერ წევრობის აღდგენისთანავე.⁸²

ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოების მხარე ასევე შეიძლება იყოს კომპანიის იურისტი, რომელიც ადვოკატია, ვინაიდან მასზე ვრცელდება პროფესიული რეგულაციები.⁸³

რომ აპეკის მე-5 მუხლის თანახმად „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის კოდექსს“, რაც იმას გულისხმობს, რომ გადამწყვეტია კლიენტის პოზიცია ადვოკატის მიერ განუვლი წარმომადგენლობის თაობაზე, თუნდაც ფორმალურად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების კონტრაპენტი (მხარე) კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი (მაგალითად, კლიენტის ოჯახის წევრი) იყოს.

⁸¹ ეთიკის კომისიის 2020 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N048/17

⁸² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 22.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁸³ ეთიკის კომისიამ 2015 წლის 8 იანვრის N012/14 წერილობითი რეკომენდაციაში განმარტა, რომ იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართ-

პროფესიული რეგულაციები ასევე ვრცელდება ადვოკატზე, რომელიც დავაში თავად არის მხარე და არ ახორციელებს ახორციელებს სხვა პირისთვის წარმომადგენლობით საქმიანობას. იგივე მიდგომას უჭერს მხარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა - „პროფესი-

ვლოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში (აპეკ-ის 11.1 მუხლი). ადვოკატთა ასოციაციის წევრობა – ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი, გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაში N002/14 განმარტა, რომ ადვოკატის სტატუსის მქონე პირისაგან საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა მოიცავს იმგვარ დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი, როდესაც პირს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტი, მარწმუნებელი, რომელსაც სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს თუ სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, მოელის ამ უკანასკნელისაგან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

ული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც.⁸⁴

5.3 ვინ შეიძლება იყოს წარმომადგენელი ეთიკის კომისიაში?

ეთიკის კომისიაში მხარეთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი ან ადვოკა-

⁸⁴ ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N164/13; ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/5-15 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „მართალია ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებისას, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ ადვოკატი გამოდიოდა მხარედ და არა წარმომადგენლად, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ეთიკის კოდექსის მე-7, მე-9, მე-10 მუხლები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში. როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ... ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“

ტი, სათანადო დოკუმენტის - მინდობილობის საფუძველზე.⁸⁵ ეთიკის კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მხარეს წარმომადგენლობა შეიძლება გაუნოს პირმა ორდერის საფუძველზე თუ მას თან ახლავს მარწმუნებელი. სხვა შემთხვევაში წარმომადგენლობა დაიშვება მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს რწმუნებულის სპეციალურ უფლებამოსილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98.1 მუხლის თანახმად, კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული საამისოდ მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება - წარმომადგენლის მარწმუნებელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინურ წარმოებაში.

ეთიკის კომისიის წევრებს ეკრძალებათ მხარის წარმომადგენლობა დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში.⁸⁶

ეთიკის კომისიის პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც კომისიამ უარი განაცხადა წარმომადგენლის მონაწილეობით წარმოების გაგრძელებაზე. ამის მიზეზს წარმომადგენელმა, ერთი მხრივ, წარმომადგენელთა არაინფორმირებულობა სადავო ფაქტებზე და, მეორე მხრივ, წარმომადგენლობის განწევსას ადვოკატის მიერ პირადი გამოცდილებით ხელმძღვანელობა და არა - კლიენტის პოზიციიდან გამომდინარე. საქმის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობს მხოლოდ მხარის წარმომადგენელი, საქმის განმხილველ კოლეგიას შეუძლია სთხოვოს მხარეს, თავად ჩაერთოს წარმოებაში.

⁸⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 10.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁸⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 10.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

5.1 რას აკეთებს საპროცესო კოლეგია საქმის გამოკვლევისათვის?

საქმის გამოკვლევისთვის საპროცესო კოლეგიას სჭირდება გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაც მოიცავს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- საქმის მომზადება, შესწავლა და წევრებს შორის შეთანხმება გამოკვლევისთვის მოქმედებებზე
- მხარეთა დავალება წარმოადგინონ გარკვეული მასალები
- გამოკითხონ მხარეები, მოწმეები და საქმის გამოკვლევასთან დაკავშირებული სხვა პირები

საპროცესო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას, იქნება თუ არა დისციპლინური დევნა ინიცირებული.⁸⁷ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება ეთიკის კომისიის სახელით საპროცესო კოლეგიის შემადგენლობის უმრავლესობით.⁸⁸

დისციპლინური კოლეგიისთვის საქმის გადაცემის შემდეგ საქმის მომზადება იწყება საჩივრისა (მიმართვის) და თანდართული დოკუმენტების ასლების ადვოკატისთვის გადაცემით, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი (მიმართვა).⁸⁹

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებაში 2015 წლის 24 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, ადვოკატი

⁸⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 5.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁸⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁸⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 14.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ვალდებული გახდა, კომისიას წარუდგინოს ახსნა-განმარტება მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარში მითითებული პრეტენზიების პასუხად, რაც საპროცესო კოლეგიის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა განხორციელდეს. დისციპლინური საპროცესო კოლეგია, დამკვიდრებული პრაქტიკით, საქმის სირთულიდან გამომდინარე, ახსნა-განმარტების წარმოსადგენად ადვოკატს განუსაზღვრავს 7-12 დღის ვადას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს საქმის სირთულის გათვალისწინებით კოლეგიისათვის ადვოკატის მიერ დასაბუთებული შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში. ადვოკატის მიერ განმარტების წარმოსადგენად განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, თუ განმარტება არ იქნება წარმოდგენილი, წარმოება გრძელდება.

საქმის გამოკვლევისათვის, საპროცესო კოლეგიამ შეიძლება დანიშნოს შეხვედრა მხარეებთან. შეხვედრის საჭიროება წყდება საქმეთა მიხედვით, ინდივიდუალურად. საპროცესო ეტაპზე გამართულ ზეპირ განხილვაში მხარეები მონაწილეობენ ცალ-ცალკე, კოლეგიის წინაშე საკუთარი მოსაზრების მეორე მხარის დაუსწრებლად წარდგენის გზით. ზეპირი განხილვის მიზანია, გამოიკვეთოს, დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს საჩივრის ავტორის პრეტენზია, რათა ადვოკატის სავარაუდო ეთიკურ გადაცდომასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია. რაც შეეხება ადვოკატის გამოკითხვას, საქმეზე სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, საპროცესო კოლეგია ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას, სრულად მოახსენოს კომისიას თავისი პოზიცია საჩივარში მითითებულ პრეტენზიებზე. ამ გზით უზრუნველყოფილია მხარეთა თანასწორობა საპროცესო კოლეგიის მიერ თითოეული მხარის განმარტების დამოუკიდებლად მოსმენის სახით. ამასთან, მხარეებს უფლება აქვთ მიიღონ მონინააღმდეგე მხარის გამოკითხვის ელექტრონული ჩანაწერები და მოემზადონ ზეპირი განხილვისთვის.

ეთიკის კომისიაში წარმდგენი საჩივრის ავტორთა ნაწილი შე-

საძლოა იმყოფებოდეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, მათთან, კომისიას დამკვიდრებული პრაქტიკით, წერილობითი ფორმით აქვს კომუნიკაცია თუ მათ არ ყავთ წარმომადგენელი.

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისათვის ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლოს ფუნქციის მქონე ორგანო, უკვე რამდენიმე წელია რაც კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებებს იყენებს. აღნიშნული გულისხმობს, რომ მხარეებს, რომლებიც საზღვარგარეთ ან თბილისიდან მოშორებით იმყოფებიან და არ აქვთ შესაძლებლობა ეთიკის კომისიის სხდომას დაესწონ უშუალოდ კომისიის სხდომაზე გამოცხადებით, რაც გარკვეულ მანძილზე გადაადგილების შეუძლებლობიდან გამომდინარეობს, კომისია შეხვედბა და ზეპირ მოსმენას ჩაატარებს მხარეების მონაწილეობით დისტანციურად. დისტანციური ფორმატით შეხვედრები იმართება მხარეებთან შეთანხმებით საქმის წარმოების კონფიდენციალურობის დაცვით. მხარეებს წინასწარ ეგზავნებათ ის წესები, რაც უნდა დაიცვან სხდომის მსვლელობისას, ასევე - ჩაბარდებათ გაფრთხილება იმის შესახებ, რომ წესების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს საქმის განხილვა.

დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურად მიიჩნევა და ამ მიზნით კოლეგიების სხდომები დახურულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ECHR“) პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო მიიჩნევს, რომ დისციპლინური სამართალწარმოებისას დახურული სხდომების ჩატარება არ ეწინააღმდეგება ECHR-ის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, თუ აღნიშნულს ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა და მონაწილე პირიც ამასვე მოითხოვს. თუ პირი, მოითხოვს საჯარო მოსმენას, ეს უფლება დაცული უნდა იქნეს.⁹⁰

⁹⁰ საქართველო, ანგარიში ადვოკატთა ასოციაციის დისციპლინური სისტემის შესახებ, იოს უიტდეჰააგ (ჰოლანდია), სექტემბერი 2015, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის შესახებ“ სომხეთის,

5.2 მხარეებთან კომუნიკაცია და შეტყობინებათა ჩაბარება

მოპასუხე ადვოკატს საჩივრის თაობაზე ინფორმირებისთვის იურისტი პირველად სატელეფონო საშუალებით უკავშირდება. სასურველია, იურისტი დარწმუნდეს, რომ ადვოკატს შეუძლია საუბარი და შემდეგ მიაწოდოს ინფორმაცია დისციპლინური წარმოების თაობაზე. დისციპლინური წარმოება არ არის სასიამოვნო პროცესი და ყველას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ამ პროცესის მიმართ. დიდი ალბათობით, ეს შეტყობინება მოულოდნელი იქნება ადვოკატისთვის. შესაბამისად, იურისტის ამოცანაა შექმნას თანამშრომლური ურთიერთობა ადვოკატთან. უშუალო კომუნიკაცია საშუალებას იძლევა იურისტმა ადვოკატს აუხსნას პროცედურა, შეუთანხმდეს დისციპლინური საქმის მასალების გადაცემის ფორმაზე და ზოგადად კომუნიკაციის წესზე. მაგალითად, რომელ ელ. ფოსტაზე ან მისამართზე ურჩევნია ადვოკატს კომუნიკაციის გაგრძელება. შესაძლებელია იურისტს ჰქონდეს საკონტაქტო ინფორმაცია, მაგრამ წარმოების კონფიდენციალობისა და დისციპლინური წარმოების დელიკატურობიდან გამომდინარე უპირატესია ადვოკატთან შეთანხმება.

პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი შინაარსის კომუნიკაციისას სასურველია იურისტმა საუბრის ამსახველი აქტი შეადგინოს, ვინაიდან ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადვოკატებმა უარყვეს ინფორმაციის მიწოდება საქმეზე.

როგორი გადანყვეტა იქნება უკეთესი ისეთ შემთხვევაში, როდესაც იურისტი ცდილობს ადვოკატისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო ადვოკატი სატელეფონო კავშირს თიშავს მას შემდეგ, რაც გაიგებს, რომ მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივართან დაკავშირებით უკავშირდება კომისიის იურისტი და არ აწვდის საკონტაქტო ელ. ფოსტას ან მისამართს?

უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაციის, თუ ასეთის მცდელობის

აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის, უკრაინისა და ბელარუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო, გვ. 14

თაობაზე იურისტი ადგენს სატელეფონო აქტს. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ადვოკატს იურისტი კვლავ უკავშირდება ტელეფონით, რადგან შეიძლება მას დამოკიდებულება ჰქონდეს შეცვლილი. ისეთ ვითარებაში, თუ ადვოკატი განმეორებით დაკავშირების დროსაც არ ისურვებს კომისიის იურისტისაგან ინფორმაციის მიღებას ან გაზიარებას, სასურველია, იურისტმა მოკლე ტექსტური შეტყობინება მიწეროს ადვოკატს, რა დროსაც გამოიყენებს იმ საკონტაქტო ინფორმაციას, რაც დაინტერესებულმა პირმა (საჩივრის ავტორმა) მიუთითა ან თავად მოიპოვა.

თუ ადვოკატი თავს არიდებს მის წინააღმდეგ არსებულ დისციპლინური საქმის წარმოებაში ჩართვას და მონაწილეობას, ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების მომზადებისას, რეკომენდირებულია დეტალურად, ქრონოლოგიურად (თარიღების მიხედვით) გაიწეროს გადაწყვეტილებაში, თუ რა მოქმედებები განხორციელდა კომისიის იურისტის მხრიდან საჩივრის მოპასუხე ადვოკატთან დაკავშირებისა და ინფორმაციის მისაწოდებლად. დისციპლინური საქმის შესწავლისას კომისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გაეცნოს, რა ქმედებები განახორციელა იურისტმა ადვოკატის დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც სამართლიანი სამართლოს განუყოფელი ნაწილია და დისციპლინურ სამართალწარმოებასაც მოიცავს.

დისციპლინური წარმოების მონაწილეებს სატელეფონო საუბრით ან შეტყობინების გზით ეცნობებათ საქმის განმხილველ კოლეგიასთან შეხვედრის დრო და ადგილი. რეკომენდირებულია იურისტმა შეადგინოს სატელეფონო საუბრის აქტი დისციპლინური საქმისთვის და ზოგადად მის მიერ განხორციელებული მოქმედებები ქრონოლოგიურად ასახოს დისციპლინურ საქმეში. შეტყობინების გზით უნდა მოხდეს აგრეთვე მოწმეების, ექსპერტებისა და თარჯიმნების დაბარება. თუ წარმოების მონაწილემ დანიშნა წარმომადგენელი, მაშინ შეტყობინება, მხარის ნაცვლად, მის წარმომადგენელს გაეგზავნება,

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმომადგენლის განმარტება ვერ ჩაანაცვლებს საჩივრის ავტორის თუ წარმოების სხვა მონაწილის განმარტებას და მისი პასუხები არ ჩაითვლება მტკიცებულებად.⁹¹

მხარეები და დისციპლინური წარმოების მონაწილე სხვა პირები შეიძლება დაბარებულ იქნან ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს კომისიის შეტყობინება უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ ეთიკის კომისიაში დროულად გამოცხადებისა და საქმისთვის მომზადების ვადა. შეტყობინება ადვოკატს ბარდება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე. თუ ამ მისამართზე ადვოკატთან დაკავშირება შეუძლებელია, შეტყობინება იგზავნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ მონაცემებში აღრიცხული ადვოკატის (საადვოკატო ბიუროს) მისამართზე. ამ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუნდაც ადვოკატი აღარ იმყოფებოდეს ამ მისამართზე, ან მან უარი განაცხადოს შეტყობინების ჩაბარებაზე.⁹² შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, რადგან ადვოკატი ვალდებულია, ადვოკატთა ასოციაციას წარუდგინოს ინფორმაცია, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის მისამართის და ამ მონაცემთა ცვლილებების თაობაზე, მისი წარმოშობიდან 10 დღის ვადაში.⁹³ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით, ეთიკის კომისიის აპარატი ატარებს კანონით დადგენილ ყველა ღონისძიებას იმისთვის, რომ მხარეს ჩაბარდეს შეტყობინება და მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დისციპლინურ წარმოებაში.

⁹¹ იხ. 5.2 ქვეპუნქტი

⁹² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 15.4

⁹³ ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

5.3 რა უფლებებით სარგებლობენ მხარეები საპროცესო კოლეგიაში წარმოებისას?

ეთიკის კომისიაში საქმის წარმოების მხარეები არიან საჩივრის ან მიმართვის ავტორი და ადვოკატი. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს უფლება აქვთ დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღონ როგორც პირადად (უშუალოდ), ასევე - ადვოკატის ან წარმომადგენლის მეშვეობით. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მომჩივანი მხარე თავად განსაზღვრავს მოთხოვნის მოცულობას და ფარგლებს.

დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებს ეთიკის კომისიაში აქვთ თანაბარი საპროცესო უფლება-მოვალეობები, მხარეები თავად განსაზღვრავენ რომელი მტკიცებულებით უნდა იყოს გამყარებული მათ მიერ მითითებული ფაქტები. მხარეებს თანაბრად აქვთ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები; ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე.⁹⁴

დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე ეთიკის კომისიის წევრის ან მთელი დისციპლინური კოლეგიის ამ დებულებით დადგენილი აცილების საფუძველი, უფლება აქვს ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე წერილობით განაცხადოს დასაბუთებული აცილება. მხარემ უნდა წარადგინოს განცხადება აცილების შესახებ 5 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა გარემოება, რომელიც იძლევა ეთიკის კომისიის წევრის ან

⁹⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 16, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

დისციპლინური კოლეგიის აცილების საფუძველს.⁹⁵

ეთიკის კომისიის წევრის აცილების ან თვითაცილების შესახებ განცხადებას იხილავს დისციპლინური კოლეგია იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, ვისი აცილების ან თვითაცილების საკითხიც დგა. წევრის აცილების წინააღმდეგ ან ასეთი აცილების მხარდასაჭერად ხმების თანაბარი რაოდენობის დროს წევრი აცილებულად ითვლება და იგი უნდა შეიცვალოს ალტერნატიული წევრით. დისციპლინური კოლეგიის სრული შემადგენლობის აცილების საკითხი განიხილება ამ დისციპლინური კოლეგიის ყველა წევრის მონაწილეობით. გადაწყვეტილება მიიღება განხილვაში მონაწილე დისციპლინური კოლეგიის წევრების ხმათა უმრავლესობით⁹⁶.

ეთიკის კომისია აცილებისა და თვითაცილების შესახებ განცხადებას აკმაყოფილებს კონკრეტულ, დებულებით განწერილ შემთხვევებში. დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც:⁹⁷

- თვითონ არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში;
- დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავია (ახლო ნათესავად ამ დებულების მიზნებისთვის ითვლება კანონისმიერი მემკვიდრე);
- იყო საპროცესო კოლეგიის წევრი, რომელმაც განიხილა დისციპლინური საქმე;
- სახელშეკრულებო ან პირად ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან;

⁹⁵ „ადოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 12.1, 12.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

⁹⁶ იქვე, მუხლი 12.3

⁹⁷ „ადოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 11.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

- არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.

ეთიკის კომისია აცილების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებას უთითებს საბოლოო გადაწყვეტილებაში.

5.4 რა პრინციპებს ეფუძნება საქმის გამოკვლევა საპროცესო ეტაპზე?

საპროცესო კოლეგია საქმის გამოკვლევისას ხელმძღვანელობს ინკვიზიციურობის პრინციპით, რომელიც ერთგვარად შეზღუდული სახით არის განსაზღვრული ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების დებულებაში.⁹⁸ დისციპლინურ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები, თუმცა საპროცესო კოლეგია ჩართულია ფაქტების გამოკვლევაში მხარის გამოკითხვისას, ასევე მასალის მოგროვებაში მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.⁹⁹

მხარეები განსაზღვრავენ დავის საგანს, უთითებენ ფაქტებს და საქმეს ურთავენ მტკიცებულებებს. ეთიკის კომისია შეზღუდული არ არის მხარის მიერ მითითებული ფაქტებით და რეაგირება შეუძლია საქმის გამოკვლევისას დადგენილ ისეთ ფაქტებზე, რაზეც საჩივრის ავტორი არ უთითებდა საჩივარში. კომისია უფლებამოსილია მხარის მიერ მითითებული ფაქტებს თავად შეუფარდოს სამართლებრივი ნორმები. ამ კონტექსტ-

⁹⁸ იხ. ქვემოთ 5.6 ქვეპუნქტი

⁹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4

ში საინტერესო იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განმარტების მოხმობა: „მხარემ სასამართლოს უნდა დაუდასტუროს ფაქტობრივი გარემოებების მის სასარგებლოდ შეფასების მართლზომიერება, სამართლებრივი შეფასება კი სასამართლოს პრეროგატივაა (jura novit curia - სასამართლომ იცის კანონი). საკასაციო საჩივრის იმგვარი გადატვირთულობა, როგორც განსახილველ საქმეშია, სასამართლოს ვერ შეუქმნის ან გაუმყარებს შინაგან რწმენას, რომ სარჩელი დასაბუთებულია, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადანყვეტილებას სასამართლო იმის მიხედვით იღებს, თუ როგორ წარადგენს ფაქტობრივ გარემოებათა თანმიმდევრულობას მოსარჩელე და როგორ შეედავება მას მოპასუხე“.¹⁰⁰ ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის მიერ საჩივრის განხილვის დროს მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე მოდავე მხარეების - საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის თანასწორობის პრინციპების დაცვით, სადაც მკაფიოდ იკვეთება ეთიკის კომისიის, როგორც სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოს როლი და საჩივრის განხილვის პროცედურული სტანდარტები.

5.5 მოკვლევის ფარგლები

საპროცესო კოლეგია საჩივარს იკვლევს მასში აღწერილი ფაქტების ფარგლებში, მაგრამ კოლეგია უფლებამოსილია გასცდეს საჩივარში მითითებულ ფაქტებს და წარმოების პროცესში გამოვლენილი ფაქტებიც შეაფასოს.

საჩივრის ავტორმა შეიძლება არ იცოდეს ეთიკური სტანდარტები; ის შეიძლება გარკვეულ ქცევას უბრალოდ გადაცდომად აფასებდეს. შესაბამისად, 1. კოლეგიას უფლება აქვს ყველა იმ ფაქტზე მოახდინოს რეაგირება, რასაც წარმოების პროცესში

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 აპრილის განჩინება საქმეზე N ას-473-2019

იგებს. 2. დისციპლინური წარმოება არ არის სამოქალაქო წარმოება და არავის აქვს მოლოდინი, რომ საჩივრის ავტორი იდეალურად გამოკვეთს არსებით ფაქტებს სამოქალაქო წარმოების მოსარჩელის მსგავსად. დისციპლინური წარმოება ადვოკატებისთვის პროფესიული ქცევების პოლიტიკის განმსაზღვრელია.

დისციპლინური დევნის საფუძველი ხდება ადვოკატის ქცევა, კონკრეტული ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაშია ადვოკატის ქცევის ეთიკურ სტანდარტებთან. თუ საქმის აღძვრის შემდეგ გამოიკვეთა ახალი ფაქტი, რომელიც იმ შესაძლო გადაცდომის ნაწილია, რაზეც მსჯელობს განხილვის კოლეგია, ადვოკატს მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს პოზიცია და კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ გამოვლენილი ფაქტი არსებითად ახალ საკითხს ეხება, რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს, წარმოება დასრულდება აღძვრის საფუძველების ფარგლებში და ახალ ნაწილში შესაძლებელია წარმოების თავიდან დაწყება. დისციპლინური სახდელის ადვოკატისთვის დაკისრების საფუძველი არ შეიძლება გახდეს სხდომის დროს მიღებული ახალი ინფორმაცია, რომელიც სათანადოდ არ არის გამოკვლეული.¹⁰¹

გადაწყვეტილების მიღებისას განხილვის კოლეგიამ უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს, ასევე ის მტკიცებულებები, რომლებზეც ნამსჯელია საპროცესო კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში.¹⁰²

5.6 როგორია მტკიცებულებათა მოპოვებისა და შეფასების სტანდარტი წარმოების საპროცესო ეტაპზე?

მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები. ეთიკის კომისია უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსგან ან კერძო სა-

¹⁰¹ იქვე

¹⁰² ეთიკის კომისიის 2011 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი

მართლის იურიდიული პირისგან კანონით დადგენილი წესით გამოითხოვოს განსახილველ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები, გამოკითხოს შესაბამისი პირები და შეასრულოს უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი სხვა მოქმედებები. სახელმწიფო ორგანომ და კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა ინფორმაციისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გაცემაზე უარი უნდა დაასაბუთონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.¹⁰³ აღნიშნული საკითხი დაკონკრეტებულია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, სადაც განმარტებულია, რომ „თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები.“¹⁰⁴

აღნიშნული რეგულაცია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში და შესაბამისად, დებულებაში შევიდა 2018 წელს. მანამდე არსებული რეგულაციით, ეთიკის კომისიას, შეეძლო მტკიცებულებათა გამოთხოვა, როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე საკუთარი ინიციატივით, რაც სადავო საკითხის სრულად გამოკვლევის შესაძლებლობას აძლევდა კომისიას. არსებულმა რეგულაციამ კომისიისათვის გაართულა ინკვიზიციურობაზე დაფუძნებული წარმოების პირობებში მტკიცებულებათა მოპოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2019 წლის 27 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე სსდ-18-19 ხაზი გაუსვა ეთიკის კომისიაში მიმდინარე წარმოების ინკვიზიურობას და განმარტა, რომ მიუხედავად „ადვოკატ-

¹⁰³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 28.13, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

¹⁰⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 17.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

თა შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტის დანაწესისა, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, განხილვის კოლეგია კანონით დადგენილ შემთხვევებში იხილავს დისციპლინურ საქმეს ამ დებულების მე-3 და მე-4 თავებით დისციპლინური კოლეგიებისთვის დადგენილი წესით, ამავე დებულების 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით განიხილოს და შეამოწმოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები“, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „განხილვის კოლეგიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და შეკითხვებით მიმართოს მოწმეებსა და ექსპერტებს საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით, ასევე მისცეს მხარეებს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალება“. წარმოების ინკვიზიციური ხასიათი კომისიას უფლებამოსილს ხდის სხდომაზე მოიწვიოს მოწმე და გამოკითხოს. ეთიკის კომისია უფლებამოსილია ზემოაღნიშნული დებულების 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოიწვიოს მოწმე მხარის შუამდგომლობის გარეშე და საქმის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, დაუსვას შეკითხვები.

მტკიცებულებათა გამოთხოვისას, ინკვიზიციურობის პრინციპი ეთიკის კომისიამ 2011 წელს შემდეგნაირად განმარტა: თუ მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, წარმოუდგენლობის მიზეზის მიუხედავად, ეთიკის კომისიას საკუთარი ინიციატივით შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები.¹⁰⁵

როგორც კომისიის წევრთა, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებში ექსპერტის, და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ეკატერინე გასიტაშვილის პოზიციას, რომ კომისიამ იხელმძღვანელოს „*contra legem*“ ნორმის განმარტების სახით, რაც გულისხმობს კანონის განმარტებას მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ.

¹⁰⁵ ეთიკის კომისიის 2011 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი

მტკიცებულების გამოკვლევის დროს კომისია ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ დაუშვებელი მტკიცებულება შეფასებას არ ექვემდებარება. დაუშვებელი მტკიცებულებაა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება¹⁰⁶ და მტკიცებულება, რომელსაც საქმესთან შემხებლობა აქ აქვს.¹⁰⁷ შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში, ეთიკის კომისიას შეუძლია შესთავაზოს მხარეს, რომ მან წარმოადგინოს მტკიცებულება. სხდომაზე, კომისიის წევრის მიერ დასმული შეკითხვა მიზნად ისახავს საქმის გადანყვევებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად საჭირო მტკიცებულებათა გამოვლენას და წარდგენილი მტკიცებულებების უტყუარობის გამორკვევას.¹⁰⁸

ეთიკის კომისიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა მონმის ახსნა-განმარტება. მონმე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე. მონმის გამოკითხვით დაინტერესებულმა მხარემ, კომისიას უნდა მიუთითოს მონმის საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია და გარემოება, რომლის დასადასტურებლად სჭირდება მონმის გამოკითხვა. კომისიაში მონმის წარმოდგენას უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარე.

კომისიას შეუძლია უარი თქვას მონმის გამოკითხვაზე, თუ მიიჩნევს, რომ მის მიერ დასადასტურებელ გარემოებას კავშირი არ აქვს განსახილველ დისციპლინურ საქმესთან ან აღნიშნული გარემოება მონმის განმარტებით ვერ დადასტურდება. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიას უფლება აქვს არ გამოკითხოს მონმე, თუ მის მიერ დასადასტურებელი ფაქტი, უკვე დადასტურებულია საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით. ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო

¹⁰⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 103.3

¹⁰⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 104.1

¹⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 222

კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი დებულება: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე, კომისია მოწმის ახსნა-განმარტებას იღებს მხარის დასწრების გარეშე. საპროცესო განხილვის ეტაპზე დებულება ითვალისწინებს მოწმის გამოკითხვას ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით, რაც მოწმის განმარტების მიღებას გაცილებით უფრო ხელმისაწვდომს ხდის. თუმცა, კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე არასასურველი გამოცდილების გამო, კომისიის წევრთა ნაწილის მოსაზრებით, სასურველია, თუ მოწმე კომისიას თავის განმარტებას მოახსენებს პირადად, უშუალოდ კომისიის სხდომაზე, რადგან ამით აცილებული იქნება მასზე შესაძლო გარეშე ზეგავლენა.

კომისიამ რეკომენდაცია გაუწია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენებით, კერძო დადგენილებებით, გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები აღიარებულ იქნეს პრეიუდიციული ძალის მქონედ, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც ცნობილი გახდა კომისიისათვის და რომელთა გათვალისწინებით, კომისიას შეუძლია დასაბუთებულად არ მიიჩნიოს რომელიმე ასეთი ფაქტი პრეიუდიციული ძალის მქონედ.¹⁰⁹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 20 თებერვალს, სასამართლოს პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებაში **ნას-24-24-2012** განმარტა, რომ „სასამართლოს მხრიდან შეკითხვის დასმა არ არის დისპოზიციურობის დარღვევა, ამასთან, დისპოზიციურობის დარღვევა მხოლოდ მაშინაა გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა, თუ დარღვევა შედეგზე აისახება“.¹¹⁰ მოხმობილი განმარტება კომისიას, როგორც ქვაზი-სასამართლოს ფუნქციის მქონე

¹⁰⁹ ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ივლისის სხდომის ოქმი

¹¹⁰ სუსგ, **ნას-24-24-2012**, 20.02.2012 წ

ორგანოს, საშუალებას აძლევს, აქტიურად იყოს ჩართული დისციპლინური საქმის გამოკვლევაში იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ კომისიაში ერთ-ერთი მხარე ხშირ შემთხვევაში არის იურიდიული განათლების არმქონე პირი და არც კვალიფიციური წარმომადგენლის დახმარებით სარგებლობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე **Ruiz Torija v. Spain**, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე **Seryavin and Others v. Ukraine** §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. **Kraska v. Switzerland**, § 30; **Van de Hurk v. the Netherlands**, §59; **Perez v. France**, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუა-

ალეზა ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, დეონტოლოგიური (ეთიკური) ნორმების დაცვის უზრუნველყოფისა და დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებიდან გამომდინარე, როდესაც გადასაწყვეტი საკითხი უკავშირდება პროფესიის რეაგირებას მისი წარმომადგენლის მიერ ჩადენილ შესაძლო ეთიკურ გადაცდომაზე (დარღვევაზე), განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დისციპლინური საქმის განმხილველი ქვაზი მოსამართლეების (ეთიკის კომისიის წევრების) შეკითხვებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის (საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე გარკვეულწილად ე.წ. ინკვიზიციურობის ელემენტების გამოყენებით) პრინციპის დაცვით ხორციელდება.

5.7 მტკიცების სტანდარტი დისციპლინური წარმოების პროცესში

საპროცესო კოლეგია ადვოკატის მიმართ დაინყებს დისციპლინურ დევნას, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა. კომისიის შეფასებით, აღნიშნული ნორმიდან არ გამომდინარეობს, რომ განმცხადებელი უნდა უთითებდეს კონკრეტულ გადაცდომაზე.¹¹¹ საქმის შესწავლის დროს კომისია სა-

¹¹¹ 2013 წლის 06 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი 05/13

ჩივრის პრეტენზიით არ არის შეზღუდული და თუ აღმოაჩენს ადვოკატის ქმედებაში გადაცდომას, რომელზედაც შესაძლოა საჩივრის ავტორი არ უთითებდეს, იგი უფლებამოსილია დაიწყოს დისციპლინური დევნა და მიუთითოს ადვოკატის წინააღმდეგ დევნის აღძვრის შესახებ გადანყვეტილებაში ყველა იმ სავარაუდო დარღვევაზე (ეთიკის ნორმებზე), რა ფარგლებშიც დაიწყო დევნა.¹¹² საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ არ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში არსებული გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც, ადვოკატის ქმედება არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად. კომისიის შეფასებით, თუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდისთვის, დისციპლინური დევნა არ დაიწყება.¹¹³

დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში განხილვის კოლეგია დისციპლინური დევნის აღძვრის ფარგლებში იხილავს საქმეს. განხილვის ეტაპზე ვერ „დამძიმდება“ (დისციპლინური დევნის საფუძვლები ვერ დაემატება) ადვოკატის წინააღმდეგ აღძვრის ეტაპზე განსაზღვრული სავარაუდო დარღვევის ფარგლები, რაც აშკარად გააუარესებს საჩივრის მოპასუხის სამართლებრივ მდგომარეობას.¹¹⁴

განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.¹¹⁵

საპროცესო ეტაპზე წარმოება განსახორციელებელი მოქმედებებიდან გამომდინარე ინკვიზიციურია, საჩივრის ავტორი გა-

¹¹² ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 30.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹¹³ 2013 წლის 06 ივნისის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი 05/13

¹¹⁴ ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი 2013 წლის 16 მაისი 04/13

¹¹⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

მოდის ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარედ. განხილვის ეტაპზე წარმოება უფრო მეტად შეჯიბრებითი ხდება, ამასთან საჩივრის ავტორის პოზიცია წარმოდგენილია საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა უთითებს, რომ ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოება საჩივარზე (მიმართვაზე) არის ინკვიზიციური ხასიათის.¹¹⁶

5.8 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს ეყრდნობა, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია პირველ ეტაპზე საქმის გამოკვლევისას, ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატი მოსამართლის წინააღმდეგ მიმართული განცხადებების მოკვლევისას.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, დისციპლინარების მიზნებისთვის ახლახანს განიმარტა პოზიტიურად, სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის ფარგლებში შეტანილი ცვლილებებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (13.12.2019, №5569 ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან), მუხლი 1¹.2(ა): „დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“. აღნიშნული განმარტება შესაბამისობაშია საუკეთესო გამოცდილებასთან და ასევე არ არსებობს საფუძველი, რის გამოც დისციპლინური დევნის განმახორციელებლმა ორგანომ სხვაგვარი სტანდარტი უნდა გამოიყენოს გადაწყვეტილების მიღებისას.¹¹⁷

¹¹⁶ სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013

¹¹⁷ ეთიკის კომისიის 2020 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N127/19

დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.¹¹⁸ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საქმის განხილვისას დგინდება ადვოკატის მიერ დისციპლინური ქმედების ჩადენა ან არ ჩადენა და მიიღება გადანყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის ხარისხი იწევს და კომისია სარწმუნო მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტით (საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოება არსებითად უნდა აჭარბებდეს მეორე მხარის მტკიცებულებებს), ადგენს და აფასებს ფაქტებს.¹¹⁹ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული მტკიცების სტანდარტია გამოყენებადი. ეს ფაქტების მტკიცებულებებით დადასტურების უფრო მაღალ დამაჯერებლობას მოითხოვს, ვიდრე სამოქალაქო საქმისწარმოებაშია მოთხოვნილი, სადაც მტკიცების ტვირთის მქონე მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოების გადაჭარბება მეორე მხარის მტკიცებულებებზე საკმარისი საფუძველია სადაო ფაქტის დასადგენად. დისციპლინურ წარმოებაში გადაჭარბება არ არის საკმარისი, გადაჭარბება უნდა იყოს არსებითი, განპირობებული მხარის მიერ წარმოდგენილი ან მოკვლევის მიზნით გამოთხოვილი მტკიცებულებების სარწმუნოებიდან, კონკრეტულ ფაქტებთან შესატყვისობას და ურთიერთშესაბამისობას უნდა ეფუძნებოდეს. თუმცა ეს სტანდარტი, არ არის იმ დონის, რო-

¹¹⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 13.1

¹¹⁹ ეთიკის კომისიამ 2018 წლის 01 ნოემბრის გადანყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეში N016/18, განმარტა, რომ „განსხვავებით საპროცესო ეტაპისგან, რადგან დისციპლინური წარმოება ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტით ხორციელდება, განხილვის ეტაპზე, შეჯიბრებითი პროცესის პირობებში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მტკიცებულების მეშვეობით მეორის მცირედ გადანონვა. საჭიროა, რომ წარმოდგენილი იყოს ცხადი და დამაჯერებელი მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა.“

გორც საქართველში სისხლის სამართალში კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტია - გონივრულ ექვს მიღმა.¹²⁰

დებულების მე-19 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, შესაბამისად ის უნდა იყოს დასაბუთებული. გამომდინარე აქედან, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება, თუ რატომ ჩათვალა მან სავარაუდოდ ადვოკატის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უნდა იყოს დასაბუთებული.

საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტის შეფასებისას აღებული უნდა იქნას ის სტანდარტი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ განხილვის ეტაპზე, დებულების 33.2-ე მუხლის შესაბამისად წარმართული შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში, მხარეს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა დაამტკიცოს მის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, თუ ის არ იქნება კონკრეტულად ან კვალიფიცირებულად შედა-

¹²⁰ ეთიკის კომისიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N089/18

ეთიკის კომისია თავის პრაქტიკაში საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის გარდა, ნორმატიული განმარტების პროცესში ხშირად ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკას. არსებითი განხილვისას მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით ის მიუთითებს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის მოდელურ წესებში მითითებულ მტკიცების სტანდარტზე, რომლის საფუძველზეც ადვოკატთა მიმართ დისციპლინირებისას ხელმძღვანელობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოცემული ნორმის განმარტებაში აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება თავისი სამართლებრივი ბუნებით არის უნიკალური და ის არც სამოქალაქოსამართლებრივია და არც სისხლისსამართლებრივი. მიუთითებს, რომ „სარწმუნო მტკიცებულება“ არის სტანდარტი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ სტანდარტზე - „შედარებით ნონადი მტკიცებულება“ მაღლა დგას, მაგრამ სისხლის სამართლებრივ სტანდარტზე - „გონივრულ ექვს მიღმა“ შედარებით დაბალია და სწორედ „სარწმუნო მტკიცებულების“ სტანდარტი უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური კომისიის მიერ საქმის განხილვისას (Model rules for Judicial Disciplinary Enforcement, Section II general provisions, Rule 7, Proof).

ვებული ადვოკატის მიერ. თუმცა, ხშირად, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება არ არის საკმარისი, მაგალითად, როდესაც საჩივრის ავტორი უშუალოდ არ შესწრებია ფაქტს, რომელიც იძლევა ადვოკატის ქმედების დისციპლინურ დარღვევად კვალიფიკაციის საშუალებას და მან მხოლოდ გადმოცემით იცის ამის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ეთიკის კომისიას უნდა წარედგინოს ისეთი მინიმალური სახის, თუნდაც ერთი მტკიცებულება, რომელიც სარწმუნოდ მიუთითებდა ადვოკატის მიერ ეთიკის წესების დარღვევის თაობაზე. ამ წინაპირობის დაკმაყოფილების გარეშე, დისციპლინური დევნის აღძვრისას, განხილვის ეტაპზე ადვოკატის მიმართ ვერ დადგება დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან ეწინააღმდეგება სამართალწარმოებაში აღიარებულ ეკონომიურობის პრინციპს.¹²¹

დისციპლინური კომისიის მიერ დისციპლინური საქმის წარმოება მიმდინარეობს „მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით“ (არბიტრთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 21). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანია სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხ.შ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II, 27).

დისციპლინური საქმის წარმოების შეჯიბრებითობის კონსტი-

¹²¹ იქვე

ტუციურ პრინციპზე დაყრდნობა არ გულისხმობს წმინდა შეჯიბრებითი პროცესის არსებობას, პირიქით, დისციპლინური კომისია, მისი როლისა და საქმიანობის მიზნიდან, გამომდინარე მოქმედებს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში არსებული მტკიცების შედარებით მაღალი სტანდარტით საპროცესო ეტაპზე კომისიის აქტიური როლის გათვალისწინებით. პროცესის წარმართვისას სწორედ აქტიური როლი აძლევს საშუალებას კომისიას მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმე ყოველმხრივ შეისწავლოს და გამოიკვლიოს.

თუკი საქმეში ორი თანაბარი წონის მტკიცებულება აქვს საპროცესო კოლეგიას, მაგალითად, მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები, შესაძლოა ეს არ იყოს საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის დასაწყებად. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტკიცებულება, ადვოკატის და საჩივრის ავტორის განმარტება. ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ გარემოებებში, შეიძლება ეს ვარაუდის საფუძველს ქმნიდეს, რომ გადაცდომა მოხდა, მაგრამ საამისოდ დამატებითი მტკიცებულება უნდა იყოს წარმოდგენილი.

საპროცესო კოლეგია უფლებამოსილია მხარეებს ცალ-ცალკე მოუსმინოს და მათთვის ცნობილ და საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ მოითხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტებები, ასევე - გამოიკითხოს მხარეები (დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტი). საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა ან მხარის უარი ახსნა-განმარტებების წარდგენაზე, ხელს არ შეუშლის დისციპლინური საქმის განხილვას¹²².

¹²² შენიშვნა: მიუხედავად აღნიშნული დანაწესისა, საპროცესო კოლეგია იყენებს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობას, რათა ადვოკატს მიეცეს შესაძლებლობა ისარგებლოს დისციპლინური სამართალწარმოების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლებით და მის წინააღ-

კომისიის პრაქტიკა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტზე:

დისციპლინურ საქმეში კლიენტი დაობდა შემდეგ ფაქტზე: ადვოკატი მისი სისხლის სამართლის საქმეში დაიკითხა მონმის სახით, ხოლო შემდეგ საქმეში ჩაერთო, როგორც მისი ადვოკატი.¹²³

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 მუხლის შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დაინყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა. შესაბამისად დისციპლინური დევნის აღსაძრავად, კუმულატიურად დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი წინაპირობა:

ა) ადვოკატის ქმედება მისი დამტკიცების შემთხვევაში იყოს დისციპლინური დარღვევა, და

ბ) საპროცესო კოლეგიას უნდა შეექმნას ვარაუდი, რომ ადვოკატმა ეს ქმედება ჩაიდინა.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე ან აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია. დებულების მე-19 მუხლიდან გამომდინარე ეთიკის კომი-

მდეგ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით შესძლოს გამაქარწყლებელი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენა; კომისიის პრაქტიკით არის შემთხვევები, როდესაც ეთიკის კომისიის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ადვოკატი არ წარადგენს პოზიციას არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით და დისციპლინური წარმოების საპროცესო ეტაპზე უარს აცხადებს დაცვის უფლებით სარგებლობაზე.

¹²³ ეთიკის კომისიის 2018 წლის 05 ივნისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N073/17

სიის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს, შესაბამისად ის უნდა იყოს დასაბუთებული. გამომდინარე აქედან, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, თუ რატომ ჩათვალა მან სავარაუდოდ ადვოკატის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უნდა იყოს დასაბუთებული.¹²⁴

საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტის შეფასებისას აღებული უნდა იქნას ის სტანდარტი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ განხილვის ეტაპზე, დებულების 33.3 მუხლის შესაბამისად წარმართული შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში, მხარეს ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა დაამტკიცოს მის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება საკმარისი იყოს მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, თუ ის არ იქნება კონკრეტულად ან კვალიფიცირებულად შედავებული ადვოკატის მიერ. თუმცა, ხშირად, მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება არ არის საკმარისი, მაგალითად, როდესაც საუბარია თანხის გადახდის ფაქტზე, ან როდესაც საჩივრის ავტორი თავად არ შესწრებია ფაქტს, რომელიც იძლევა ადვოკატის ქმედების დისციპლინურ დარღვევად კლასიფიცირების საშუალებას და მან მხოლოდ ყურმოკრულად იცის აღნიშნულის თაობაზე. ამ შემთხვევაში წარმოსადგენია თუნდაც ერთი მტკიცებულება, რომელიც სარწმუნოდ მიუთითებდა აღნიშნულის თაობაზე. ამ წინაპირობის დაკმაყოფილების გარეშე, დისციპლინური დევნის აღძვრისას, განხილვის ეტაპზე ადვოკატის მიმართ ვერ დადგება დისციპლინური პასუხისმგებლობა.¹²⁵

ადვოკატსა და მომჩივანს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მოცემულ საქმეში დადგენილი გარემოება იყო. სადავო იყო, მისცა თუ არა ადვოკატმა ჩვენება სისხლის სამართლის ან სხვა საქმეზე, რითაც საფრთხე შეექმნებოდა მომავალში

¹²⁴ იქვე

¹²⁵ იქვე

მომჩივანის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. კომისიის შეფასებით, დასაბუთებული ვარაუდის შექმნისთვის, რომ ადვოკატმა მართლაც განახორციელა ეს ქმედება, ვერ იქნება საკმარისი მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როდესაც აღნიშნულს უარყოფს ადვოკატი. ამ შემთხვევაში დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად აუცილებელია წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემის ფაქტს ან იმ პირის ჩვენება, რომელიც ესწრებოდა ამ მოქმედებას. საპროცესო კოლეგიამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყო საჩივრის ავტორს საჭირო მტკიცებულებების მოპოვებაში - გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურიდან. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წერილით არ დაადასტურა, რომ ადვოკატის მომავალი კლიენტის - მომჩივანის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი გამოკითხული იყო, რითაც გამოირიცხა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ კანონის 8.3 მუხლით აკრძალული ქმედების ჩადენის თაობაზე. მხარეთა მტკიცების ასეთი შეპირისპირების პირობებში ეთიკის კომისიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ იმ ქმედების ჩადენის თაობაზე, რასაც საჩივრის ავტორი უთითებდა, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ადვოკატის წინააღმდეგ არ აღძრულა დისციპლინური დევნა.¹²⁶

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა ადვოკატის მიერ კლიენტის კეთილსინდისიერად მომსახურება და სწორი ინფორმირება საქმის მიმდინარეობაზე.¹²⁷ განმცხადებელმა მიუთითა ფაქტებზე და წარმოადგინა მათი დამადასტურებელი საწინააღმდეგო მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატს არათუ საპირისპირო მტკიცებულებები არ წარუდგენია, საერთოდ არ შეედავა მათ.

¹²⁶ იქვე

¹²⁷ ეთიკის კომისიის 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N077/16

ეთიკის კომისიის განმარტებით, დისციპლინური საქმის წარმოება მიმდინარეობს „მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით“ (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33.2). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანია სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხ.შ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ II, 27).¹²⁸

დისციპლინური საქმის წარმოების შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპზე დაყრდნობა არ გულისხმობს წმინდა შეჯიბრებითი პროცესის არსებობას, პირიქით, ეთიკის კომისია, მისი როლისა და საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, მოქმედებს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში არსებული მტკიცების შედარებით მაღალი სტანდარტის და საქმის შესწავლისა და განხილვის პროცესში კომისიის აქტიური როლის გათვალისწინებით. ეთიკის კომისიას მისი აქტიური როლი პროცესის წარმართვისას საშუალებას აძლევს საქმე სრულყოფილად იქნას შესწავლილი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის...“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, სუსგ დს/შ10-13, თარიღი 16.10.2013).¹²⁹

¹²⁸ იქვე

¹²⁹ იქვე

ზემოსხენებულ საქმეზე ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ დისციპლინურ პროცესში არსებული მტკიცებების სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო, ვინაიდან ეთიკის კომისიაში ადვოკატს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მან განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი იურიდიული მოქმედებები კლიენტის სასარგებლოდ. ამ საქმეზე დადგინდა, რომ ადვოკატმა კლიენტს მხოლოდ რამდენჯერმე გაუწია კონსულტაცია საქმის შესახებ, ასევე, კლიენტს არწმუნებდა რომ ის „ყველაფერს მოაგვარებდა“. ადვოკატი კლიენტს მეორედ დაუკავშირდა, რათა თანხა მოეთხოვა, რომელიც საჭირო იყონ ქონების შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა გადასცა ადვოკატს თანხა, მას არავითარი იურიდიული მოქმედება არ შეუსრულებია, ამასთან, არც რაიმე დოკუმენტი წარუდგენია კლიენტისათვის, რაც ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერად განეულ მომსახურებად შეფასდა.¹³⁰

კომისიის განმარტებით, საპროცესო ეტაპი კოლეგიის აქტიურობით გამოიხატება, რადგან საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების მოკვლევა ხორციელდება. არსებობს შემთხვევები, როდესაც საჩივრის ავტორის ან ადვოკატის მიერ მითითებული ფაქტები არ არის გამყარებული სხვა კონკრეტული მტკიცებულებებით, ან არ არსებობს სხვა მტკიცებულება, გარდა მონმეების ჩვენებისა. დისციპლინური სამართალწარმოების დებულება არ ადგენს კოლეგიის წევრთათვის რაიმე სახის შეზღუდვებს შეკითხვის დასმის ფორმაზე, შეკითხვები შეიძლება იყოს როგორც ღია, ასევე - დახურული. კოლეგიას საკმარისად ფართო დისკრეცია აქვს საჩივარში მითითებული გარემოებების გარშემო შეკითხვების დასმის დროს.¹³¹

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში, სადაც სადავო იყო ადვოკატის მიერ კლიენტის პროცესუალური მონიწილმდგევის

¹³⁰ იქვე

¹³¹ ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/18

შეურაცხყოფა, ამ ფაქტის მტკიცების კუთხით ე.წ. პირდაპირი, თვითმხილველი მოწმეები – ოჯახის წევრები წარადგინა კლიენტმა. ამ საქმეზე მოწმეებმა, საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან და სხვა მტკიცებულებებთან შედარებით, წინააღმდეგობრივი ჩვენება მისცეს კომისიას. კომისიამ შეაფასა მოწმეთა წინააღმდეგობრივი ჩვენებები, მათი ახლო ნათესაური კავშირი განმცხადებელთან და დაბალი მტკიცებულებითი ძალა მიანიჭა მათ განმარტებებს. აქედან გამომდინარე კომისიამ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რათა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაედგინა სადავო ფაქტი.¹³²

კომისიის შეფასებით, ასეთ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მტკიცებულება, ადვოკატისა და საჩივრის ავტორის განმარტება. ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ გარემოებებში, ეს შეიძლება ვარაუდის საფუძველს ქმნიდეს, რომ დარღვევა მოხდა, მაგრამ ორი თანაბარი წონის მტკიცებულება არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის და საამისოდ წარდგენილი უნდა ყოფილიყო დამატებითი მტკიცებულება. სწორედ ამის გათვალისწინებით საპროცესო კოლეგიამ შესაძლებლობა მისცა საჩივრის ავტორს, წარედგინა მოწმეები. საქართველოს სინამდვილეში ადვოკატთა მოქმედი დისციპლინური წარმოების მოდელი, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის საერთაშორისო გამოცდილებისგან, განმცხადებლის აქტიურ როლს ითვალისწინებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას ერთგვარად დამხმარე როლი აქვს მტკიცებულებების მოპოვებაში. ზემოხსენებულ შემთხვევაში კოლეგიამ საჩივრის ავტორებს სრულად მისცა შესაძლებლობა, მოეპოვებინათ და კოლეგიისათვის წარედგინათ მათ მიერ ადვოკატის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური

¹³² იქვე

წარმოება ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტანდარტით ხორციელდება; საჩივრის არსებითი განხილვის ეტაპზე, შეჯიბრებითი პროცესის პირობებში, არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მტკიცებულების შინაარსობრივი მნიშვნელობით მეორის მცირედ გადაწონვა, რადგან სადავო გარემოებების დასადგენად საჭიროა, რომ ცხადი და დამაჯერებელი იყოს მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა, რომელიც სადავო ფაქტს დაადგენდა, იმ პირობებში, როდესაც საწინააღმდეგო გარემოების გამომრიცხველი დამაჯერებელი მტკიცებულება არ იქნა წარდგენილი.¹³³

არანაკლებ საინტერესოა დისციპლინური საქმე, რომელშიც სადავო გახდა კლიენტისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება საქმის შედეგზე. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატს არ წარმოუდგენია პოზიცია საჩივარში აღნიშნულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაეთანხმებოდა ან სადავოდ გახდიდა. განმცხადებელმა მიუთითა ფაქტებზე და წარმოადგინა მათი დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატს არათუ საპირისპირო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საერთოდ არ შეედავა მათ. შედეგად, ეთიკის კომისიამ დისციპლინურ პროცესში არსებული მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილებულად შეაფასა და განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტები დადგენილად მიიჩნია¹³⁴.

სხვა დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე კლიენტის ინფორმირება და ფულადი სახსრების კეთილსინდისიერად მართვა. წარმოება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაგრძელდა.

¹³³ იქვე

¹³⁴ ეთიკის კომისიის 2017 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 033/17

სადისციპლინო პალატამ მტკიცების სტანდარტი არ მიიჩნია დაკმაყოფილებულად და მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას. პალატის დასკვნით, ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ფინანსურ ჩანაწერებს, კლიენტის მიერ მინდობილი თანხების მართვისას არ ხელმძღვანელობდა ეთიკის ნორმებით, ასევე კლიენტს არ დაუბრუნა დოკუმენტაცია და მისთვის მინდობილი ფულადი სახსრები. აღნიშნული კი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ადვოკატის მხრიდან არ მომხდარა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, რაც უცილობლად უნდა ასახულიყო მის მიერ წარმოებულ ოფიციალურ დოკუმენტებში და არა რაიმე სხვა ზეპირსიტყვიერ შეთანხმებაში. აპეკ-ის ნორმების მოთხოვნების დაცვა ზედმინვნით უზრუნველყოფს როგორც კლიენტის ნდობას ადვოკატის მიერ ფულადი სახსრების მართვისას, ასევე განაპირობებს ნდობას ადვოკატის პროფესიული ნიშნისადმი. ეთიკის კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა, თავისი არსით, ემსახურება როგორც კლიენტის ინტერესების მაღალი ხარისხით წარმოჩინებას, ასევე განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხს კლიენტსა და მისი ინტერესების დამცველს შორის. ასეთი სახის ურთიერთობა კი, თავის მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტიანობას განაპირობებს.¹³⁵

ერთ-ერთ საქმეზე სადისციპლინო პალატამ არ გაიზიარა ადვოკატის მტკიცება იმის შესახებ, ადვოკატსა და კლიენტს შორის იურიდიული მომსახურების შესახებ მხოლოდ ზეპირი შეთანხმება და რწმუნებულება არსებობდა; ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არსებობდა რაიმე სახის წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა საადვოკატო საქმიანობის საგანი, ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები; ადვოკატსა და კლიენტს შორის გახსნილი

¹³⁵ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება დს/მ-5-14, 28 იანვარი 2015 წელი

იყო საერთო სადეპოზიტო ანგარიში, რომლის გამოყენება მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით იყო შესაძლებელი; კლიენტი უთითებდა, რომ მას ადვოკატმა სხვადასხვა საქმეზე გაუწია მომსახურება, რისთვისაც გადაუხადა მომსახურების საზღაური და დაფარა საქმისწარმოების ხარჯები, რაც ნალდი ანგარიშსწორებით განახორციელა. ადვოკატს არ უწარმოებია კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხების ფინანსური ანგარიშგების ამსახველი სრული და ზუსტი ჩანაწერი. ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება დადგენილი წესით არ ხდებოდა, ასევე არ ხდებოდა მისი დოკუმენტური აღრიცხვა; ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს არ გადასცა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.¹³⁶

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას. ადვოკატს საქმისწარმოების არც ერთ ეტაპზე არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ იგი აწარმოებდა ფინანსური ანგარიშგების სრულ და ზუსტ ჩანაწერებს. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას, რაც ადვოკატის მხრიდან არ შესრულებულა. როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვეოდა, ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაუბრუნებია კლიენტისთვის მისგან მიწოდებული ფულადი სახსრები და საერთო სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა.¹³⁷

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პა-

¹³⁶ ეთიკის კომისიის 2015 წლის 04 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N087/13

¹³⁷ იქვე

ლატის განმარტებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული თანხა განთავსდა ადვოკატისა და კლიენტის შვილის ერთობლივ ანგარიშზე. ადვოკატმა ვერც ეთიკის კომისიაში და ვერც სადისციპლინო პალატაში ვერ წარადგინა რაიმე წერილობითი მტკიცებულება (ხელშეკრულება), სადაც მითითებული იქნებოდა ადვოკატ-კლიენტის უფლებებსა და ვალდებულებებზე, ასევე ის, რომ სადავო თანხა ადვოკატის მიერ მიღებული ანაზღაურება (გასამრჯელო, ჰონორარი) იყო. ადვოკატმა ვერ დაადასტურა, რომ სადავო თანხა მომსახურებისთვის განკუთვნილ ჰონორარს წარმოადგენა. შესაბამისად, ანგარიშზე არსებული თანხა სასამართლომ შეაფასა, როგორც ხარჯი, რომელიც აპეკ-ის 8.15 ნაწილის საფუძველზე ადვოკატს კლიენტისთვის უნდა დაებრუნებინა.¹³⁸

სადისციპლინო პალატამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის მიერ სადავო გარემოების (ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენდა გამომუშავებულ ჰონორარს თუ ხარჯებისთვის მიღებულ თანხას) დასადასტურებლად სადისციპლინო სამართალწარმოების ეტაპზე აღძრული შუამდგომლობა ისეთი წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, რომელიც ადვოკატს ხელთ ჰქონდა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას, თუმცა, არ გამოუყენებია საკუთარი ინტერესების დასაცავად. სადისციპლინო პალატის განმარტებით, ასეთი მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელი იყო ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც დისციპლინური დევნის აღძვრის ან არააღძვრის საკითხის განხილვისას, ასევე საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ ადვოკატს ასეთი შუამდგომლობა არ დაუყენებია. სადისციპლინო პალატამ განმარტა, რომ საქმის მასალებში არ იყო წერილობითი მითითება იმის თაობაზე, რომ კონკრეტული მტკიცებულება მომსახურების განევის თაობაზე სწორედ სადავო თანხის გადახდას უკავშირდებოდა. სადისციპლინო პალატამ, საქართველოს სამოქალაქო

¹³⁸ იქვე

საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე „გარემოება, რომელიც შეიძლება დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით“ დაყრდნობით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარემოება უნდა დადასტურებულიყო წერილობითი მტკიცებულებებით, რისი წარდგენაც ადვოკატმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე ვერ უზრუნველყო.¹³⁹

1) მტკიცების ტვირთის გადანაწილება

ეთიკის კომისიას, რომლის წარმოებაშიც ყოველწლიურად საშუალოდ 250 საქმეა, დისციპლინური საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის კუთხით საკმარისად საინტერესო გამოცდილება დაუგროვდა. დისციპლინური წარმოების ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები ინსტიტუტია მტკიცება, რომლის განზოგადება, სტანდარტიზაცია შესაძლებელია, თუმცა თითოეული დავა, ადვოკატის სადავოდ გამხდარი ქევიდან გამომდინარე, მას თავის ინდივიდუალიზმს და სპეციფიკას სძენს.

განხილვის საგანია მტკიცების ტვირთის, როგორც დისციპლინური პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტის, სამართლებრივი გაგება და მახასიათებლები დისციპლინურ დავებში. ამისთვის მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკის განხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პრობლემების გამოვლენა.

დისციპლინური დავის შედეგი დიდწილად ასეთი წარმოების მონაწილე სუბიექტების მტკიცებით საქმიანობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, მტკიცების ტვირთი რეალიზდება როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების განაწილება, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მტკიცების ტვირთზეა დამოკიდებული დისციპლინური სამართალწარმოების საბოლოო შედეგი.

¹³⁹ იქვე

თითოეულ საქმეში, საჩივარში მითითებული პრეტენზიებისა და საპროცესო კოლეგიის მიერ იდენტიფიცირებული შესაძლო დარღვევების (ადვოკატის სადავო ქცევის) საფუძველზე უნდა განისაზღვროს, თუ რომელ ფაქტებს აქვს არსებითი მნიშვნელობა ადვოკატის მიერ ჩადენილი ქმედების შემონემების დროს შესაბამისი ეთიკური ნორმიდან გამომდინარე. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მეტწილად ადვოკატის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებაში დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარის (საჩივრის ავტორი და ადვოკატი) როლსა და აქტიურობაზე, არამედ ადვოკატის მიმართ წარდგენილი პრეტენზიის შინაარსზე, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შესაძლოა, არა მხოლოდ განმცხადებლის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე იყოს დამოკიდებული, არამედ საპროცესო განხილვის ეტაპზე, როდესაც საჩივრის დასაბუთებლობას შეისწავლის კოლეგია, ეს უკანასკნელი თუკი სხვა გადაცდომის (დარღვევის) ჩადენასაც ვარაუდობს, ამ მიმართებითაც წარმართავს საპროცესო ეტაპზე ადვოკატის მოსმენას და არ იზღუდება კოლეგია შეკითხვების დასმის დროს მხოლოდ საჩივარში მითითებული ფაქტებით.

მტკიცების ტვირთის შესახებ სპეციალურ დებულებას არ განსაზღვრავს ადვოკატთა დისციპლინური წარმოების დებულება, მე-17 მუხლი მტკიცებულებათა მოპოვებას ეხება, რომელიც ზოგადი ჩანაწერია იმის თაობაზე, რომ მხარეებს თანაბარი უფლებები აქვთ წარადგინონ მტკიცებულებები, დააყენონ შუამდგომლობები და ა.შ. მტკიცების ტვირთი მხარეებს თანაბრად ეკისრებათ, თუმცა, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, ეს დამოკიდებულია იმ პროფესიული ქცევის სტანდარტზე (ეთიკურ ნორმაზე, რომლის დარღვევის შედეგადაც წარმოიშობა დეონტოლოგიური პრობლემა), რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ადვოკატის ქცევა.

მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისციპლინური წარმო-

ების მონაწილე მხარეებზე უკავშირდება ზოგად დანაწესს, რაც მხარისათვის ხელსაყრელი გარემოებების დამტკიცებას უკავშირდება, ამასთან, მოქმედებს საჩივრის შესწავლისა და განხილვის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატის სავარაუდო დარღვევის შინაარსის გათვალისწინებით, საპროცესო კოლეგია საქმის შესწავლისას, გარდა მხარეთა მიერ წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებებისა, ერთგვარად ინკვიზიციური ელემენტებითაც ხელმძღვანელობს.¹⁴⁰ მტკიცების ტვირთის განაწილებისას ერთი მხარე, რომელიც ფაქტებს ამტკიცებს, თავისუფლდება იმ ფაქტების დამტკიცებისგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით.

მტკიცების პროცესში, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს მათი დასაშვებობისა და კონკრეტული საჩივრის მიხედვით განკუთვნიადობის კუთხით. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი მტკიცებულებებით დაასაბუთებენ საკუთარ პრეტენზიას ან გააქარწყლებენ სადავო გარემოებას.

კომისიის მიერ საქმის საპროცესო თუ განხილვის ეტაპზე შესწავლა უკავშირდება კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რაც ემყარება საქმეში არსებულ, ყოველმხივ შესწავლილ მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ შინაგან რწმენას, რომელიც არა სუბიექტურ შეფასებას ეფუძნება, არამედ ობიექტურად დადგენილ ფაქტებს იმის მიხედვით, თუ რომელი გარემოება დადასტურდა ან გაბათილდა (გამოირიცხა).

¹⁴⁰ მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როდესაც შესაძლოა კონკრეტულ დარღვევაზე არ უთითებდეს საჩივრის ავტორი, თუმცა, თუკი საჩივრის განმხილველი საპროცესო კოლეგია სხვა სახის დარღვევასაც აფიქსირებს, უფლებამოსილია, ამის შესახებ შეკითხვები დაუსვას ადვოკატს და მოისმინოს მისი განმარტებები, რადგან კოლეგია არ არის შეზღუდული მხოლოდ საჩივარში მითითებული პრეტენზიების შემონგებით

2. ეთიკის კომისიის პრაქტიკა მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე:

კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირება, რომ იგი სასამართლოში სისხლის სამართლის განხილვისას გარკვეული პერიოდით მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ.¹⁴¹ კლიენტმა სასამართლო სხდომაზე შეიტყო, რომ მას ვერ დაიცავდა ადვოკატი, რადგან ამ უკანასკნელს დაყენებული ჰქონდა სხდომის გაურკვეველი ვადით გადადების შუამდგომლობა, ხოლო მოგვიანებით კლიენტმა ადვოკატის ოჯახის წევრებისგან შეიტყო, რომ მისი ინტერესების დამცველმა საქართველო დატოვა. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული ახსნა-განმარტება ჰქონდათ წარდგენილი ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისად, ეთიკის კომისიამ იმსჯელა მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხზე. კომისიის განმარტებით, ზოგადად მომჩივანს აწევს მტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების შესახებ. ისეთი გარემოების დამტკიცებისას, რომელიც მოითხოვს ადვოკატის აქტიურ ქმედებას, მტკიცების ტვირთი საჩივრის მოპასუხე მხარეზე უნდა გადავიდეს, რადგან საჩივრის ავტორი ვერ დაასაბუთებს ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტს (უარყოფით გარემოებას). ეთიკის კომისიის შეფასებით, იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაციის მიწოდება ადვოკატის აქტიურ ქმედებას წარმოადგენს, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადვოკატს.¹⁴²

ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა კომისიას კლიენტთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის ქონის გამო მოწმის გამოკითხვის თაობაზე, თუმცა შემდეგ არ წარმოადგინა მოწმე და არც თავად გამოცხადდა კომისიის სხდომაზე. ადვოკატს

¹⁴¹ ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 026/17

¹⁴² იქვე

პოზიციის დასადასტურებლად გონივრული დრო მიეცა, რომელიც არ გამოიყენა და კომისიასთან არ ითანამშრომლა.¹⁴³

სხვა დისციპლინურ საქმეში კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაზე კომისიამ ასევე განმარტა, რომ იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, მიაწოდა თუ არა კლიენტს ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ, ასევე რა ინტენსივობით ჰქონდათ კონტაქტი ადვოკატსა და კლიენტს, აკისრია ადვოკატს.¹⁴⁴

ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, ადვოკატმა კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია დანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ. ადვოკატი კლიენტს თვითონ არასოდეს უკავშირდებოდა, ხოლო კლიენტის ზარებს პასუხობდა ისე, რომ კლიენტი ინფორმაციას სრულყოფილად ვერ იღებდა. ადვოკატსა და კლიენტს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ სადავო საკითხზე: ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ შეიტყო შემთხვევით, სხდომის წინა დღეს, მოსამართლის თანაშემწისაგან. მისთვის ინფორმაცია სხდომის თაობაზე ადვოკატს არ მიუწოდებია; ბ) ადვოკატის განმარტებით, კლიენტი მუდმივად ინფორმირებული იყო. სხდომის თარიღის თაობაზე შეტყობინების მიღებისთანავე ინფორმაცია კლიენტს მიაწოდა.¹⁴⁵

კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესახებ კომისიამ მტკიცების ტვირთი ადვოკატს დააკისრა და განმარტა, რომ მოცემულ საქმეში ადვოკატს კომისიისათვის არ წარუდგენია სარწმუნო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ იგი კლიენტს აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე, ასევე, ადვოკატმა ვერ დაადასტურა სარწმუნო მტკიცებულებით, რომ მან კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია სხდომის თარიღის შესა-

¹⁴³ იქვე

¹⁴⁴ ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N101/17

¹⁴⁵ იქვე

ხებ. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატს სხდომის თარიღის თაობაზე ინფორმაცია კლიენტისათვის არ მიუწოდებია.¹⁴⁶

ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება

სასჯელალსრულების დანესებულებაში ამბოხებისას მსჯავრდებულთან შეხვედრის შემდეგ ადვოკატმა მისცა სატელევიზიო ინტერვიუ, სადაც ისაუბრა კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მისი ვინაობის მითითებით. კლიენტმა საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას და მიუთითა, რომ ადვოკატს ჰქონდა მისი თანხმობა მოშიმშილე პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სატელევიზიო ინტერვიუს მიცემისას გაუღერებელიყო მისი სახელი და გვარი, ხოლო ადვოკატს არ უნდა ესაუბრა კონკრეტულად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.¹⁴⁷

აპეკ-ის მე-4 მუხლი ადგენს, რომ კონფიდენციალურობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, გარდა ცალკეული საგამონაკლისო შემთხვევებისა. ამასთან, ადვოკატი ამ პრინციპით შეზღუდულია, როგორც საქმიანობის განხორციელებისა და კონკრეტული კლიენტის დაცვის დროს, ასევე - საქმის წარმოების დასრულების შემდეგაც.¹⁴⁸

ადვოკატის პროფესიული ეთიკა კლიენტის ინტერესების დასაცავად მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის (მ.შ მტკიცებულებისა და სხვ.) გამოყენებისთვის კლიენტისგან თანხმობას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა ავალდებულებს ადვოკატს, კლიენტს იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს, სამართლებრივი რჩევა მიიწოდოს გადანყვეტილების მისაღებად, კლიენტის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულად დასაცავად, რაც კლიენტისათვის სასურველი სა-

¹⁴⁶ იქვე

¹⁴⁷ ეთიკის კომისიის 2013 წლის 04 ოქტომბრის გადანყვეტილება, დისციპლინური საქმე 115/13

¹⁴⁸ იქვე

მართლებრივი შედეგის მისაღწევად მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებულ საქმიანობას გულისხმობს.¹⁴⁹

ზემოსხენებულ საქმეზე ადვოკატმა განმარტა, რომ მან კლიენტს სასჯელალსრულების დანესებულებაში შეხვედრისას შეუთანხმა გასამჟღავნებელი ინფორმაციის შინაარსი.¹⁵⁰

კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებელ პირობად კანონი კლიენტის თანხმობას ადგენს, ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ მან კლიენტის მიერ განდობილი ინფორმაცია კლიენტის თანხმობით გაამჟღავნა. მოცემულ საქმეში წარმოდგენილი იყო ორი განსხვავებული პოზიცია და ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ადვოკატს დაეკისრა, რასაც ვერ გაართვა თავი ადვოკატმა, რადგან მან ვერ დაამტკიცა, რომ შეთანხმებული ჰქონდა კლიენტთან იმ ინფორმაციის გასაჯაროება, რაც სადავო გახდა. ეთიკის კომისიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა დაიცვა კონფიდენციალობის პრინციპი და იმოქმედა კლიენტთან შეთანხმებით.¹⁵¹

კეთილსინდისიერების პრინციპი, კვალიფიკაციის შესაბამისად მომსახურების განწევის ვალდებულება

სამოქალაქო (ადმინისტრაციული) სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ეთიკური ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, საქმის სააპელაციო (საკასაციო) წესით გასაჩივრების შემთხვევაში კონკრეტული სპეციალიზაციის არმქონე ადვოკატი ვერ შეძლებს წარმოადგინოს კლიენტის ინტერესე-

¹⁴⁹ იქვე

¹⁵⁰ იქვე

¹⁵¹ იქვე

ბი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, ვინაიდან არ აქვს მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, რაც კლიენტს წარმოუშობს აუცილებლობას, მოიძიოს სხვა ადვოკატი, რასაც საქმის მომზადებისათვის დამატებითი დრო სჭირდება, ასევე - ფინანსური რესურსები. ასეთი რისკის შესახებ კლიენტი წინასწარ, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადებამდე უნდა იყოს ინფორმირებული, რაც სწორედ ადვოკატის ვალდებულებაა. იმისათვის, რომ კვალიფიციური მომსახურების რისკი ადვოკატიდან გადავიდეს კლიენტზე, აუცილებელია ადვოკატს გააჩნდეს კლიენტის ინფორმირებული თანხმობა მსგავს წარმომადგენლობაზე. ხოლო ამ ინფორმაციის მიწოდებისა და კლიენტისაგან ინფორმირებული თანხმობის არსებობის ფაქტის შესახებ მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატმა სარწმუნო მტკიცებულებით უნდა დაადასტუროს, რომ მისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს და მიიღო მისგან ინფორმირებული თანხმობა.¹⁵²

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო სპეციალიზაციის (კვალიფიკაციის) ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულობას, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატსაც შეუძლია წარმომადგენლობა გაუწიოს პირს, ოღონდ მხოლოდ ზემოხსენებული ინფორმირებისა და მარწმუნებლისაგან თანხმობის მიღების პირობებში, ამასთან, ასეთი წარმომადგენლობა რეალურად იქნება იურიდიული მომსახურების განწევა და არა საადვოკატო საქმიანობის განწევა კონკრეტული სპეციალიზაციის (კვალიფიკაციის) ადვოკატის მიერ, ადვოკატთა ასოციაციის მიერ მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების ფარგლებში.¹⁵³

¹⁵² ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N035/18

¹⁵³ რედაქტორის შენიშვნა

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა კლიენტს თავისი სპეციალიზაციის მეშვეობით ინფორმაცია სოციალური ქსელით მიანოდა. ეთიკის კომისიას საჩივრის ავტორმა მტკიცებულების სახით წარუდგინა სოციალურ ქსელში ადვოკატთან მიმონერის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ კლიენტის შეკითხვაზე, რამდენად იყო ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე „დამცველი“, ადვოკატმა უპასუხა, რომ მას საერთო სპეციალიზაცია აქვს და მხარეს მიანოდა საკონტაქტო ინფორმაცია. მოგვიანებით ადვოკატმა კლიენტთან სოციალური ქსელით კომუნიკაცია უარყო. საქმის განხილვისას ადვოკატს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომელიც სარწმუნო იქნებოდა კომისიისათვის, რომ ადვოკატმა ნამდვილად მიანოდა კლიენტს ინფორმაცია მისი კვალიფიკაციის შესახებ და მისგან ინფორმირებული თანხმობა მიიღო წარმომადგენლობის გასაწევად. უფრო მეტიც, ადვოკატმა უარყო კლიენტთან სოციალური ქსელის მეშვეობით კომუნიკაცია, რაც საპროცესო კოლეგიის სხდომაზეც დაადასტურა, მაშინ, როდესაც, საჩივრის ავტორის - კლიენტის მიერ წარდგენილი ადვოკატთან სოციალურ ქსელში მიმონერის ამონაწერით საწინააღმდეგო დადგინდა. ადვოკატს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება - სოციალურ ქსელში მასსა და საჩივრის ავტორს შორის განხორციელებული კომუნიკაციის ამონაწერი - სადაოდ არ გაუხდია.¹⁵⁴

მომსახურების საზღაურის განაკვეთისა და გამოთვლის წესის კლიენტთან შეთანხმების ვალდებულება

დისციპლინურ საქმეში სადავო გარემოებას წარმოადგენდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების განწევამდე არსებობდა თუ არა მხარეებს შორის შეთანხმება მომსახურების საზღაურზე - მოგებული თანხის 50%-ის ოდენობით ადვოკატისთვის გადახდის შესახებ. კომისიამ ეს გარე-

¹⁵⁴ ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N035/18

მოება დაადგინა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილებითა და მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით.¹⁵⁵

საჩივრის ავტორის პოზიციით მას, როგორც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დევნილს, სახელმწიფოსგან ეკუთვნოდა ფინანსური კომპენსაცია. მისი მტკიცებით, სურდა, რომ ადვოკატი დახმარებოდა კომპენსაციის მიღების პროცესის დაჩქარებაში. სანაცვლოდ, კლიენტი და ადვოკატი ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს გადაუხდიდა მიღებული ფინანსური კომპენსაციის 10 %-ს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის იურიდიული მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება არ დადებულა, საჩივრის ავტორმა უარჰყო მოგებულ თანხის 50%-ზე ადვოკატისათვის გადაცემის შეთანხმება. ადვოკატის განმარტების მიხედვით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის დადებული ზეპირი ხელშეკრულების თანახმად, უნდა დახმარებოდა კლიენტს კომპენსაციის მიღებაში, საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ კი ადვოკატს ჰონორარის სახით უნდა მიეღო კლიენტის მიერ მისაღები კომპენსაციის 50%. ადვოკატის განმარტებით, მან კვალიფიციურად განახორციელა თავისი მოვალეობები და სწორედ მისმა მომსახურებამ განაპირობა საჩივრის ავტორის საქმეზე დადებითი შედეგის დადგომა. საქმეზე გამოიკითხა მონმე, რომელმაც განმარტა, რომ ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა მეგობრული ურთიერთობა, მათ შორის არ დადებულა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ფორმით და მხარეები არასდროს შეთანხმებულან ჰონორარის კონკრეტულ ოდენობაზე.¹⁵⁶

ეთიკის კომისიამ აპეკ-ის მე-8.8 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთი ადვოკატს დააკისრა. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანის პრეტენზია ჰონორარის ოდენობაზე შეთანხმების საკითხს ეხებოდა, ადვოკატს ეკისრებოდა

¹⁵⁵ ეთიკის კომისიის 2014 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე NO47/14

¹⁵⁶ იქვე

ჰონორარის ოდენობისა და გადახდის წესზე შეთანხმების არსებობის მტკიცების ტვირთი. ეთიკის კომისიის განმარტებით ადვოკატს აკისრია მტკიცების ტვირთი, რომ უტყუარად დაადასტუროს ადვოკატ-კლიენტს შორის მომსახურების საზღაურის ოდენობის, მისი გამოთვლის წესისა და გადახდის ვადების თაობაზე შეთანხმების წინასწარ არსებობა, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების დროს.¹⁵⁷

ეთიკის კომისიის შეფასებით, საქმეში წარდგენილი ნერილობითი მტკიცებულებები არ შეიცავდა მონაცემებს მხარეთა შორის ადვოკატის მომსახურების საფასურზე წინასწარი შეთანხმების შესახებ. ამგვარი შეთანხმების არსებობა გამოირიცხა მონმის განმარტებითაც. მისი განცხადებით შეთანხმება ადვოკატის მომსახურების საფასურზე საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არათუ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების დაწყების წინ, არამედ მიმდინარეობის დროსაც კი არ შემდგარა. უფრო მეტიც, მონმემ გამოირიცხა ადვოკატის მიერ მოთხოვნილ თანხაზე საჩივრის ავტორის თანხმობის შესაძლებლობა. ამის მტკიცების საშუალებას, მონმის განმარტებით, მას ის გარემოება აძლევდა, რომ მეგობრობდა ორივე მხარესთან, საკმაოდ ხშირი ურთიერთობა ჰქონდა მათთან, როგორც ერთად, ასევე თითოეულ მათგანთან, ცალ-ცალკე და ასევე იცოდა საჩივრის ავტორის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც გამოირიცხავდა კლიენტის მიერ ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელის მიერ საქმის დასრულების შემდეგ მოთხოვნილ თანხაზე, წინასწარი თანხმობის მიცემას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადვოკატი ასეთ მოთხოვნას წინასწარ დააყენებდა. მონმემ კატეგორიულად უარყო საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის საადვოკატო მომსახურების საფასურზე წინასწარი შეთანხმების არსებობა. ადვოკატმა, ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტების გარდა, სხვა სარწმუნო მტკიცებულებით ვერ დაადასტურა, რომ საჩივრის ავტორს შეუთანხმდა, წარმატებით დასრულებული საქმიდან ამონაგები თანხის 50%-ის გადახდის

¹⁵⁷ იქვე

თაობაზე, რაც განეული საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით უნდა გადაეხადა კლიენტს.¹⁵⁸

ადვოკატის სარჩელის საფუძველზე, ამავე მხარეთა შორის საერთო სასამართლოშიც წარიმართა დავა, სადაც ადვოკატი კლიენტისთვის ჰონორარის სახით თანხის დაკისრებას ითხოვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ადვოკატის სასარჩელო მოთხოვნა ჰონორარის ანაზღაურების შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ეტაპზე და საკასაციო სასამართლოს მიერ ადვოკატის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესრული. საერთო სასამართლოებმა არ გაიზიარეს ადვოკატის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობა კლიენტისათვის, საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების სახით, საქმეზე ამონაგები თანხიდან 50 %-ის ოდენობით ჰონორარის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე. სასამართლოს შეფასებით, ადვოკატის მიერ მითითებული და სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი არ იძლეოდა იმგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ რწმუნებულებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების ანაზღაურება (ჰონორარი) 5000 აშშ დოლარის ოდენობით იყო შეთანხმებული მხარეთა შორის და, საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მარწმუნებელი რწმუნებულს ჰონორარის სახით 5000 აშშ დოლარს გადაუხდოდა. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება იმის დასამტკიცებლად, რომ მისი პროფესიული ქცევა კანონმდებლობის ფარგლებში ექცეოდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დგინდება, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორთან 50%-ის ოდენობით ჰონორარის თაობაზე წინასწარი შეთანხმება არ ჰქონია, ხოლო მოცემული ფაქტის დასადასტურებლად სხვა მტკიცებულება ადვოკატის მხრიდან წარდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად,

¹⁵⁸ იქვე

ეთიკის კომისიამ მომჩივანის პოზიციის, მონმის განმარტების, ადვოკატის განმარტებისა და სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლივად გაანალიზებით ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ ადვოკატი და კლიენტი არ შეთანხმებულან საადვოკატო მომსახურების საზღაურზე საქმის სასამართლო წარმოების გზით მოგებული თანხის 50%-ის ოდენობით, მისი გამოთვლისა და გადახდის წესის თაობაზე.¹⁵⁹

გამოუმუშავებელი მომსახურების საზღაურის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესაფასებლად უნდა დადგინდეს, რა მოცულობის სამუშაოს განწევზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტამდე, რა სახისა და მოცულობის სამუშაო ჰქონდა ადვოკატს განეული და ანაზღაურების გადახდის როგორ წესზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, ასევე, უნდა განისაზღვროს მოდავე მხარეთა შორის, ვის და რისი მტკიცების ტვირთი ეკისრება.

დისციპლინურ საქმეში, სადაც სადავო გახდა სამართლიანად გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება, განიმარტა, რომ აპეკ-ის 8.15 მუხლით განსაზღვრულ მოწესრიგებაზე მსჯელობა შედარებით მარტივია, როდესაც ადვოკატს კლიენტთან შეთანხმებული აქვს საათობრივი ანაზღაურება და კლიენტის მომსახურებაზე დახარჯული დრო აღირიცხება. ასეთ შემთხვევაში ადვოკატის მიერ საქმის წარმოებაზე დახარჯული დროის ეკვივალენტური ოდენობის ჰონორარი უნდა გამოაკლდეს კლიენტის მიერ ავანსად გადახდილ თანხას. შესაძლებელია არსებობდეს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განეული სამუშაოს დროის აღრიცხვის სიზუსტესთან დაკავშირებით, მაგრამ ასეთ დროს შედარებით მცირდება აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე ადვოკატისათ-

¹⁵⁹ იქვე

ვის გადახდილი ჰონორარის (მისი ნაწილის) დაბრუნების შესახებ საფუძვლიანი პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა.¹⁶⁰

მნიშვნელოვნად რთულდება განუელი მომსახურებისა და ანაზღაურების ეკვივალენტურობის დადგენა, როდესაც ადვოკატს კლიენტთან შეთანხმებული აქვს ფიქსირებული ანაზღაურება და ხელშეკრულება წყდება საადვოკატო მომსახურების დასრულებამდე. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისია იყენებს ტერმინს „სავარაუდოს“ და „ეკვივალენტურს“, (იხ. ეთიკის კომისიის გადანყვეტილება საქმეზე N037/14, ასევე გადანყვეტილება N167/13, 11.09.2014 პარ. 5.9, გადანყვეტილება N038/16, 16.09.2016, პარ. 6.5.) შესაბამისად, ეთიკის კომისიის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, დაიცვა თუ არა ადვოკატმა კლიენტისათვის განუელი მომსახურების სავარაუდო და ეკვივალენტური ანაზღაურების მიღების სტანდარტი.

მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებასთან დაკავშირებით დასადგენია, თუ ვინ უნდა ამტკიცოს, რას წარმოადგენს განუელი საადვოკატო მომსახურების მოცულობის ეკვივალენტური ანაზღაურება. ეთიკის კომისიას აქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანხმად მტკიცების ტვირთი კლიენტისგან მინდობილი სახსრების განკარგვაზე (ხარჯვაზე ზუსტი ხარჯთაღრიცხვის წარდგენაზე) ადვოკატს ეკისრება.¹⁶¹ არ არსებობს არგუმენტი, რომელიც მტკიცების ტვირთის სხვანაირად განაწილებას საფუძველს მოგვცემდა კლიენტისთვის თანხის დაბრუნების მოცულობასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან უკვე განუელი მომსახურებისთვის გადახდილი ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობისა და სავარაუდობის შესახებ. მეტი სიცხადისა და განსხვავებული შეფასების რისკის ასარიდებლად, ფიქსირებული

¹⁶⁰ ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადანყვეტილება, დისციპლინური საქმე N057/17

¹⁶¹ ეთიკის კომისიის გადანყვეტილება N007/16, 25.10.2016, პარ. 6.15

ჰონორარზე (ანაზღაურებაზე) შეთანხმების დროს, ადოკატს შეუძლია განსაზღვროს ანაზღაურების წილი საქმისწარმოების თითოეული კონკრეტული ეტაპისთვის. ამასთან, რაც უფრო განსაზღვრული და დაკონკრეტებული იქნება საადვოკატო მომსახურების თითოეული ეტაპი და თითოეული მათგანისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა, მით უფრო ნაკლები იქნება დავის საფუძველი, თუმცა, ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში, ან ისეთ ვითარებაში, როდესაც არ არსებობს ხელშეკრულების არსებით და განსაკუთრებულ პირობებზე მკაფიო შეთანხმება, მტკიცების ტვირთი ადვოკატს დაეკისრება, რომელიც კლიენტისათვის ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელია. „ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა“.¹⁶²

დოკუმენტაციის დაბრუნების ვალდებულება

დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა კლიენტთან სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის შესახებ სასამართლოში განცხადების წარდგენის შეთანხმება და ადვოკატის მიერ ჩაბარებული სააღსრულებო ფურცლის კლიენტისთვის გადაცემა.¹⁶³ ადვოკატი უთითებდა, რომ კლიენტთან თავიდანვე შეთანხმდა, ვინ მოითხოვდა წერილობით სააღსრულებო ფურცლის გაცემას სასამართლოში და ვინ ჩაიბარებდა მას, ასევე უთითებდა, რომ სააღსრულებო ფურცელი კლიენტისთვის გადაცემული ჰქონდა. კლიენტის განმარტებით, ადვოკატი ცრუობდა, მან სააღსრულებო ფურცლის გადაცემის სანაცვლოდ ახალი მოთხოვნა წაუყენა კლიენტს. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან და საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ დგინდებოდა, რომ ადვოკატმა კლიენტს შეუთანხმდა, რომ სამოქალაქო საქმე-

¹⁶² იხ. სუსგ N ას-1161-1116-2016, 12.10.2017წ; პპ.

¹⁶³ ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N086/15

ზე გასაცემ სააღსრულებო ფურცელს განცხადებით მოითხოვდა სასამართლოში, ხოლო მიღებული სააღსრულებო ფურცელი კლიენტს გადასცა. საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები და ადვოკატს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ ეთიკის კოდექსით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული აქვს. თავის მხრივ, ვერც საჩივრის ავტორმა წარადგინა მტკიცებულება, რომ ადვოკატმა დაარღვია მათი შეთანხმება სააღსრულებო ფურცლის ჩაბარების შესახებ, თუმცა კომისიამ ხაზგასმით განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ადვოკატს ეკისრებოდა.

კომისიის მიერ სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სააღსრულებო ფურცელი ადვოკატმა ჩაიბარა.

კომისიის განმარტებით, კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულებისა და სასამართლოდან მიღებული დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი, კოდექსის მოთხოვნების შესრულების თაობაზე ადვოკატს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს ეკისრებოდა იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ მან კლიენტს წინასწარ შეუთანხმა სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა და ჩაბარება სასამართლოსაგან, ხოლო მისი აღების შემდეგ - დოკუმენტის კლიენტისათვის გადაცემა. ადვოკატმა, მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, არ წარუდგენია საქმის განმხილველი კოლეგიისათვის სააღსრულებო ფურცლის კლიენტისთვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაუდევრად იმოქმედა, ვერ გამოიჩინა ჯეროვანი წინდახედულება და დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 და მე-15 ნაწილების მოთხოვნები.

პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება

დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვა, ვინაიდან მონაწილემ

მხარე დაობდა მის მიმართ ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოვლენაზე, კერძოდ საფოსტო გზავნილით შეურაცხმყოფელი წერილის გაგზავნაზე.¹⁶⁴

კომისიის შეფასებით, სადავო წერილის ადვოკატის მიერ გაგზავნის ფაქტის თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მომჩივანს. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტობრივ გარემოებას ეფუძნებოდა მომჩივანის პრეტენზია, შეჯიბრებით სამართალწარმოებაში მოქმედებს ზოგადი პრინციპი: ამტკიცებს ის, ვინც უთითებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატს მოუწევდა ემტკიცებინა, რომ მას არ გაუგზავნია გზავნილი. ზოგადი უარყოფის დამტკიცება კი შეუძლებელია და ამიტომაც ვერ გადაეკისრება უარყოფის მტკიცების ტვირთი ადვოკატს.¹⁶⁵

საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დადგინდა, რომ სადავო საფოსტო გზავნილი სწორედ ადვოკატმა გაუგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს.¹⁶⁶

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში სადავო გახდა ადვოკატის ქცევა თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესის მონაწილის ნათესავისადმი. ადვოკატმა, რომელიც კლიენტის თანდასწრებით ესაუბრებოდა პროცესუალურ მოწინააღმდეგეს, გაურკვეველი მიზეზის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგის ნათესავს. საჩივრის ავტორმა მოუწოდა ადვოკატს, რომ ასეთი საქციელი მას არ შეეფერებოდა, რაზედაც ადვოკატმა უხეშად (ლანძღვით) უპასუხა.¹⁶⁷

ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიამ უნდა დაადგინოს, მიაყენა, თუ არა გინების ფორმით სიტყვიერი შეურაცხყოფა ად-

¹⁶⁴ ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N086/15

¹⁶⁵ იქვე

¹⁶⁶ იქვე

¹⁶⁷ ეთიკის კომისიის 2018 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N089/17

ვოკატმა პროცესის მონაწილეს, სწორედ გადანაწილებული მტკიცების ტვირთის და დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით¹⁶⁸.

ამ შემთხვევაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია დაეყრდნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

სამოქალაქო ურთიერთობებში ზოგადად მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, შესაბამისად, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული ეთიკის წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან პროცესის მონაწილეს გააჩნდა პრეტენზია, რომ ადვოკატმა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა ქცევის სტანდარტი, საჩივრის ავტორს ეკისრებოდა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გაბათილების მტკიცების ტვირთი. ამ დროს საჩივრის ავტორს უნდა დაემტკიცებინა მისი პრეტენზია სარწმუნო მტკიცებულებებით. მას საამისოდ მიეცა სრული შესაძლებლობა, როგორც საპროცესო მოკვლევის, ასევე საჩივრის განხილვის ეტაპზე. საჩივრის ავტორი და მის მიერ დასახელებული მოწმე არ გამოცხადნენ განხილვის კო-

¹⁶⁸ იქვე

ლეგის სხდომაზე, შესაბამისად დისციპლინური წარმოების ამ ეტაპზე კოლეგიას არ მიეცა საშუალება არსებითად გამოეკვლია მხარეთა პოზიციები. ამ პირობებში საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო მოკვლევის ეტაპზე მიცემულ განმარტებას ვერ ექნებოდა მაღალი სანდოობის მტკიცებულებითი ძალა.¹⁶⁹

საჩივრის პრეტენზიის სანინაალმდეგოდ ადვოკატი გამოცხადდა განხილვის სხდომაზე, უპასუხა კოლეგიის წევრთა კითხვებს, უარყო პროცესუალური მონინაალმდეგის მონმის მიმართ სალანძღავი ფრაზის წარმოთქმა, ასევე, ადვოკატმა საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად, მონმე წარადგინა. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დისციპლინურ სამართალწარმოებაში მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატის მიერ პროცესის მონანლის მიმართ სალანძღავი ფრაზის გამოყენების ფაქტი.¹⁷⁰

კოლეგიალობის ვალდებულება

დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა სადავოდ გახადა კოლეგის ქცევა მის მიმართ. ვინაიდან ადვოკატი მის მიერ მომჩივანისათვის (კოლეგა ადვოკატისათვის) შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს სადავოდ ხდიდა, ასეთ ვითარებაში შეურაცხმყოფელი ქმედების ფაქტი საჩივრისინიციატორს უნდადაემტკიცებინა.¹⁷¹

კომისიამ იმსჯელა საქმეში არსებულ სადავო გარემოებებზე და აღნიშნა, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლო-

¹⁶⁹ იქვე

¹⁷⁰ იქვე

¹⁷¹ ეთიკის კომისიის 2018 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N016/18

ბებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. კომისია გადანყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.¹⁷²

ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მტკიცებულება, ადვოკატის და განმცხადებლის განმარტება. ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ გარემოებებში, შეიძლება არსებობდეს ვარაუდი, რომ დარღვევა მოხდა, მაგრამ ორი თანაბარი წონის მტკიცებულება არ არის საკმარისი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისთვის. საამისოდ ეთიკის კომისიის წინაშე უნდა წარდგენილიყო დამატებითი მტკიცებულება. ამის გათვალისწინებით, კომისიამ მისცა შესაძლებლობა განმცხადებლებს, წარმოედგინათ მონმეები და გამოეთხოვათ აუდიო ჩანაწერი. როგორც ზემოთ აღინიშნა, დისციპლინური წარმოების არსებული მოდელი განმცხადებლის აქტიურ როლს ითვალისწინებს, საპროცესო კოლეგიას კი ერთგვარად დამხმარე როლი აქვს მხარეთა მიერ მტკიცებულებების მოპოვებაში.¹⁷³

კომისიამ შეაფასა მხარის მიერ წარმოდგენილი სასამართლო სხდომის დარბაზში არსებული ვითარების ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომლის საფუძველზე კომისიას ვერ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა შეურაცხმყოფელი ფორმით მიმართა კოლეგას.¹⁷⁴

ერთ-ერთ დისციპლინური საქმეში, სადაც სტაჟიორი დავობდა ადვოკატის მხრიდან ქცევის წესების დარღვევაზე (შეურაცხყოფის არაერთხელ მიყენებაზე), კერძოდ, მის შეურაცხყოფაზე, კომისიამ იხელმძღვანელა დასაბუთებული ვარაუდის სტან-

¹⁷² იქვე

¹⁷³ იქვე

¹⁷⁴ იქვე

დარტით. კომისიის შეფასებით, საჩივრის ავტორს ეკისრებოდა ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ვალდებულება, რომ სადავო ქმედება ადვოკატმა ჩაიდინა. ეთიკის კომისიაში მხარეს მტკიცებულებების წარდგენის საშუალება აქვთ საჩივრის წარდგენის ეტაპზე, ასევე, საპროცესო კოლეგიაში საქმის წარმოების დროს, სანამ საპროცესო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო ადვოკატის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, ვინაიდან ფაქტის თვითმხილველმა მოწმემ, რომელიც ადვოკატის ბიუროშია დასაქმებული, უარი განუცხადა ჩვენების მიცემაზე, შესაბამისად მხოლოდ საჩივრის ავტორის განცხადების საფუძველზე, მაშინ როდესაც ადვოკატი საწინააღმდეგო განმარტებას იძლეოდა და არ ადასტურებდა საჩივარში მოხმობილ ფაქტს, ეთიკის კომისიას არ შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ სტაჟიორის სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე.¹⁷⁵

5.9 ვინ და რა წესით წარმართავს საპროცესო კოლეგიის სხდომას?

თითოეულ საპროცესო კოლეგიას ხელმძღვანელობს საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელიც ასევე წარმართავს საპროცესო კოლეგიის სხდომას. საქმის გამოკვლევისათვის საპროცესო კოლეგია შეისწავლის საჩივარს თანდართულ საქმის მასალებთან ერთად; მხარეებს ჩამოართმევს წერილობით ახსნა-განმარტებებს საქმის გარემოებებზე; განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს; შეისწავლის მხარეების მიერ წარდგენილ დამატებით მტკიცებულებებს ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე გამოითხოვს საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს.¹⁷⁶

¹⁷⁵ ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N083/17

¹⁷⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინუ-

სხდომის წარმართვისას, კოლეგიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით: ხსნის, წარმართავს და წყვეტს სხდომას; სიტყვას აძლევს მხარეს; სიტყვას ჩამოართმევს მხარეს, თუ ის არ არის კავშირში საქმესთან და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას ან თუ მხარე გადააცილებს სიტყვისათვის მისთვის განსაზღვრულ დროს; სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას; აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, სიტყვის დასრულებისათვის მხარეს განუსაზღვრავს დროს; იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.¹⁷⁷

საქმის წარმოების საპროცესო ეტაპზე, მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება შეუძლია როგორც კოლეგიის სრულ შემადგენლობას, ისე კოლეგიის რომელიმე წევრს. კოლეგია უზრუნველყოფს, რომ მხარემ ახსნა-განმარტება გააკეთოს მისთვის ცნობილ და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე. ახსნა-განმარტების პროცესში, კოლეგიის წევრებს თანასწორად აქვთ უფლება, მხარეს დაუსვან შეკითხვები. მხარეთა მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება მტკიცებულების სახით დაერთვის საქმეს. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ტელეფონი, ვიდეო ან სხვა ტექნიკური საშუალებები), თუ შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.¹⁷⁸ დისტანციურად, ტექნიკური საშუალებით სხდომის წარმართვისას, სხდომაზე მონეული პირი ვალდებულია იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, საიდანაც უწყვეტად და მესამე პირების დასწრების გარეშე შეძლებს სხდომაში მონაწილეობას. მხარეებს, მონაწილეებს

რი წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 27, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁷⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 223.1

¹⁷⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 28, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

და სხდომაზე მოწვეულ სხვა პირებს წინასწარ ეცნობებათ დისციპლინარული სხდომაში მონაწილეობის წესები.

საჩივრის საპროცესო განხილვის ეტაპზე, კოლეგია მხარეებისაგან ახსნა-განმარტებას იღებს ცალ-ცალკე. ასევე, საპროცესო კოლეგიის სხდომები და ყველა სხვა საპროცესო მოქმედება კოლეგიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კოლეგიურად, ისე - კოლეგიის წევრთა მიერ ინდივიდუალურად, მაგრამ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიურად, ხმათა უმრავლესობით.¹⁷⁹

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს კოლეგიის ყველა წევრი, ხოლო განსხვავებული აზრი დაერთვება გადაწყვეტილებას.¹⁸⁰

5.10 დისციპლინურ საქმეთა გაერთიანება

მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო კოლეგიას აქვს დისციპლინური საქმეების გაერთიანების უფლება. ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობა საპროცესო კოლეგიას ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ მას განსახილველად გადაეცა რამდენიმე საჩივარი ერთი და იმავე ადვოკატის მიმართ, რომელიც წარდგენილია ერთი და იმავე მომჩივანის მიერ. კოლეგიის მიერ საქმეთა წარმოების გაერთიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კოლეგია ამ საქმეებზე იღებს ერთიან გადაწყვეტილებას.¹⁸¹ აღსანიშნავია, რომ ადვოკატის წინააღმ-

¹⁷⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 4.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁸⁰ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 31, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁸¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 29, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

დეგ ერთი და იმავე მომჩივანის მიერ წარმოდგენილი განცხადებების ერთ საქმედ გაერთიანების პრეცედენტი პირველად 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დანერგა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ, რომელიც იხილავდა ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლოს (მოსამართლეების) მიერ წარმოდგენილ საჩივრებს (დისციპლინური საქმე N043/10).

5.11 რას გულისხმობს დისციპლინური

სამართალწარმოების შეჩერება-განახლება?

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს საქმის შესვლიდან 2 თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოება ჩერდება.

ეთიკის კომისიას საქმის წარმოების ვადის შეჩერება შეუძლია რამდენიმე შემთხვევაში. წარმოების შეჩერების ერთ-ერთი შემთხვევაა, თუ დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური გარემოებები (ადვოკატის ავადმყოფობა, მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო და სხვა), რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება, ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისია გონივრული ვადით შეაჩერებს საქმის წარმოებას მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება შეჩერების საფუძველი.¹⁸²

ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს დისციპლინური საქმის წარმოება იმ შემთხვევაშიც, თუ დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით ადვოკატის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნების არსებობა.¹⁸³ ასეთ ვითარებაში დისციპლინური

¹⁸² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 21, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁸³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 21.1 „ბ“, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

კოლეგიის დისკრეციული უფლებამოსილებაა დისციპლინური საქმის მასალების გადაგზავნა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსათვის. როდესაც აღნიშნული ორგანო ასრულებს საქმის წარმოებას, ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს დისციპლინური წარმოება ადვოკატის მიმართ, თუ ამავე ადვოკატის წინააღმდეგ ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომლის შედეგებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.¹⁸⁴ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ეთიკის კომისია განაახლებს წარმოებას. ვადის შეჩერების შემთხვევაში, წარმოების შეჩერების ვადა არ ითვლება დისციპლინური წარმოების ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ შეუწყდება ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება შეჩერდება არაუმეტეს 5 წლისა. დისციპლინური წარმოება განახლდება ადვოკატის მიერ ასოციაციის წევრობის აღდგენისას.¹⁸⁵

სწრაფი მართლმსაჯულების მიღწევის პრინციპია, რომ დისციპლინური წარმოების შეჩერებისას, წარმოება უნდა განახლდეს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე.

დისციპლინური წარმოების შეჩერებისა და განახლების თაობაზე გადაწყვეტილებები უნდა დასაბუთდეს, მას ხელს აწერს საქმის განმხილველი კოლეგიის ყველა წევრი. გადაწყვეტილება ეგზავნებათ მხარეებს და წერილობითი ფორმით დაერთვის დისციპლინურ საქმეს.

¹⁸⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 21.1 „გ“, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁸⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 22.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

5.12 საპროცესო წარმოების დასრულების შედეგები

5.12.1 დისციპლინური წარმოების შეწყვეტა

დებულებით დადგენილ შემთხვევაში, ეთიკის კომისიას უფლება აქვს უარი თქვას საჩივრის განხილვაზე, რაც წარმოების შეწყვეტას იწვევს.

ეთიკის კომისიაში დასრულებულ წარმოებათა შორის შედეგის მხრივ საქმის წარმოების შეწყვეტა ბოლო ადგილზეა. წარმოების შეწყვეტას სხვადასხვა საფუძველი იწვევს, თუმცა ხშირ შემთხვევაში კოლეგიას კონკრეტულ საფუძველთა გამო არ აქვს შესაძლებლობა არსებითად გამოიკვლიოს და სამართლებრივად შეაფასოს სადავო ქცევა.

ეთიკის კომისია საჩივარს არსებითად არ იხილავს იმ შემთხვევაში, როდესაც:

- საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში;¹⁸⁶
- საჩივარი წარდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ;
- საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;¹⁸⁷
- დაინტერესებული პირის სახელით საჩივარი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;

¹⁸⁶ შენიშვნა: არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატის სადავო ქცევა არ უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, თუმცა პირები, რომლებსაც ადვოკატების მიმართ აქვთ პრეტენზია, მიმართავენ კომისიას. მაგალითად, ადვოკატის ოფისში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიდან მომდინარე ხმაურის გამო, ადვოკატის მიერ მისი პირადი სახელშეკრულებო ვალდებულებების (არა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე) შეუსრულებლობისას და სხვა.

¹⁸⁷ შენიშვნა: კომისია თითოეულ საჩივარში დაყენებული პრეტენზიიდან გამომდინარე აფასებს, წარმოადგენს თუ არა საჩივრის ავტორი უფლებამოსილ პირს იმ საკითხთან მიმართებით, რაზედაც დავობს.

- თუ სადავო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადაა 5 წელი.¹⁸⁸
- თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე.¹⁸⁹
- ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით;
- არსებობს ეთიკის კომისიის გადანყვევტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე;¹⁹⁰
- საჩივარი არ შეიცავს დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.¹⁹¹

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე მიიღო გადანყვევტილება, რომ იმ შემთხვევაში, თუ

¹⁸⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

¹⁸⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 22.1.ბ, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁹⁰ ეთიკის კომისიამ 2019 წლის 21 თებერვლის გადანყვევტილებაში, საქმე N169/18 განმარტა, რომ ეთიკის კომისიის რესურსის არაგონივრულ ხარჯვას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ საჩივრის განხილვის შემდეგ ისეთი პრეტენზიებით განმეორებითი საჩივრით მომართვა, რაც უკავშირდება ეთიკის კომისიის მიერ შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებს ან ახალი საჩივრით ისეთ გარემოებებზე დავა, რაც საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო საჩივრის თავდაპირველად შემოტანისას. საჩივარი უნდა იყოს მომზადებული, დასაბუთებული და საჩივრის შემოტანამდე მხარე უნდა ჩამოყალიბდეს რა გარემოებების გამოკვლევა სურს ეთიკის კომისიაში. კომისიისათვის საჩივარში არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან საჩივრის განმეორებითი შემოტანა იმ საფუძვლით, რომ მხარეს სურს კომისიამ ხელახლა შეაფასოს ის გარემოებები, რასაც ერთხელ უკვე დაეყრდნო კომისია გადანყვევტილების მიღებისას, გაუმართლებელია.

¹⁹¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 9, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

დებულების მე-7 მუხლში მითითებული საჩივრის რეკვიზიტები არ არის სრულად შევსებული განცხადებაში, საჩივრის ავტორს კომისიის აპარატის მეშვეობით უნდა ეცნობოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა შეავსოს სავალდებულო რეკვიზიტები. ასევე, საჩივრის ავტორს უნდა განემარტოს, რომ თუ დადგენილ ვადაში ხარვეზს არ შეავსებს, კომისია უფლებამოსილია უარი თქვას საჩივრის განხილვაზე.¹⁹²

ეთიკის კომისიის წევრთა მიერ კოლეგიურად მიღებული გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ თუ საჩივარი შემოტანილია ისეთი პირის მიმართ, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ასეთი საჩივარი არ დარეგისტრირდეს და საჩივრის ავტორს წერილობით ეცნობოს რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.¹⁹³

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმა და წარმოების შეწყვეტა, შედეგობრივად ერთ შედეგს იწვევს - წარმოების შეწყვეტას, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავდება გამოკვლევის ფარგლები. ადვოკატის სადავო ქცევის არსებითად შესწავლისას, თუ კომისია ფაქტებს დაადგენს, მაგრამ ქცევას არ ექნება გადაცდომის შემადგენლობა, ან ვერ დადგინდება სადავო ფაქტები, მიიღებს დევნის აღძვრაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას. გამოკვლევის ეტაპზე წარმოების შეწყვეტის საფუძველების წარმოშობამ შესაძლებელია შეზღუდოს ადვოკატის სადავო ქცევის არსებითად გამოკვლევა, მნიშვნელობა აქვს როდის გამოვლინდება ის ობიექტური მიზეზები, რაც უზღუდავს კომისიას შესაძლებლობას, შეისწავლოს ადვოკატის ქცევის ეთიკურობა. შესაძლებელია საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის გამოკვლევის ძირითადი ნაწილი დასრულებული იყოს, არსებითი მოქმედებებიც შესრულებული ჰქონდეს კოლეგიას საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების გამოვლენამდე და ადვოკატის პროფე-

¹⁹² ეთიკის კომისიის 2011 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმი

¹⁹³ ეთიკის კომისიის 2011 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმი

სიული ქცევის ეთიკაზე დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლეოდას გამოკვლევით მიღებული ინფორმაცია, თუმცა ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორცაა ადვოკატის წევრობის შეჩერება/შენწყვეტა, საჩივრის ავტორის მიერ საჩივარზე უარის თქმა გამოიწვევს წარმოების შეწყვეტას. ის, თუ როდის ვლინდება საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები, გავლენას ახდენს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხზე: მაგალითად, თუ ადვოკატს საქმის წარმოების დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში უწყდება ასოციაციის წევრობა და მისი ქცევის შეფასებისთვის კოლეგიას არ აქვს ინფორმაცია, ის მოამზადებს საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებას, სადაც დაასაბუთებს, თუ რატომ შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება. თუ კოლეგიამ შეისწავლა საქმე და მოგვიანებით გამოვლინდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, როდესაც გამოკვეთილია გადაცდომის ნიშნები, რეკომენდირებულია, კოლეგიამ გადაწყვეტილების დასაბუთების დროს იმსჯელოს ადვოკატის ქცევაზე და მიუთითოს სამართლებრივი შეფასება, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა კოლეგია და რა საფუძვლებით, რომ არა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ან წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძველი. დისციპლინური წარმოების მიზანია არა მხოლოდ კონკრეტულ განმცხადებელსა და ადვოკატს შორის დავის გადაწყვეტა, არამედ ეთიკური სტანდარტების განვითარებისა და შესრულების უზრუნველყოფა, ადვოკატთა ასოციაცია დაინტერესებულია წარმოების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი, ინფორმაცია მიაწოდოს ადვოკატს მისი ქცევის ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე.¹⁹⁴

5.12.2 გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

საპროცესო კოლეგია, კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპ-

¹⁹⁴ ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N029/11

ლინური დევნის აღძვრაზე უარის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ქცევა დადგინდება და არ წარმოადგენს შინაარსით გადაცდომას ან სადავო ქცევა გადაცდომაა, თუმცა საქმეში არსებული მასალები არ ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატის მიერ სადავო ქცევის განხორციელების შესახებ.

იმავე საკითხზე კომისია მეორედ არ მსჯელობს, თუ საქმის სრულად გამოკვლევით მიიღო ადვოკატის მიმართ დევნის დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება. საქმის შედეგით უკმაყოფილო მხარეები ზოგჯერ თავიდან მიმართავენ კომისიას სხვა საპროცესო კოლეგიის მორიგეობის პერიოდში (წინასწარ განსაზღვრული რიგითობის საფუძველზე) იმ იმედით, რომ სხვა კოლეგია განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმცა, ასეთი შემთხვევა დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საჩივრის ავტორს უფლება აქვს დამატებითი მასალის მოპოვების შემდეგ მიმართოს კომისიას და მოითხოვოს საკითხის თავიდან შესწავლა, თუ ადვოკატის ქცევა არსებითად არ შეფასდა სადავო ქცევის დაუდგენლობის გამო და კომისიის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც კომისიამ თავიდან განიხილა საქმე.

დევნის აღძვრაზე უარის თქმის გადაწყვეტილება არ საჩივრდება, არის საბოლოო, შესაბამისად, კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წერილობითი გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს იმისათვის, რომ მხარეებისთვის ნათელი გახდეს რატომ არ აღძრა კომისიამ დევნა.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებაში, რომლითაც კოლეგიამ უარი თქვა დისციპლინური დევნის აღძვრაზე, უნდა აღინიშნოს: გადაწყვეტილების მიღების თარიღი; გადაწყვეტილების დასახელება, დისციპლინური საქმის ნომერი, კოლეგიის შემადგენლობა, საჩივრის ან მიმართვის ავტორის ვინაობა, მოპასუხე ადვოკატის ვინაობა, საჩივრის მოთხოვნა; გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი მოიცავს საჩივრის ან მიმართვის ავტორის პოზიციებს; ფორმალური წინაპირობების თავში მოცემულია ინფორმაცია ადვოკატის ნევრობის სტატუსისა

და სპეციალიზაციის, საჩივრის ან მიმართვის ავტორის მიერ კომისიისადმი მიმართვის პერიოდისა და სადავო მოქმედების განხორციელების თაობაზე, რომ შემომწმდეს კომისიისადმი მიმართვის ხანდაზმულობის საკითხი, ხოლო სამოტივაციო ნაწილი დეტალურად მიმოიხილავს პრეტენზიებს, გამოსაყენებელ ნორმებს, განმარტავს ნორმებს და მოიცავს ფაქტების ანალიზს ნორმებთან; სარეზოლუციო ნაწილში იწერება პროცედურული ნორმები, გადაწყვეტილების შედეგი და ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.¹⁹⁵

5.12.3 დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილება

ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით და ან „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, საპროცესო კოლეგია იწყებს ადვოკატის მიმართ დისციპლინურ დევნას.¹⁹⁶

საპროცესო კოლეგია მსჯელობს ადვოკატის ქცევაზე, ადგენს კონკრეტულ ფაქტებს, რაც საფუძვლად დაედება დისციპლინური დევნის აღძვრას და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იღებს გადაწყვეტილებას. სწორედ საპროცესო კოლეგიაა ინიციატორი ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნის აღძვრის, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევის ვარაუდს.

¹⁹⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 40.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁹⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 30.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო კოლეგია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ირღვევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ კონკრეტული ნორმები მომჩივანის მიერ მითითებული პრეტენზიის ნაწილში, ხოლო დანარჩენი პრეტენზიის ნაწილში დაადგენს, რომ ადვოკატის მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევა არ იკვეთება, კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე; შემაჯამებელ დასკვნასა და სამართლებრივ შეფასებაში კოლეგია მიუთითებს დასაბუთებას ორივე ნაწილში, თუ რატომ შეექმნა ვარაუდი ეთიკურ გადაცდომაზე კონკრეტული პრეტენზიის ნაწილში და რატომ არ დაკმაყოფილა სხვა ნაწილში საჩივარი.¹⁹⁷

დისციპლინური დევნის დაწყებით საქმეზე წარმოება გრძელდება და საქმე განსახილველად გადაეცემა განხილვის კოლეგიას.

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებაში, რომლითაც კოლეგიამ დისციპლინური დევნა აღძრა ადვოკატის მიმართ, უნდა აღინიშნოს: გადაწყვეტილების მიღების თარიღი; გადაწყვეტილების დასახელება, დისციპლინური საქმის ნომერი, კოლეგიის შემადგენლობა, საჩივრის ან მიმართვის ავტორის ვინაობა, მოპასუხე ადვოკატის ვინაობა, საჩივრის მოთხოვნა; გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი მოიცავს საჩივრის ან მიმართვის ავტორის პოზიციებს; ფორმალური წინაპირობების თავში მოცემულია ინფორმაცია ადვოკატის წევრობის სტატუსისა და სპეციალიზაციის, საჩივრის ან მიმართვის ავტორის მიერ კომისიადმი მიმართვის პერიოდისა და სადავო მოქმედების განხორციელების თაობაზე, რომ შემონმდეს კომისიისადმი მიმართვის ხანდაზმულობის საკითხი, ხოლო სამოტივაციო ნაწილში მითითებულია ადვოკატის ქცევა ან ქცევები, რომე-

¹⁹⁷ ეთიკის კომისიის დამკვიდრებული პრაქტიკით განხილვის კოლეგია განიხილავს მოცემული გადაწყვეტილების მხოლოდ აღძვრის ნაწილს, ხოლო აღძვრაზე უარის თქმის ნაწილი საბოლოოა.

ლიც სავარაუდოდ წარმოადგენს პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევას და რომლის მიხედვითაც განხილვის კოლეგია დაადგენს ფაქტებს; ადვოკატის თითოეული სადავო ქცევა, განხილულია გამოსაყენებელი ნორმების ფარგლებში - მითითებულია ნორმა, განმარტებულია მისი შინაარსი, ქცევა დეტალურად არის განხილული ნორმის ფარგლებში; სარეზოლუციო ნაწილში იწერება პროცედურული ნორმები, გადაწყვეტილების შედეგი და ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.¹⁹⁸

5.13 განხილვის კოლეგიის მიერ საქმის წარმოება

5.13.1 განხილვის პროცესი

განხილვის კოლეგია, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლების მიხედვით განიხილავს საქმეს ზეპირი მოსმენით. განხილვის კოლეგიაში მხარეები არიან საჩივრის ან მიმართვის ავტორი და ადვოკატი. მხარეებს უფლება აქვთ ისარგებლონ წარმომადგენლების დახმარებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვაში მონაწილეობს თარჯიმანი, სპეციალისტი, ექსპერტი, მოწმე.

განხილვის კოლეგია საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიაში განხილვის ეტაპზე, შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებენ მათი პრეტენზიის საფუძვლად არსებულ ფაქტებს.¹⁹⁹

¹⁹⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 40.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

¹⁹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.1

განხილვის კოლეგიის სხდომები მიმდინარეობს კოლეგიის სამივე წევრის მონაწილეობით, კოლეგიურად. განხილვის სხდომის თარიღზე წინასწარ თანხმდება საქმის განმხილველი კოლეგია და გონივრული დროით ადრე, კოლეგია საქმის მწარმოებელი იურისტის მეშვეობით, საჩივრის განხილვის თარიღს ატყობინებს დისციპლინური წარმოების მხარეებს. კოლეგია განხილვის თარიღის არჩევისას ყოველთვის ითვალისწინებს გარემოებას, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, მხარეებს სჭირდებათ დრო საქმის არსებითად, ორივე მხარის მონაწილეობით, განხილვის სხდომისათვის მოსამზადებლად.

განხილვის კოლეგიის სხდომას წარმართავს განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე. თავდაპირველად, განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე ხსნის განხილვის კოლეგიის სხდომას, აცხადებს კოლეგიის შემადგენლობას, სხდომის მდივნის ვინაობას და განსახილველ საქმეს.²⁰⁰ ამის შემდეგ, სხდომის მდივანი მოახსენებს განხილვის კოლეგიას გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ასევე - ინფორმაციას რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის და მისთვის შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.²⁰¹

განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს უფლებებს, რაც მოიცავს მხარის უფლებას, აიცილოს მთლიანი კოლეგია ან კოლეგიის რომელიმე წევრი; უფლებას, რომ მხარე წარმოდგენილი იყოს ადვოკატით; შუამდგომლობების დაყენებისა და მტკიცებულებათა წარდგენის უფლებას.²⁰²

²⁰⁰ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.4, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

პროცედურულად, განხილვის კოლეგიას ახსნა-განმარტებას ჯერ აძლევს განმცხადებელი, რომელიც არის საჩივრის ავტორი და გააჩნია პრეტენზია ადვოკატის მიმართ. განმცხადებელი პასუხობს კოლეგიის მიერ დასმულ კითხვებს; განმცხადებლის შემდეგ, განხილვის კოლეგიას თავის პოზიციას მოახსენებს ადვოკატი და პასუხობს კოლეგიის მიერ დასმულ კითხვებს. ამის შემდეგ, მხარეებს ეძლევათ უფლება ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.²⁰³ კოლეგიის თავმჯდომარეს თავისი ინიციატივით ან მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლება აქვს დაუშვას ან მოხსნას შეკითხვა, რომელიც არის მიმანიშნებელი, შეიცავს პასუხს, აცდენილია საკითხისაგან ან არის შეურაცხმყოფელი შინაარსის.²⁰⁴

მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები.²⁰⁵

საქმეში არსებული გარემოებების გამოკვლევის მიზნით განხილვის კოლეგიას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს და შეკითხვებით მიმართოს მონაწილესა და ექსპერტებს, ასევე მისცეს მხარეებს მათთვის შეკითხვების დასმის საშუალება.²⁰⁶

განხილვის კოლეგიის სხდომის ბოლოს, მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით, ამასთან შემაჯამე-

²⁰³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.6, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.9, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.7, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.8, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ბელ სიტყვას ბოლოს წარმოთქვამს ადვოკატი, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე სხდომას დახურულად აცხადებს.²⁰⁷

განხილვის სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს განხილვის კოლეგია. მხარეთა მიერ სხდომაზე არსებული წესების დაუცვლების შემთხვევაში კოლეგია უფლებამოსილია, შეწყვიტოს და გადადოს საქმის განხილვა. ამ ეტაპზე არსებული რეგულაციებით წესრიგის დაცვის სხვა მექანიზმი კომისიას არ გააჩნია.

5.13.2 განხილვის სხდომის წარმართვა და შეჯამება

განხილვის სხდომის მიმდინარეობა იწერება ელექტრონული საშუალების გამოყენებით. განხილვის კოლეგიის სხდომას წერილობით აჯამებს საქმის მწარმოებელი იურისტი, რომელიც სხდომას ესწრება სხდომის მდივნის სტატუსით. იგი ადგენს ოქმს, რომლის შინაარსის გამართულობაზეც სხდომის თავმჯდომარესთან ერთად არის პასუხისმგებელი. სხდომის ოქმს ხელს აწერს განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე და განხილვის კოლეგიის სხდომის მდივანი.²⁰⁸

განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს: განხილვის კოლეგიის სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი; განხილვის კოლეგიის სხდომის დაწყების და დამთავრების დრო; საქმის განმხილველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა და სხდომის მდივანი; დისციპლინური საქმის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი, საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი; სხდომაზე წარმოდგენილი მხარეებისა და სხვა პირების ვინაობა; მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებები და შეკითხვებზე გაცემული პასუხები; მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულებების

²⁰⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 33.10, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁰⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 37.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

გამოკვლევის მონაცემები; მხარეთა შემაჯამებელი განცხადებების შინაარსი.²⁰⁹

მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებების შეტანის თაობაზე, რომლებიც, მათი მოსაზრებით, საქმისათვის მნიშვნელოვანია.²¹⁰

სხდომის ოქმი თან ერთვის დისციპლინურ საქმეს როგორც წერილობითი, ისე აუდიო სახით.²¹¹

კოლეგია სხდომაზე მოიწვევს ორივე მხარეს: საჩივრის ავტორსა და ადვოკატს. კოლეგიას უფლება აქვს გადადოს საქმის განხილვა საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში. ადვოკატის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, განსხვავებულია მონესრიგება:

განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დისციპლინური საქმის განხილვა გადაიდება არანაკლებ 10 და არაუმეტეს 30 დღის ვადით. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია მიუთითოს საქმის განხილვის მისთვის მისაღები 3 თარიღი, საქმის განხილვისთვის დაწესებული საერთო ვადის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი სხდომის გადადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა არ წარმოადგენს მისთვის მისაღებ თარიღებს მორიგი სხდომის თარიღის განსაზღვრის მიზნით, ეთიკის კომისია საკუთარი გადაწყვეტილებით ჩანიშნავს სხდომას.²¹²

²⁰⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 37.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹⁰ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 37.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 37.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის არასაპატიო მიზეზით ხელმეორედ გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.²¹³ თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი არასაპატიო მიზეზით, ხელმეორედ არ გამოცხადდება და მისი გამოცხადება საქმის განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა, კოლეგიას შეუძლია თავისი ინიციატივით კიდევ ერთი სხდომა დანიშნოს.

ადვოკატთან ყველა კომუნიკაცია წერილობითი ფორმით თავსდება დისციპლინურ საქმეში.

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების 2018 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების დებულებაში შევიდა ცვლილება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებასთან დაკავშირებით და დადგინდა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების სავალდებულობა. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებას საჯაროდ აცხადებს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კოლეგიის სხვა წევრი. ეთიკის კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს და გაეგზავნოს მხარეებს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში.²¹⁴

ამ ცვლილების შეტანამდე, ადრე არსებული პრაქტიკით მხარეს გადაწყვეტილება ბარდებოდა წერილობითი ფორმით და მხოლოდ ამის შედეგად გებულობდა იგი მიღებულ გადაწყვეტილებას.

რი წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 34.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 34, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹⁴ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35.5, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

5.13.3 განხილვის შედეგები

განხილვის კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 3 თვის ვადაში.

განხილვის კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს განხილვის კოლეგიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს განხილვის კოლეგიის ყველა წევრი. განხილვის კოლეგიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობითი ფორმით დაერთვის საქმეს.²¹⁵

განხილვის კოლეგიას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია მიიღოს შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილებები:

- გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;
- გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გადაწყვეტილება საქმის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე.
- გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე;

განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ დისციპლინური საქმის მოპასუხე ადვოკატს. გასაჩივრების უფლება ვრცელდება შემაჯამებელ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დისციპლინური სახდელი დაეკისრა ადვოკატს. გასაჩივრების პროცესი განხილულია გამოცემის 5.15 თავში.

²¹⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 35, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

5.13.3.1 რას წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება და რა არის მისი მიზანი?

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მსუბუქი ფორმაა, რომელიც ადვოკატის მიმართ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მან პროფესიული ქცევის სტანდარტები დაარღვია, მაგრამ ამას არ გამოუწვევია ადვოკატის პროფესიისადმი არსებითი ზიანი, ადვოკატმა სცადა შედეგის გამოსწორება, ის აცნობიერებს ქცევის არაეთიკურობას და სხვა.

ადვოკატისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა წარმოადგენს ადვოკატზე, მის მიერ ჩადენილი ეთიკური გადაცდომის გამო, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს.²¹⁶

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების მიზანია როგორც კონკრეტული ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასება, ასევე ქცევის ისეთი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა, რომელიც ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებას ემსახურება და პრევენციული ხასიათის იქნება ყველა ადვოკატისათვის პროფესიულ საქმიანობაში.

ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვისას კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.²¹⁷ კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი ინახება დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. კონვერტი გაიხსნება, თუ ადვოკატის მიმართ ახალი დისციპლინური დევნა დაიწყება.

„განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო

²¹⁶ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 34.2, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

²¹⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 38.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ბარათით მიმართვის შემთხვევაში, კერძო სარეკომენდაციო ბარათი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით“.²¹⁸

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, მათ შორის კერძო სარეკომენდაციო ბარათი არ არის დისციპლინური სახდელი, შესაბამისად, მას არ აქვს გაქარწყლების ვადა და ასეთი ღონისძიების გამოყენება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით საბოლოოა და არ საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

სტატისტიკით მიხედვით ეთიკის კომისიას დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებიდან გამოყენებული აქვს მხოლოდ ადვოკატისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, კომისიას არასდროს გამოუყენებია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.²¹⁹

²¹⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 38.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²¹⁹ <https://gba.ge/ka/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%20-%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%20-%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90>

5.13.3.2 რას წარმოადგენს დისციპლინური სახდელი და რა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება შეუძლია განხილვის კოლეგიას?

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებების გარდა, განხილვის კოლეგიას აქვს უფლებამოსილება ადვოკატს დააკისროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.²²⁰

ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თავის სხდომაზე განიხილავს კოლეგიურად, 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.²²¹

პროპორციულობის პრინციპი გასათვალისწინებელია ადვოკატთა მიერ ჩადენილი გადაცდომის შეფასებისას. სახდელი უნდა შეესაბამებოდეს დისციპლინური დარღვევას და არ უნდა იყოს გადაჭარბებული. „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“.²²²

სახდელის განსაზღვრის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირისათვის პასუხისმგებლობის შეფარდებას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად.²²³

დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი ეთიკის კომისიამ განმარტა ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, რაშიც იგულისხმება პირველ რიგში ადვოკატის

²²⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 34.1.ა, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

²²¹ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35.1, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

²²² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულება, მუხლი 2.5, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N დს-შ/3-17

პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა, რადგან დისციპლინური წარმოების მიზანი არ არის კლიენტის ქონებრივი თუ მორალური ზიანის დაკმაყოფილება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისგან. დისციპლინური წარმოების მიზანია ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა, ხოლო თავის მხრივ ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მოცემულია მისი მიზანი, მათ შორის არის პროფესიული ღირსების დამკვიდრება და ადვოკატის პროფესიისათვის ნდობის მოპოვება. შედეგად ეთიკის კომისია აფასებს, თუ რამდენად მძიმე იყო ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულების დარღვევა და რა ზიანი მიაყენა ამ დარღვევამ ადვოკატის პროფესიას, თუმცა ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.²²⁴

ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.²²⁵

²²⁴ ეთიკის კომისიის 2018 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N033/17

ეთიკის კომისიამ ასევე 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებაში, საქმეში N098/17, განმარტა, რომ „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.“

²²⁵ ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, დიაციპლი-

ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული რეგულაციის მე-10 წესს, რომელიც დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს პროპორციულობის პრინციპის გამოსაყენებლად: „სანქციის დაკისრებისას გასათვალისწინებელია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის, მანამდე, ადვოკატს ჰქონდა თუ არა დისციპლინური სახდელი დაკისრებული; ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინური საქმისწარმოების პროცესის ხელშეშლას, აღიარებს თუ არა ადვოკატი გადაცდომას, ადვოკატის რეპუტაცია და შრომითი გამოცდილება, დროულად და კეთილსინდისიერად გადაცდომის შედეგების გამოსწორება“.²²⁶

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ადვოკატის საჩივარი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე და განმარტა: „ის გარემოება, რომ ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, არ გამორიცხავდა მის ვალდებულებას, გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, სახდელის დაკისრებისას მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შედეგები, რომელიც მას მოჰყვა, ადვოკატის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა გამოყენებული სახდელის ადეკვატურობას. ნორმაში ალტერნატიული სახდელის გათვალისწინება მიუთითებს უფრო მკაცრი სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სახდელი ვერ უზრუნველყოფს მისი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“.²²⁷

ნური საქმე N098/17

²²⁶ ABA, Model Rule 10 - Sanctions

²²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N დს/შ-9/15

სახდელის შეფარდების პროპორციულობის მნიშვნელობაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 და განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ აღრე ჩადენილი გადაცდომის, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.²²⁸

განხილვის კოლეგია ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას მხედველობაში იღებს უზენაესი სასამართლოს განმარტებას: „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“.²²⁹

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის

²²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-15, 2015 წ

²²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017

პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“.²³⁰

განხილვის კოლეგია გადანყვეტილების მიღებისას ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, ადვოკატისათვის კომისიას მიმართული აქვს თუ არა კერძო სარეკომენდაციო ბარათით. თუ ადვოკატს მანამდე გადაცემული ჰქონდა კერძო სარეკომენდაციო ბარათი, ამ შემთხვევაში, კომისია გახსნის დალუქულ კერძო სარეკომენდაციო ბარათს და გაეცნობა მის შინაარსს, თუ რა რჩევა (რეკომენდაცია) მიიღო ადვოკატმა ეთიკის კომისიისაგან. განხილვის კოლეგია იმასაც ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებისას, ადვოკატს დაკისრებული აქვს თუ არა დისციპლინური სახდელი, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში და სხვა დარღვევასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღების დროისათვის ჯერ კიდევ არ არის გაქარწყლებული.

განხილვის კოლეგია საბოლოო გადანყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ადვოკატისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის პროპორციულობის, სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპებით, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებებით ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით.

²³⁰ ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადანყვეტილება, დისციპლინური საქმე N098/17

5.13.3.3 რა შემთხვევაში გადაეცემა საქმე განსახილველად ეთიკის კომისიის მთლიან შემადგენლობას?

თუ განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში ადვოკატის სადავო ქცევების შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას გაფრთხილებაზე მკაცრი სახდელი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგია თავისი გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმეს განსახილველად გადასცემს ეთიკის კომისიას.²³¹ აღსანიშნავია, რომ ამ საფუძვლით გადაცემული საქმის განხილვის შემთხვევაში, ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა არ არის შეზღუდული განხილვის კომისიის მოსაზრებით. ეს იმას გულისხმობს, რომ ადვოკატს შესაძლოა არ დაეკისროს სახდელის სახით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. ადვოკატს შესაძლოა დაეკისროს უფრო ნაკლები სიმძიმის სახდელი- გაფრთხილება ან მის მიმართ გამოყენებული იქნეს ზემოქმედების ღონისძიება; ასევე, შესაძლებელია ადვოკატი გამართლდეს და არ დადასტურდეს მის წინააღმდეგ აღძრული პრეტენზია.

განხილვის კოლეგია საქმის კომისიის მთლიანი შემადგენლობისათვის განსახილველად გადაცემის დროს ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებებს ადვოკატის პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს, საჩივრის ავტორისათვის მიყენებულ ზიანს, ასევე გარემოებას, რომ დისციპლინირების მთავარი მიზნის მისაღწევად ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ან გაფრთხილება, ვერ იქნება ქმედითი ღონისძიება. ამ ყველა გარემოების ერთობლიობით,

²³¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 36, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

განხილვის კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას საქმის განსახილველად ეთიკის კომისიისათვის გადაცემის შესახებ.

ეთიკის კომისიამ მიიღო რეკომენდაცია, რომ განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე განსახილველად გადაეცემა ეთიკის კომისიას, გადაწვეტილების სამოტივაციო ნაწილში დასაბუთდეს მხოლოდ სახდელის პროპორციულობის ნაწილი, რაც წარმოადგენს საქმის ეთიკის კომისიისათვის გადაცემის მოტივაციას.²³² აღნიშნული რეკომენდაციის მიღების აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ განხილვის კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას, ეთიკის კომისია არ დაადგენს ადვოკატის დისციპლინურ გადაცდომას. თუ კომისია დაადგენს გადაცდომას და დაასაბუთებს, სახეზე იქნება ერთი და იმავე ორგანოს მიერ მიღებული ორი გადაწყვეტილება ერთსა და იმავე საკითხზე. ამ სამართლებრივი პრობლემის თავიდან ასაცილებლად, კომისიამ მიიღო რეკომენდაცია, რომ არ დაადგინოს დარღვევა და დაასაბუთოს მხოლოდ შესაძლო სახდელის პროპორციულობის ნაწილი - თუ რა მოტივით მიაჩნია განხილვის კომისიას, რომ საქმე ეთიკის კომისიის სრულმა შემადგენლობამ უნდა განიხილოს.

5.14 ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის მიერ წარმოება

5.14.1 რა უფლებამოსილება აქვს სრული შემადგენლობით ეთიკის კომისიას?

ეთიკის კომისია საქმის გამოკვლევას იწყებს თავიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ კომისიის სრული შემადგენლობის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე მხარეებს აქვთ უფლება კომისიას მისცენ ახსნა-განმარტება, დააყენონ შუამდგომლობები, მოიწვიონ ექსპერტი, სპეციალისტი. ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ადვოკატს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას აზრი ზეპირად ან წერილობით, გამოითხოვოს

²³² ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 ივლისის სხდომის ოქმი

და წარადგინოს მტკიცებულებები და სრულად ისარგებლოს დაცვის უფლებით.²³³

ეთიკის კომისიამ დისციპლინური საქმე უნდა განიხილოს არანაკლებ 10 წევრის მონაწილეობით, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება არანაკლებ 8 წევრის მიერ.²³⁴ აქვეა დათქმა, რომ სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ საპროცესო კოლეგიის წევრებსაც, ვინც მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

კომისიის წევრთა ნაწილის მოსაზრებით, ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს კომისიის იმ წევრმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. ამ შეხედულების მომხრე კომისიის წევრთა მოტივაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დისციპლინური დევნის აღძვრისას კომისიის წევრს უკვე აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია ადვოკატის ქცევის მიმართ და წევრის მიერ ეთიკის კომისიის საქმის განხილვაში მონაწილეობა წარმოადგენს ადვოკატისათვის სამართლიანი მართლმსაჯულების მიღების უფლების დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა დაადგინა და განმარტა: „წინამდებარე საქმეში მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ოთხი წევრი პირველად შეიკრიბა როგორც კოლეგია, პირველი ინსტანციის სასამართლო ორგანოს სახით, რათა გამოეკვლია მომჩივნის წინააღმდეგ წარდგენილი დისციპლინური ბრალდების დასაბუთებულობა. შესაბამისად, მოსმენისა და ყველა მტკიცებულების გამოკვლევის შემდეგ კოლეგიამ 2004 წლის 23 დეკემბერს გამოიტანა არგუმენტირებული გადაწყ-

²³³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35.2, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

²³⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 39.3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ვეტილება და დაადგინა, რომ მომჩივანმა ჩაიდინა ადმინისტრაციული გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით დააკისრა თანამდებობიდან გათავისუფლება (პარ. 8). გადაწყვეტილება მოიცავდა საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებთან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი დებულებების განმარტებასა და გამოყენებას. შემდგომ, იგივე ოთხი მოსამართლე შედიოდა რვა მოსამართლისაგან შემდგარი სადისციპლინო საბჭოს პლენარული სხდომის შემადგენლობაში, რომელმაც სააპელაციო წესით განიხილა ის ფაქტები და სამართლებრივი საკითხები, რომლებიც წამოჭრა მომჩივანმა მე-60 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2004 წლის 23 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგივე ოთხი მოსამართლე მონვეულ იქნა საქმის განხილვაზე, რათა ხელახლა განეხილათ საკუთარი გადაწყვეტილება და გამოერკვიათ ფაქტების შეფასებისას ან გამოყენებული სამართლებრივი დებულებების განმარტების დროს, თავად ხომ არ დაუშვეს რაიმე შეცდომა (შეად. *San Leonard Band Club v. Malta*, No77562/01, §§61-66, ECHR2004-IX; *Indra v. Slovakia*, No46845/99, §§ 51-55, 2005 წლის 1 თებერვალი; და *HIT d.d. Nova Gorica v. Slovenia*, No50996/08, §§ 37-42, 2014 წლის5 ივნისი; *Warsicka v.Poland*, No2065/03, §§ 43-47, 2007 წლის 16 იანვარი, და *Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta (No2)*, No18544/08, §§ 35-38, 2011 წლის 22 ნოემბერი). სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სადისციპლინო საბჭოს რვა წევრმა გადაწყვეტილება მიიღო ხმათა უმრავლესობით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის თავმჯდომარეს (პარ.17, დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეების ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე ჩართული იყვნენ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის პროცესში (იხ. *mutatis mutandis*, *Perote Pellon v.Spain*, No45238/99, §§ 50-52, 2002 წლის 25 ივლისი; *Cardona Serrat v. Spain*, No 38715/06, §§37

and 38, 2010 წლის 26 ოქტომბერი; და *Fazlı Aslaner v. Turkey*, No36073/04, §§37-39, 2014 წლის 4 მარტი). მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაეს სასამართლოში წინამდებარე დისციპლინური სამართალწარმოების საქმე განხილულ იქნა მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების შეფასების კუთხით (იხ. პარ. 12 და 18), სასამართლოს გარკვეული ეჭვები უჩნდება საკასაციო ინსტანციის მიერ საკითხის ეფექტური მოგვარების უნართან მიმართებით (შეად., *mutatis mutandis*, *Oleksandr Volkov*, §§126-128, და *A. Menarini Diagnostics S.r.l. v. Italy*, No43509/08, § 64, 2011 წლის 27 სექტემბერი). სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გარემოებები საკმარისია იმისთვის, რომ მომჩივნის ვარაუდი სადისციპლინო საბჭოს მოსამართლეთა მიკერძოებულობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებულად გამოაცხადოს.²³⁵

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრს, რომელიც არ იზიარებს დებულებით დადგენილ წესს, უფლება აქვს საქმეზე თვითაცილების უფლებით ისარგებლოს და არ მიიღოს მონაწილეობა ეთიკის კომისიის მიერ იმ საქმის განხილვაში, რომელ საქმეზეც თავად აღძრა დევნა ადვოკატის მიმართ.²³⁶

ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ან, მისი არყოფნისას, ეთიკის კომისიის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წევრი.²³⁷

²³⁵ რედაქტორის შენიშვნა- იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, N45729/05, 28.03.2017 (საბოლოო გახდა 07.04.2017)

²³⁶ რედაქტორის კომენტარი - მნიშვნელოვანია ამ საკითხის საკანონმდებლო გზით მოწესრიგება, რათა გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა, მით უმეტეს, როდესაც მსგავს საკითხზე არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი პრეცედენტი

²³⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 39.2, 2018 წლის 23 დეკემბ-

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეთიკის კომისიას აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის გამართლების თაობაზე; ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე; ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის - გაფრთხილების დაკისრების თაობაზე.

დისციპლინური გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიას აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ ასოციაციის წევრობის შეჩერების თაობაზე 6 თვიდან 3 წლამდე ვადით ან მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

5.15 დისციპლინური სახდელის გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებით გაიწერა ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული დისციპლინური სახდელის გასაჩივრების წესი და საჩივრის განხილვის პროცედურები.

დისციპლინურ საქმეში მოპასუხე ადვოკატს შეუძლია ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.²³⁸

საჩივარი შეიტანება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

საჩივრის მიღებიდან 1 კვირის ვადაში ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დისციპლინურ საქმეს საჩივართან ერთად გადას-

რის რედაქცია

²³⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35¹ 1, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

ცემს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას და ამის თაობაზე ატყობინებს მხარეებს.²³⁹

მოპასუხე ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ დისციპლინური სახდელი. ვინაიდან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება არ წარმოადგენს დისციპლინურ სახდელს, შესაბამისად, ადვოკატს მისი გასაჩივრების უფლება არ აქვს. სადისციპლინო პალატის პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადვოკატებმა გაასაჩივრეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებები, თუმცა სასამართლომ არ მიიღო საჩივრები წარმოებაში.

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების უფლებით სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე ადვოკატი. საჩივრის ავტორს არ აქვს ეთიკის კომისიის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება. ამ თვალსაზრისითაც ხაზგასმულია პროფესიული ღირებულებების და თვითრეგულირებისათვის მნიშვნელოვანი სამართალწარმოების თავისებურება.

5.15.1 ვინ არიან მხარეები უზენაეს სასამართლოში საქმის გასაჩივრებისას?

უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიის გადანყვეტილების გასაჩივრებისას მხარეები არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ადვოკატი.

ეთიკის კომისიისათვის საკამათო საკითხი და გამონწვევაა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის გასაჩივრებისას იცვლება დისციპლინური წარმოების მხარე. საჩივრის ავტორის ნაცვლად, ადვოკატის წინააღმდეგ გამოდის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებში ექსპერტის, ჯეიმს მოლიტენოს რეკომენდაციით, პროფესიული სტანდარტების ამალღების მიზნით, სასურველია, თუ ეთიკის

²³⁹ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35¹¹, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში მხარედ თავიდანვე ჩაერთვება საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და საჩივრის ავტორი წარმოების პროცესში იქნება არა მხარე, არამედ მხოლოდ ინფორმაციის მიღების წყარო.

არსებული პრაქტიკით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინტერესებს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას წარმოადგენს ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი.

5.15.2 როგორია მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის სტანდარტი ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე. დისციპლინური საქმის წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომა – დახურული. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომა ჩატარდება საჯაროდ.²⁴⁰

ეთიკის კომისიის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე ადვოკატის მიერ წარდგენილ საჩივარზე უზენაეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება.

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში წარდგენილი საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალური დასაშვებობის წინაპირობებს. საჩივარი უნდა შეიცავდეს: სადისციპლინო პალატის დასახელებას; საჩივრის შემტანი პირის დასახელებასა და მისამართს, მოწინააღმდეგე მხარის დასახელებასა და მისამართს; გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას, ამ გადაწყვეტილების დამდგენი ორგანოს დასახელებას; მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია

²⁴⁰ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35¹.4, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

გასაჩივრებელი; მითითებას გასაჩივრების საფუძვლებზე (საჩივრის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა საჩივრის შემტანი პირი გადაწყვეტილების გაუქმებას (საჩივრის განაცხადი); მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებს პროცედურული ნორმების დარღვევას, თუ საჩივარი პროცედურული ნორმების დარღვევას ემყარება; საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას; საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას. წარმომადგენლის მიერ შეტანილ საჩივარს უნდა ერთვოდეს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.²⁴¹

აღნიშნული ფორმალური წინაპირობების თანახმად, სადისციპლინო პალატა ამონებს საჩივრის დასაშვებობას. თუ საჩივარი აკმაყოფილებს საჩივრის დასაშვებობის მოთხოვნებს, სადისციპლინო პალატა მას წარმოებაში მიიღებს, ხოლო თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სადისციპლინო პალატა საჩივრის შემტან პირს განუსაზღვრავს გონივრულ დროს, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, ხარვეზის შესავსებად. თუ ამ ვადაში ეს პირი ხარვეზს არ შეავსებს, სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.²⁴² საჩივრის დასაშვებობის საკითხს, სადისციპლინო პალატა გადაწყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.²⁴³

საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ, სადისციპლინო პალატა საჩივარს, თანდართულ საბუთებთან ერთად, უგზავნის მონინალმდეგე მხარეს. ამავე დროს, მონინალმდეგე მხარეს შეიძ-

²⁴¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁵, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁶2, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁶3, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

ლებამიეცესვადასაჩივარზენერილობითიპასუხისგასაცემად.²⁴⁴

მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას საჩივარზე, სანამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას. საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარეს აღარ აქვს უფლება კვლავ გაასაჩივროს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.²⁴⁵

5.15.3 რა ვადაში და რა ფარგლებში განიხილავს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საჩივარს?

უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ადვოკატის საჩივარს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე იხილავს საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარემ შეიძლება გააგრძელოს 1 თვით.²⁴⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა იღებს განჩინებას საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე. ამ განჩინებით განისაზღვრება საქმის ზეპირი მოსმენის დრო, რომელიც მხარეებს ეცნობებათ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.²⁴⁷

სადისციპლინო პალატა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს ადვოკატის საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.²⁴⁸ ეთიკის კომისიის მიერ

²⁴⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁶4, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁷, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁸, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁸2, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁴⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁹ 1, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

ადვოკატის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება, სამართლებრივი პროცედურების დარღვევის გამო, შეიძლება მხოლოდ მაშინ გაუქმდეს, თუ ამან გამოიწვია საქმეზე არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება.²⁴⁹

სადისციპლინო პალატა ადვოკატის საჩივარს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ განიხილავს მიუკერძოებლად და ობიექტურად, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე. სადისციპლინო პალატის სხდომა დახურულია, ხოლო დისციპლინური საქმის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია – კონფიდენციალურია. სადისციპლინო პალატის წევრი და დისციპლინური ბრალდების წარმდგენი პირი ვალდებული არიან, დაიცვან აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.²⁵⁰

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი წესები გამოყენება ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას.²⁵¹

სადისციპლინო პალატის სხდომას თავმჯდომარეობს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე ან მისი დავალებით, პალატის სხვა წევრი.²⁵² სადისციპლინო პალატის სხდომას ხსნის თავმჯდომარე და აცხადებს განსახილველ საქმეს.²⁵³ ამის შემდეგ, სადისციპლინო პალატის სხდომის მდივანი განმარტავს,

²⁴⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁵⁹ 2, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75²⁴, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 19.6, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶⁰ 1, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶⁰ 2, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

თუ ვინ გამოცხადდა განსახილველ საქმეზე მოწვეულ პირთაგან, ეცნობათ თუ არა გამოუცხადებელ პირებს სხდომის თაობაზე და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. სადისციპლინო პალატა ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, აგრეთვე ამონმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას.²⁵⁴

სხდომის თავმჯდომარე მხარეებს გააცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სხდომაზე მხარეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა ან განცხადება.

სხდომის მონაწილენი უნდა დაემორჩილონ სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას და დაიცვან წესრიგი. დღის წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე დამრღვევს აფრთხილებს.²⁵⁵

მოსამართლე აკეთებს მოხსენებას საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ამის შემდეგ, სიტყვა ეძლევათ მხარეებს ახსნა-განმარტების წარმოსადგენად. პირველად საჩივრის ავტორი წარადგენს თავის პოზიციას, რაში მდგომარეობს მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნას, უარს ხომ არ ამბობს საჩივარზე და სხვა. ამის შემდეგ მეორე მხარე განმარტავს, ცნობს თუ არა საჩივარს და როგორია მისი პოზიცია. იმ შემთხვევაში, როდესაც სხდომაზე მხოლოდ ერთი მხარე ცხადდება, სასამართლო ახსნა-განმარტებას მიიღებს გამოცხადებული მხარისაგან.²⁵⁶

კითხვა - პასუხის ეტაპზე, ჯერ შეკითხვებს სვამენ მხარეები და შემდეგ სადისციპლინო პალატის წევრები. შეკითხვის დას-

²⁵⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶⁰ 3, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶⁰ 7, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵⁶ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶¹ 1, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

მის მიზანია, საქმის გარემოებების გამოკვლევა. სხდომის თავ-
მჯდომარეს უფლება აქვს მხარის თხოვნით ან საკუთარი ინი-
ციატივით მოხსნას შეკითხვა, რომელიც სცილდება განხილვის
საგანს და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა
და დადგენას.²⁵⁷

პაექრობის ეტაპზე სიტყვას წარმოთქვამს საჩივრის ავტორი
და მისი წარმომადგენელი, შემდეგ კი - მოპასუხე ადვოკატი და
მისი წარმომადგენელი. პაექრობის შემდეგ, მხარეებს უფლება
აქვთ გამოვიდნენ რეპლიკით.²⁵⁸

სადისციპლინო პალატის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რო-
მელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის
მდივანი.²⁵⁹

მხარეთა პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ, სადისციპლინო
პალატა გადის გადაწყვეტილების მისაღებად და ამის შესახებ
უცხადებს მხარეებს. სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემ-
დეგ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს მიღებულ გადაწყვეტი-
ლებას, განმარტავს გადაწყვეტილების მიღების საფუძველებს,
რის შემდეგაც სხდომას დახურულად აცხადებს.²⁶⁰

5.15.4 სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებათა სახეები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პა-
ლატა გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, სა-
დისციპლინო პალატის წევრს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს
ხმის მიცემისაგან. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება
საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუმცა, მხა-

²⁵⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶¹
6, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶¹
9, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁵⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶¹
12, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁶⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶¹
11, 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

რეთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, პალატას შეუძლია გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მიზანშეწონილად მიაჩნია შესწორებათა შეტანა. გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ განჩინება არ საჩივრდება.²⁶¹

სადისციპლინო პალატა იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს: ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ტოვებს უცვლელად; აუქმებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას და საქმეს უკან აბრუნებს განსახილველად; აუქმებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას და იღებს ახალ გადაწყვეტილებას; ცვლის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას.²⁶²

6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება

6.1 როგორია ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა?

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მას შემდეგ, რაც ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. აღნიშნული მოქმედების განხორციელება აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციაა.²⁶³

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან, ადვოკატის მიერ მისი გასა-

²⁶¹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶². 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁶² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 75⁶³. 2020 წლის 30 სექტემბრის რედაქცია

²⁶³ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 26 (7, „მ“ ქვეპუნქტი), 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

ჩივრების შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.²⁶⁴

მას შემდეგ, რაც ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის (თავმჯდომარის დავალებით კომისიის აპარატის იურისტის) წერილობითი მიმართვის საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭო ახორციელებს ფორმალურ პროცედურებს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ეს ფორმალური პროცედურები მოიცავს აღმასრულებელი საბჭოს მიერ კომისიის გადაწყვეტილების ცნობად მიღებასა და ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ადვოკატის სტატუსის თაობაზე ცვლილების შეტანას.

6.2 როდის გაქარწყლება ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი?

დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო; ასევე, დისციპლინური სახდელის გაქარწყლების შემდეგ, ადვოკატის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყებული დისციპლინური სახდელი.²⁶⁵

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძი-

²⁶⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 25.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁶⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 23, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ებას, სახდელის მსგავსად, გაქარწყლების ვადა არ ეხება, რადგან ზემოქმედების ღონისძიება არ არის სახდელი.

ეთიკის კომისიამ სხვადასხვა სახის სახდელის გაქარწყლები-სათვის განსხვავებული ვადა შეიმუშავა: ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების შემთხვევაში აღნიშნული დისციპლინური სახდელი გაქარწყლება წევრად აღდგენიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.²⁶⁶

²⁶⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 24, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

7. რას გულისხმობს დისციპლინური წარმოების კონფიდენციალურობა?

ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ეთიკის კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს საჯაროდ.²⁶⁷

ეთიკის კომისიას ამ ეტაპზე სხდომის საჯაროდ ჩატარების პრაქტიკა არ აქვს.

²⁶⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 3, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

8. როგორ ხდება ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი?

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის, ასევე გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის ან დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ საჯარო²⁶⁸ და განთავსებულია ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge.

გადაწყვეტილებები საჯაროვდება სრული მოცულობით და ვებ გვერდის საძიებო სისტემის მეშვეობით დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მარტივად მოიძიოს მისთვის მნიშვნელოვან პროფესიულ სტანდარტზე მიღებული გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება მხარეთა პერსონალური მონაცემების დაცვას, საჩივრის ან მიმართვის ავტორები თავად იღებენ გადაწყვეტილებას რამდენად სურთ, რომ ვებ გვერდზე განთავსებულ გადაწყვეტილებებში იდენტიფიცირებულნი იყვნენ, ხოლო ადვოკატთა პერსონალური მონაცემების (ვინაობის, სიითი ნომერის) დამუშავების წესი გადაწყვეტილების გასაჯაროებისას მონესრიგებულია დებულებით.

ეთიკის კომისია ამაყობს, რომ ერთ-ერთი პირველი იყო დისციპლინური დევნის მწარმოებელ ორგანოებს შორის, რომელმაც პროფესიულ წრეებში და საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიის მიმართ ნდობის გაზრდისთვის იზრუნა გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობაზე. პირველად საჯაროდ, ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები, განთავსდა 2010 წელს. იმ დროისთვის, გადაწყვეტილებებში მხარეები ინიციალურად აღინიშნებოდა.²⁶⁹

²⁶⁸ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 3.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁶⁹ ეთიკის კომისიის 2010 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმი

მას შემდეგ, რაც პროფესიული ქცევის სტანდარტები განვითარდა, ეთიკის კომისიის გადანყვეტილებით, 2012 წლის 1 ივლისიდან კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებები (მხოლოდ ის ნაწილი, სადაც ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური სახდელი) ვებ-გვერდზე განთავსდა ახლებურად, კერძოდ გადანყვეტილებებში ღია იყო მოპასუხე ადვოკატთა ვინაობა.²⁷⁰ პირის პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციებიდან გამომდინარე, ადვოკატთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ახალი წესი შემუშავდა, რომელიც 2018 წელს ადვოკატთა საერთო კრებაზე დამტკიცდა. ეთიკის კომისიის გადანყვეტილებათა ვებ გვერდზე განთავსების წესი ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით მონესრიგდა, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიის ყველა შემაჯამებელი გადანყვეტილება საჯაროდ განთავსდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე, პერსონალური მონაცემების დამუშავების შემდეგი წესის შესაბამისად:

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის, გამართლების, ადვოკატისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადანყვეტილებები საჯაროდ განთავსდება ადვოკატის პერსონალური მონაცემების დაფარვით - დაშტრიხული სახით.

ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადანყვეტილებები გამოქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე, ეთიკის კომისიის გადანყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან, ადვოკატის პერსონალური მონაცემების აღნიშვნით (ადვოკატის სახელი, გვარი, სითითი ნომერი).²⁷¹

გაფრთხილების დაკისრების თაობაზე ეთიკის კომისიის გადანყვეტილება, ადვოკატის პერსონალური მონაცემების მითითებით, ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებული იქნება

²⁷⁰ ეთიკის კომისიის 2012 წლის 21 ივნისის სხდომის ოქმი

²⁷¹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 2.¹(ა), 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

გადანყვეტილების ძალაში შესვლიდან 18 თვის განმავლობაში.

საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ ეთიკის კომისიის გადანყვეტილება, ადვოკატის პერსონალური მონაცემების მითითებით, ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსდება გადანყვეტილების ძალაში შესვლისთანავე და გამოქვეყნებული იქნება წევრობის აღდგენიდან 2 წლის განმავლობაში.

ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ ეთიკის კომისიის გადანყვეტილება, ადვოკატის პერსონალური მონაცემების მითითებით, ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული იქნება გადანყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

მოცემული ვადების გასვლის შემდეგ ზემოთ დასახელებული გადანყვეტილებები ვებ-გვერდზე განთავსდება ადვოკატის პერსონალური მონაცემების დაფარვით, დაშტრიხული სახით. კონკრეტული სახდელის დასკირების შემთხვევაში, მოცემული ვადების გასვლამდე, ადვოკატის გარდაცვალების შემთხვევაში, ინფორმაციის მიღებისთანავე, ადვოკატის პერსონალური მონაცემები იშტრიხება.²⁷²

ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ ეთიკის კომისიის გადანყვეტილებებში საჩივრის (მიმართვის) ავტორის პერსონალური მონაცემები დაშტრიხვის გზით დაფარულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მხარის წერილობითი თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე გასაჯაროების შესახებ.²⁷³

ეთიკის კომისია ამავე წესით ამუშავებს და ასოციაციის ვებ გვერდზე განთავსებს ეთიკის კომისიის გადანყვეტილებებზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადანყვეტილებებს.

²⁷² იქვე 2.1(ბ)

²⁷³ იქვე 2.1(გ)

9. რეკომენდაცია ადვოკატისათვის

ეთიკის კომისიამ, USAID-ის მხარდაჭერით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე ადვოკატებისათვის რეკომენდაციის გაცემა დაიწყო 2012 წლიდან.

რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია ადვოკატის მიერ შეკითხვაში წარდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება რამდენად შეესაბამება პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.²⁷⁴

რეკომენდაცია არ არის ეთიკის კომისიისათვის სავალდებულო. რეკომენდაციაში ჩამოყალიბებული მოსაზრებით კომისია არ იზღუდება დისციპლინური წარმოების დროს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას.²⁷⁵

ეთიკის კომისიამ რეკომენდაცია შესაძლებელია გამოიყენოს ერთ-ერთ ნყაროდ გადაწყვეტილებაში.²⁷⁶

რეკომენდაციის მიმღებ ადვოკატთა რიცხვი წლიდან წლამდე მზარდია. კომისიის რეკომენდაცია არაერთ ადვოკატს დაეხმარა პროფესიული სტანდარტების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რის შესახებაც ეთიკის კომისიისთვის ცნობილი გახდა რეკომენდაციით მოსარგებლე ადვოკატთა გამოკითხვისას მიღებული უკუკავშირით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეთიკის კომისიას გაუცია რეკომენდაცია პროფესიული ქცევის ისეთ საკითხზე, რაზედაც კომისიას არ ჰქონია დისციპლინური წარმოება და კონკრეტული საკითხის განმარტებით, პრეცედენტი სწორედ რეკომენდაციის სახით შეიქმნა. მაგალითად, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის სტანდარტის ფარგლებში ინფორმირებული

²⁷⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 41.1, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁷⁵ იქვე, მუხლი 41.2

²⁷⁶ იქვე, მუხლი 41.3

თანხმობით მომსახურების დასაშვებობის წინაპირობები რეკომენდაციების ფარგლებში დადგინდა.

9.1 ვის შეუძლია მიმართოს ეთიკის კომისიას რეკომენდაციის მოთხოვნით?

შეკითხვით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრს.²⁷⁷

შეკითხვით მიმართვა შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფორმით, რომელიც ხელმისაწვდომია ადვოკატებისთვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, ადვოკატთა კონსულტაციის გრაფაში.²⁷⁸ შეკითხვა უნდა აღწერდეს ჰიპოთეტურ ფაქტებს, ადვოკატის შესაძლო ქმედებას და არ შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტულ პირზე.²⁷⁹ ბუნდოვანი შეკითხვის შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ ადვოკატს შესაძლოა მოსთხოვოს შეკითხვის დაკონკრეტება.

9.2 ვინ ამზადებს წერილობით რეკომენდაციას?

წერილობით შეკითხვას, მისი შინაარსის და ამ მუხლის წესების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გადასცემს კომისიის აპარატის იურისტს, მორიგე საპროცესო კო-

²⁷⁷ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 42, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁷⁸ <https://qba.ge/ka/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>

²⁷⁹ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 43, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ლევას ან ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.²⁸⁰

წერილობით შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და დადგენილია ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს კომისიის აპარატის იურისტი.²⁸¹

შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას და არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით, რეკომენდაციას მოამზადებს დისციპლინური კოლეგია, რომელიც მორიგეობს საპროცესო კოლეგიის სახით.²⁸²

შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების განმარტებას, არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის პრაქტიკით და საკითხის სირთულით ხასიათდება, რეკომენდაციას მოამზადებს ეთიკის კომისია არა ნაკლებ რვა წევრის მონაწილეობით.²⁸³

რეკომენდაციის კოლეგიურად მომზადებისას ეთიკის კომისია საბოლოო მოსაზრებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით.²⁸⁴

რეგისტრირებული შეკითხვის განხილვისას, თუ აღმოჩნდება, რომ ანალოგიურ საკითხზე არსებობს რეკომენდაცია, კომისიას შეუძლია არ გასცეს რეკომენდაცია და მიუთითოს არსებულზე.²⁸⁵ ასევე, ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია

²⁸⁰ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 45.2, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁸¹ იქვე, მუხლი 45.3

²⁸² იქვე, მუხლი 45.4

²⁸³ იქვე, მუხლი 45.5

²⁸⁴ იქვე, მუხლი 45.6

²⁸⁵ იქვე, მუხლი 45.7

ეხება კომისიის დისციპლინურ წარმოებაში არსებულ საქმეს.²⁸⁶ შეკითხვის განხილვაზე უარი ეცნობება ადვოკატს.²⁸⁷

9.3 რას შეიცავს წერილობითი ფორმით გაცემული რეკომენდაცია?

რეკომენდაცია შეიცავს ინფორმაციას რეკომენდაციის გამცემი კოლეგიის შემადგენლობის შესახებ, შეკითხვის რეგისტრაციის ნომერს, შეკითხვის ავტორი ადვოკატის ვინაობასა და სიით ნომერს, რეკომენდაციის გაცემის თარიღს, ადვოკატის შეკითხვას, სამოტივაციო ნაწილს, პასუხს, ასევე მითითებას, რომ ეთიკის კომისიის რეკომენდაციას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.²⁸⁸ სამოტივაციო ნაწილში კომისია უთითებს ნორმებს, რომელთაც ეყრდნობა მსჯელობისას, განმარტავს მოცემულ ნორმებს და უფარდებს შეკითხვაში გადმოცემულ ფაქტებს. დასკვნა ანუ პასუხი, ლაკონური ფორმით მოიცავს შეკითხვაზე ეთიკის კომისიის პოზიციას.

რეკომენდაციის დედანი რჩება ეთიკის კომისიის არქივში, ხოლო რეკომენდაციის დამონმებული ასლი ეგზავნება შეკითხვის ავტორს - ადვოკატს.

რეკომენდაციის გაცემის ვადა არ აღემატება 45 დღეს.²⁸⁹

რეკომენდაცია მომსახურების მიზნიდან გამომდინარე გულისხმობს ადვოკატის დახმარებას პროფესიული ქცევის თაობაზე, რაც ხშირად ადვოკატის მიერ საკითხის სწრაფად გადაწყვეტას საჭიროებს. შესაბამისად, ეთიკის კომისია ცდილობს შეძლებისდაგვარად სწრაფად უპასუხოს ადვოკატის შეკითხვას, თუმცა პასუხის ვადა დამოკიდებულია როგორც შეკითხვის სირთულეზე, ასევე კოლეგიის დატვირთულობაზე. შესაბამი-

²⁸⁶ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 45.9, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁸⁷ იქვე, მუხლი 45.8

²⁸⁸ იქვე, მუხლი 46

²⁸⁹ იქვე, მუხლი 47

სად, დებულებით მოწესრიგებულია რეკომენდაციის გაცემის მაქსიმალური ვადა, რაც პრაქტიკაში უკიდურეს შემთხვევაში, ძირითადად რეკომენდაციის ეთიკის კომისიის მთლიანი შემადგენლობის მიერ განხილვისას გამოიყენება.

9.4 რას გულისხმობს ზეპირი რეკომენდაცია და როგორია მისი გაცემის წესი?

ზეპირი რეკომენდაცია არის ეთიკის კოდექსის ნორმებზე, რომელზედაც არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურულ საკითხებზე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ დებულების ნორმების განმარტება.²⁹⁰

ზეპირი რეკომენდაცია გაიცემა კომისიის აპარატის იურისტის მიერ სატელეფონო „ცხელი ხაზის“ მეშვეობით. ცხელი ხაზის ნომერი მითითებულია ასოციაციის ვებგვერდზე www.gba.ge და მოქმედებს 11:00 – 17:00 საათებში, სამუშაო დღეებში.

ზეპირი რეკომენდაცია გაიცემა ადვოკატზე, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია ადვოკატთა ერთიან რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე. იდენტიფიცირება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით: კომისიის აპარატის იურისტი ერთიან რეესტრში ამონმებს ადვოკატის სახელს, გვარს, პირად ნომერს, სიით ნომერს, სპეციალიზაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს პასუხს ადვოკატს. ადვოკატსა და კომისიის აპარატის იურისტს შორის საუბარი, რაც ადვოკატს საუბრის დაწყებისთანავე ეცნობება, იწერება ტექნიკური საშუალების გამოყენებით და ინახება კომისიის არქივში.²⁹¹

კომისიის აპარატის იურისტი უფლებამოსილია ადვოკატის შეკითხვა ჩაინეროს და რეკომენდაცია გასცეს შეკითხვის დაფიქსირებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.²⁹² თუ შეკითხვა შე-

²⁹⁰ იქვე, მუხლი 48.1

²⁹¹ იქვე, მუხლი 48.5

²⁹² „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 48.6, 2018 წლის 23 დეკემბ-

ეხება იმ საკითხს, რაზედაც ეთიკის კომისიას გაცემული აქვს რეკომენდაცია, კომისიის აპარატის იურისტს უფლება აქვს მიუთითოს ადვოკატს უკვე გაცემული რეკომენდაციის შესახებ.²⁹³

9.5 როგორი წესით იცავს ეთიკის კომისია რეკომენდაციათა კონფიდენციალურობას?

რეკომენდაციის მომთხოვნი ადვოკატის ვინაობა რეგისტრირდება და ინახება ეთიკის კომისიის მონაცემთა ბაზაში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ეთიკის კომისიისათვის და ეთიკის კომისიის აპარატისთვის, ვისზეც ვრცელდება სამსახურებრივი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება. რეკომენდაციების საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებისას, შეკითხვის ავტორი ადვოკატის შესახებ ინფორმაცია არ საჯაროვდება.²⁹⁴

9.6 რეკომენდაციების საჯაროობა

რეკომენდაციები საჯაროა, ადვოკატის იდენტიფიცირების გარეშე ქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, ასევე, ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში.²⁹⁵ რეკომენდაციების გამოქვეყნების მიზანია პროფესიული თვითრეგულირების ნორმებსა და პროცედურულ საკითხებზე ადვოკატთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.²⁹⁶

რის რედაქცია

²⁹³ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 48.7, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁹⁴ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 50, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁹⁵ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, მუხლი 51, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

²⁹⁶ https://qba.ge/ka/%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A0

10. ეთიკის კომისიის წევრთა მიერ საქმის განხილვის პრინციპები

ეთიკის კომისია წარმოადგენს ქვაზი სასამართლოს, შესაბამისად ეთიკის კომისიის წევრები საქმის განხილვისას ხელმძღვანელობენ იმ პრინციპებით, რაც საქმის მწარმოებელ პირებს აერთიანებს. დისციპლინური წარმოების დებულება არ მოიცავს პრინციპების ჩამონათვალს, რომელთაც ეთიკის კომისიის წევრები იცავენ კომისიაში საქმიანობისას, თუმცა წარმოების შინაარსიდან გამომდინარე, საქმის განხილვისას ადვოკატთა პროფესიული ქცევების მომწესრიგებელი ეთიკური ნორმების დაცვასთან ერთად, კომისიის წევრთა მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს - დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება, მხარეთა თანასწორობა, კომპეტენტურობა და გულისხმიერება.

დამოუკიდებლობის პრინციპი - ეთიკის კომისიის წევრი, როგორც დამოუკიდებელი პროფესიული ორგანოს წარმომადგენელი, საქმეთა განხილვისას თუ რეკომენდაციებზე მუშაობისას, მოქმედებს დამოუკიდებლად, მხოლოდ საქმის ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს.²⁹⁷

ეთიკის კომისიის წევრს დამოუკიდებელი პოზიცია აქვს როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე იმ საქმის კონკრეტულ

[%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98](#)

²⁹⁷ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამა, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები“, თბილისი 2015, გვ. 35

მხარეთა მიმართ, რომელიც მან უნდა გადაწყვიტოს.²⁹⁸

მიუკერძოებლობის პრინციპი - ეთიკის კომისიის წევრი საქმიანობს განსახილველ საკითხზე ან რომელიმე მხარის მიმართ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრისგან თავისუფლად. იგი მოქმედებს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრის გარეშე.²⁹⁹ ეთიკის კომისიის წევრმა მოვალეობების შესრულებისას არც სიტყვით, არც ქცევით არ უნდა გამოავლინოს ამა თუ იმ პირის მიმართ მიუკერძოება ან წინასწარ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულება, რომლის მიზეზებიც საქმის გარემოებებს არ ეხება.³⁰⁰

წევრი მიუკერძოებელია, როგორც წარმოების პროცესში, ასევე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კომისიის წევრის ქცევა როგორც საქმის განხილვისას, ასევე საქმის განხილვის შემდეგ, ამაღლებდეს საზოგადოების ნდობას.

კომისიის წევრმა უნდა გაითვალისწინოს მიუკერძოებლობის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმები. სუბიექტური კრიტერიუმი მოიცავს კომისიის წევრის შინაგან დამოკიდებულებას კონკრეტული საქმისადმი, ხოლო ობიექტური კრიტერიუმისას მნიშვნელოვანია გარემოება - როგორ აღიქმება კომისიის წევრი გარეშე პირთა (გონიერი დამკვირვებლის) თვალთახედვით.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, როდესაც ეთიკის კომისიის წევრი მიიჩნევს, რომ საქმეს მიუკერძოებლად ვერ გადაწყვეტს ან არსებობს საფრთხე, რომ მისი ჩართულობა საქ-

²⁹⁸ იქვე, გვ. 35

²⁹⁹ იქვე, გვ. 36

³⁰⁰ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამა, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები“, თბილისი 2015, გვ. 40

მეში, არ შეფასდება მიუკერძოებლობის ფარგლებში, ის აცხადებს თვითაცილებას.

მნიშვნელოვანია, საქმის განხილვის პროცესში მხარეს ჰქონდეს იმის განცდა, რომ მის საქმეს განიხილავს მიუკერძოებელი კომისიის წევრი. აქ ერთვება კომისიის წევრის ქვაზი - სამოსამართლო ძალის³⁰¹ კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს კომისიის წევრის უნარს, განიხილოს ყველა კატეგორიის დავა და ყველა მხარეს მოეპყროს თანაბარი სამართლიანობით, ადამიანუნობითა და თავაზიანობით, რათა მხარეებს გაუჩნდეთ იმის განცდა, რომ მათ დისციპლინური წარმოების პროცესში მართლმსაჯულება მიიღეს, მიუხედავად წარმოების შედეგისა.

თანასწორობის პრინციპის არსი გულისხმობს ეთიკის კომისიის წევრის მიერ საქმის წარმოების მონაწილე ყველა მხარის თანასწორ მოპყრობას, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებისას გონივრული ბალანსის დაცვას. დისციპლინურ წარმოებაში მოპასუხეს ყოველთვის ადვოკატი, ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრისთვის, კოლეგა წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წევრმა თანაბრად დაიცვას ორივე მხარის - საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის, მიმართ დისციპლინური წარმოების პროცედურები და თანაბარი დამოკიდებულებით მოეპყროს მხარეებს. ეთიკის კომისიის წევრებისთვის გამოწვევაა ზოგიერთი ადვოკატის დამოკიდებულება, რომელსაც აქვს მოლოდინი, რომ კომისია მის ინტერესს უპირატესად გაითვალისწინებს კოლეგიალობიდან გამომდინარე. ასევე, არის საქმის განმხილველ ან კომისიის სხვა წევრებთან ექსპარტე კომუნიკაციის მცდელობის შემთხვევებიც ადვოკატთა მხრიდან. ასევე ზოგიერთი ადვოკატი მიიჩნევს, რომ კონკურენციიდან გამომდინარე შესაძლოა მათ ვერ ისარგებლონ თანასწორობის პრინციპით, რაზეც კომისიას შეუძლია პასუხი გასცეს არა ინდივიდუალურად დისკუსიაში შესვლით, არამედ მაღალი ხარისხისა

³⁰¹ დოქტრინაში სამოსამართლო ძალის კომპონენტებად მიჩნეულია სამართლიანობა, ადამიანუნობა და კანონმორჩილება.

და ღირებულებებზე დაფუძნებული დისციპლინური წარმოებით.

ეთიკის კომისიის წევრი საქმიანობის განხორციელებისას თანაბრად ითვალისწინებს პროცესის ყველა მხარის ინტერესს და თანაბარ პირობებს უქმნის წარმოების პროცესში ისარგებლონ მხარისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

კომპეტენტურობისა და გულისხმიერების პრინციპი

ეთიკის კომისიის წევრების კომპეტენტურობა ვლინდება მათი ცოდნისა და უნარების კომისიის საქმიანობისთვის გამოყენებაში, ასევე სწრაფვაში გაიუმჯობესონ ის ცოდნა და პროფესიული უნარები, რაც დაეხმარებათ მათ კომისიაში წარმატებით იმუშაონ. კომისიაში საქმიანობის თავისებურება მოიაზრებს შემდეგ კომპონენტებს:

- საქმეთა მართვა - საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე, საქმეთა განხილვის ქრონოლოგიის განსაზღვრა და შესასრულებელი მოქმედებების დაგეგმვა;
- საქმის მოსმენა - ყველას თანაბარი გულისყურით მოსმენა;
- მტკიცებულებების შეფასება - მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობა, რომელიც სანდოა;
- თვითკონტროლი - გაუცნობიერებელი მიკერძოების რისკის მართვა;
- გადაწყვეტილების მიღება, დასაბუთება - პროფესიონალიზმის მაღალი დონის მიღწევა, თვითგანვითარება პროფესიულ ეთიკასა და მომიჯნავე დარგებში, გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკის შესწავლა და მუშაობა დასაბუთების ხარისხზე;
- ეფექტიანი კომუნიკაცია - მხარეებთან მიუკერძოებელი, თანასწორობაზე დამყარებული კომუნიკაცია და კონფლიქტური სიტუაციების მართვა.

საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია, რომ კომისიის წევრმა

საქმე მოისმინოს ყურადღებით, მხარეებისათვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემით, მნიშვნელოვანია საქმის ფაქტების სრულად გამოკვლევა და წარმოების პროცესში სრულად ჩართულობა, რათა მხარემ იგრძნოს, რომ კომისია რეალურად დაინტერესებულია საკითხის ყოველმხრივი შესწავლით.

მხარეთა შორის კონფლიქტური სიტუაციის დროს კომისიის წევრმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ უნდა აჰყვეს მხარეს კამათში, არც აგრესიული უნდა იყოს და არც - უსუსური, საჭიროების შემთხვევაში გამოაცხადოს შესვენება ან გადადოს სხდომა.

პროცესის დროს თავად კომისიის წევრთა შორის დიალოგი, საკითხის დაზუსტება უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ საქმის გარემოებებზე, თავაზიანობის გამოვლენითა და დაცვით.

სხდომის გადადებისას მნიშვნელოვანია, რომ კომისიის წევრმა მხარეებს აუხსნას სხდომის გადადების მიზეზები, თუნდაც ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდეს გარკვეული პირადი სახის ინფორმაციის გასაჯაროება, მაგალითად, მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა მოულოდნელი საფუძველი, რაც იწვევს სხდომის გადადებას. ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარის სრულ ინფორმირებას და მის აღქმას, რომ საკითხის განხილვა უსაფუძვლოდ არ ყოვნდება. განჭვრეტადობისათვის კომისიის წევრმა მხარეს წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რომელი ეტაპიდან გაგრძელდება სხდომა, რას განიხილავენ მორიგ სხდომაზე და ა.შ.

კომპეტენტურობა გულისხმობს, რომ კომისიის წევრი გადანყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, გადანყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის საკანონდებლო ბაზას და გარემოებამ, რომელსაც კავშირი არ აქვს განსახილველ საქმესთან, მიღებულ გადანყვეტილებაზე გავლენა ვერ უნდა მოახდინოს.

მოსამართლე ყველა თავის მოვალეობას, გადადებული გადანყვეტილებების გამოტანის ჩათვლით, ასრულებს გონივრუ-

ლად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად³⁰². ამ გარემო-
ებას ეთიკის კომისიის წევრებიც მუდმივად ითვალისწინებენ,
ვინაიდან კომისიის წარმოებაში ყოველთვის არის ნაშთი საქ-
მეები, რომელზეც წარმოება სხვადასხვა ობიექტური მიზეზით
შეჩერდა. აღნიშნული მუდმივად საჭიროებს წარმოების შეჩე-
რების საფუძვლების გადამოწმებას, წარმოების განახლება-
სა და საქმეებზე გადანყვეტილებების მიღებას.

კომპეტენტურობას უკავშირდება საქმის მიუკერძოებლად
წარმოება. წინასწარ შექმნილი განწყობა შეიძლება გამოვლინ-
დეს სიტყვიერი ან ფიზიკური ფორმით. ამის მაგალითებია:
ეპითეტები, ინსინუაციები, შეურაცხმყოფელი მეტსახელები,
უარყოფითი სტერეოტიპების შექმნა, სტერეოტიპებით ნასაზ-
რდოები უხეირო ხუმრობები (მაგ.: სქესის, რომელიმე კულტურ-
ისა თუ რასისადმი კუთვნილების შესახებ და სხვ.), მუქარა,
დაშინება ან მტრული მოქმედებები, რომლებიც რასისა თუ
ეროვნებისადმი კუთვნილებას დამნაშავეობასთან აკავში-
რებს, ასევე ამა თუ იმ პირადი თვისების ხსენება, რომელთაც
არანაირი კავშირი არ აქვს საქმესთან; წინასწარი განწყობა ან
აზრი შეიძლება გამოიხატოს ასევე: ჟესტებით, პოზებით და
სხვა არავერბალური ნიშნებით, ქცევით სხდომისას ან სხდო-
მის გარეთ; სახის გამომეტყველება საქმის მხარეების და საქ-
მეში მონაწილე სხვა პირების მიმართ შეიძლება აღიქმებოდეს
წინასწარ შექმნილი დამოკიდებულების დასტურად, რაც ასევე
არაკომპეტენტურობად მიიჩნევა.³⁰³

³⁰² გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)
ვერობულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახ-
ლოების პროგრამა, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები
და მისი კომენტარები“, თბილისი 2015, გვ 41

³⁰³ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)
ვერობულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახ-
ლოების პროგრამა, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები
და მისი კომენტარები“, თბილისი 2015, გვ 93

11. როგორია კომისიის წევრის კომუნიკაციის წესი მხარეებთან საქმის განხილვის დასრულების შემდეგ?

ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმის წარმოების დასრულებისა და გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით ჩაბარების შემდეგ, ერთ-ერთი მხარე კოლეგიას უგზავნის განცხადებას და ითხოვს გადაწყვეტილებაში კონკრეტული საკითხის დამატებით განმარტებას ან ითხოვს კომისიის წევრთან ზეპირ კომუნიკაციას.

კომისიის წევრებს მხარეებთან ურთიერთობა აქვთ კომისიის სხდომებზე ან სხდომების გარდა, ეთიკის კომისიის კანცელარით მიღებული წერილობითი განცხადებებით. მოცემული ფორმების გარდა, საქმისწარმოების მხარეებს, საქმის განმხილველ კომისიის წევრებთან უშუალო ურთიერთობა არ აქვთ.

რაც შეეხება, საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, მხარის წერილობითი განცხადების მიღებას, ეთიკის კომისიას აქვს იგივე მიდგომა, რაც სასამართლოს. კერძოდ, თუ საქმისწარმოების დასრულების შემდეგ მოსამართლე უკმაყოფილო მხარის ან სხვა პირების წერილებს ან სხვა გზავნილებს იღებს, რომლებშიც გაკრიტიკებულია მოსამართლის ან მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილებები, მოსამართლემ არ უნდა აწარმოოს მიმოწერა ამგვარი კორესპონდენციის ავტორებთან.³⁰⁴

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისათვის გადაწყვეტილების განმარტების წესი: „გადაწყვეტილების გამოშვან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადან-

³⁰⁴ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების პროგრამა, „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები“, თბილისი 2015, გვ. 102

ყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას“.³⁰⁵

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად“,³⁰⁶ შესაბამისად, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე არ ერევა თითოეული კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში.

მხარეს შეუძლია წერილობითი ფორმით, განცხადებით მიმართოს მისი საქმის განხილველ კოლეგიას. კოლეგია დამოუკიდებლად, საჭიროების ფარგლებში, მხარეს 10 დღის ვადაში გასცემს წერილობით პასუხს. როგორც წესი, კოლეგია მხარეს წერილობით პასუხობს, რომ მას ჩაბარდა დასაბუთებული გადაწყვეტილება, კომისიის პოზიცია ასახულია გადაწყვეტილებაში და კომისია უფლებამოსილი არ არის ახლებურად განმარტოს ან განავრცოს რომელიმე საკითხი.

როგორც საქმეზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ასევე წევრობის პერიოდში, ეთიკის კომისიის წევრის ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მის სტატუსს. რაც გულისხმობს იმას, რომ საჯარო გამოსვლისას, ასევე სოციალური მედიით აზრის დაფიქსირებისას, კომისიის წევრის გამოხატვის თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდულია წარმოების კონფიდენციალობიდან და მისი სხვა ვალდებულებების გამო თუ მისი მოსაზრებები

³⁰⁵ სსსკ, მუხლი 262.1

³⁰⁶ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 28.4, 2018 წლის 4 მაისის რედაქცია

ეხება ეთიკის კომისიაში განხორციელებულ საქმიანობას.³⁰⁷

ეთიკის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, როგორც წევრობისას, ასევე შემდგომ პერიოდშიც ინახავდნენ პროფესიულ ინფორმაციას, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა კომისიის წევრის სტატუსით საქმიანობის განხორციელების გამო.³⁰⁸

³⁰⁷ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ მოსამართლეთათვის დაადგინა, რომ მოსამართლე უნდა გამოიჩინოს სიფრთხილით მასმედიასთან ურთიერთობისას, უნდა ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, თავი უნდა შეიკავოს მასმედიასთან ურთიერთობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებისაგან და ასევე, თავი უნდა შეიკავონ დაუსაბუთებელი კომენტარის გაკეთებისაგან იმ საქმეზე, რომელსაც ისინი იხილავენ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო CCJE, დასკვნა N3 „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ ეთიკის ნორმების, თანამდებობისათვის შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, გვ. 15

³⁰⁸ ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 20, 2018 წლის 23 დეკემბრის რედაქცია

ეთიკის კომისიის საქმიანობა

ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლო, წლების განმავლობაში ზრუნავს ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაზე. წინამდებარე გამოცემა ემსახურება დისციპლინური წარმოების შესახებ კორპორატიული მეხსიერების გადაცემას და მნიშვნელოვანია კომისიის საქმიანობის განვითარებისთვის.

ადვოკატებისთვის სარეკომენდაციო მოსაზრებების გაცემის სისტემა

ეთიკის კომისიამ, 2013 წლიდან, ადვოკატებისთვის დანერგა სარეკომენდაციო მოსაზრებების გაცემის სისტემა. აღნიშნული სისტემის მიზანია დაეხმაროს ადვოკატებს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ეთიკური ვალდებულებების შესრულებაში და მოახდინოს შესაძლო დისციპლინური გადაცდომის პრევენცია.

მიმართე ეთიკის კომისიას წერილობითი შეკითხვით:

ელ-ფოსტა - opinion@gba.ge, მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. 11

ან დაუკავშირდი ტელეფონით: 2 200 262

ადვოკატთა კონფიდენციალობის დაცვით ყველა რეკომენდაცია ქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე: www.gba.ge

მხარეების კონსულტაცია

მხარეებმა პროფესიული ეთიკის საკითხებზე კონსულტაცია შეგიძლიათ მიიღოთ ეთიკის კომისიის აპარატის იურისტებისგან.

მიმართე ეთიკის კომისიას წერილობით:

ელ-ფოსტა - ethics@gba.ge

მისამართი: ძმ. ზუბალაშვილების ქ. 11

ან დაუკავშირდი ტელეფონით: 2 98 78 78 (შიდა 4)